ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 102 (12 477) 2 მაისი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008

დარჩა 98 დღე





**გვაქვს თუ არა გამართლების შანსი?**

მოძმანაშვილის საქმე. ექიმის ვერსია

»»» 11

**ადრიანო მილანში? ბარსელონაში კი წმენდა იწყება**

მსოფლიო ფეხბურთი

»»» 6-10

# საქართველოში დიდი პროექტების განხორციელება იწყება

სახელმწიფო ჩემპიონატის დაფინანსებაზეც მიდის

»»» 3



**აგრესია აზროვნებაში ხელს გვიშლის**

ინტერვიუ მიხეილ ყაველაშვილთან

»»» 4

# ორი არჩევანი ნაკრებისთვის
# ქეცბაია ან ივანკოვიჩი





ივანკოვიჩის ვიზიტის შემდეგ, ახალკაცი ქეცბაიას ესტუმრება

»»» 2

# გერმანელები ლენინგრადის ბლოკადაში



14 მაისი. უეფას თასის ფინალი. მანჩესტერი.

UEFA CUP

**ზენიტი vs რეინჯერსი**

»»» 6



ეროვნული ბიბლიოთეკა




# სიურრეალიზმი

- ირანის მთები ჰაშიშის ზმანებაა,
- სპარსული ხალიჩა ამ მთების თრობაა.

ასეთი იყო სიტყვა არჩიბალდ მეკეშის და ასეთ ქვეყანაში გამონრთობილი კაცი მოდის საქართველოს ნაკრებში. ჯერ კიდევ არის მისხალი შანსი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეთავაზება გაუგზავნოს მორტენ ოლსენს, იქნებ ჟაკ სანტინის ვარიანტსაც მოესინჯოს კბილი, მაგრამ მაინც ივანკოვიჩი - მან ისე ლამაზად და კარგად ზიდა ირანული კურტანი, რომ საქართველოს ნაკრებისთვის ვინძლო შესაფერისი მწვრთნელი იყოს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მეკურტნეც უნდა იყოს - ეს არის ძალიან სპეციფიკური და რთული სამუშაო, რადგან ქვეყანა არის ასეთი. არ უყვარდა მეკურტნეობა კლაუს ტოპმიოლერს, ვისაც კბილებით ბოლომდე ექაჩებოდნენ ფედერაციის პრეზიდენტი და ალმასკომის წევრთა უმრავლესობა. არადა კურტანის ზიდვაც ხელობაა.

ივანკოვიჩმა ირანი 2006 წლის მუნდიალზე გაიყვანა, თუმცა ქების გარდა ყური კრიტიკისთვისაც ჰქონდა შეჩვეული. დაცვითი, მონოტონური ტაქტიკა, არანაირი რისკი, ფრთხილი თამაში - ასეთად იცნობენ ივანკოვიჩს ირანში და არა მხოლოდ იქ. ის გერმანიაშიც მუშაობდა, "ჰანოვერს" წვრთნიდა მეორე ბუნდესლიგაში და ვერც იქ დაიგდო საინტერესო, რომანტიკოსი მწვრთნელის სახელი.

მაგრამ ივანკოვიჩმა ირანში იმუშავა. რომ არა მოთმინების და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, მისი ხელიდან საქმე არ გამოვიდოდა.

ივანკოვიჩის ჩამოსვლამდე "ზესტაფონი"-"დინამოა". თუ "დინამო" მოიგებს, ჩემპიონობას ალბათ ველარავინ მაიმუნობაზე ხელი აღარ უნდა წასცდეს. სხვა საქმეა, პროკურატურა მართლა უზის თუ არა ქართულ ფეხბურთს.

ზოგადად, ეჭვიანობა ავადმყოფობაა. ზოგი დარწმუნებულია, რომ "ჩელსიმ" და "ლივერპულმა" განგებ მიიყვანეს საქმე დამატებით დრომდე, ზოგს იმის სჯერა, რომ მარტყოფში მარწყვი 2003 წელს იმიტომ გაიაფდა, რომ მარტყოფელ მეფსონეებს უცბად დასჭირდათ ბევრი ფული "მილანის" ერთიანზე დასადებად ჩემპიონთა ლიგის ფინალში "იუვენტუსთან". ადამიანის თვისებაა, რაღაცის უნდა სჯეროდეს და ძალიან ბევრს სჯერა, რომ არსებობს ფეხბურთის დიდი, საერთო სინდიკატი, სადაც თავისი ადგილი აქვს საქართველოსაც.

ყველა შემოქმედებას თავის შთაგონების წყარო აქვს. მაგალითად, სიურრეალიზმი ავიღოთ - ჰალუცინაციები, თაფლიანი წყლით აწკეპილი ულვაშები, სალვადორ დალი, გალა...

და რა არის საფეხბურთო სიურრეალიზმი? პრეზიდენტის მახინჯი არჩევნები, ეჭვი, რომ ყველა გასვრილია, აგრესიულად მორჩილი ალმასკომის წევრები, ცუდი რეპუტაციის მქონე წარმატებული ადამიანები - საერთო ჯამში ჰალუცინაციები, რადგან პასუხის მომთხოვნი და პასუხისმგებელი არავინაა.

დავიწყოთ ყველაფერი თავიდან, ყველას ყველაფრისთვის მოვთხოვოთ პასუხი, იყოს სამართლიანობა, გავიმარჯვებთ და ყველაფერი კარგად იქნება,"დინამო" ჩემპიონ, "ზესტაფონი" სალოლ, ჯიგარი ხარ, "ვიტ ჯორჯია"...

პირობას გაძლევთ, სისულელეებით თავს აღარ შეგაწყენთ. ეს ჩვენთანაა, ყველაფერი დამძიმებული რომ არის, თორემ სხვაგან, თუნდაც ინგლისში, სულ სხვანაირად არის მოწყობილი ქვეყანა.

ტაბლოიდმა "სანმა" გუშინწინ ერთი



ვიქტორია ბექჰემი დღეს და...გუშინ
სად გაქრა პოშის ქებული ძუძუმკერდი?

წაართმევს. მთავარი კი ალბათ ის არის, რომ გარიგება არ მოხდეს - მე შენ ჩემპიონობაში ხელს არ შეგიშლი, შენ კი თასის ფინალისკენ ნუ გადამელობები. რა გაეწყობა, ასეთი ეჭვი რომ ჩნდება, ცხოვრებამ მოგვიტანა. პროფლიგა და ფეხბურთის ფედერაცია გვეუბნება, ეროვნულ ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში თუ რამ საეჭვო იქნება, პროკურატურა ჩაუჯდებაო. ასეთი განცხადების ბევრს უნდა შეეშინდეს და ახალი თემა შემოაგდო და თავსატეხიც გაუჩინა მთელ ინგლისს. "სანი" თვალს უხელს ქვეყანას და კითხვას სვამს, დევიდ ბექჰემის ცოლს ადრე თუ გათქვირული მკერდი ჰქონდა, ახლა რისთვის და როგორ დაიპატარავა თავისი მშვენიერი სიმრგვალეებიო. "სანი" ყველაფერს ფაქტობრივი მასალით, ფოტოებით ამყარებს.

ახლა მოდი და: დაეწიე და გაუსწარი ინგლისს!

სამწვრთნელო საკითხი

# ივანკოვიჩი-ქეცბაია: არჩევანი ორს შორის





ბრანკო ივანკოვიჩი და თემურ ქეცბაია

თითქმის ორი კვირაა, რაც ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა საჯაროდ აცხადებს, რომ ნაკრების თავკაცობის კანდიდატთა რიცხვი ოთხამდე დავიდა. გაცხრილვის შედეგად ოთხი მწვრთნელის ვარიანტს განიხილავენ ჩვენი ფეხბურთის თავკაცები. ოთხეულის ვინაობა გუშინდელ ნომერშიც გაგაცანით. ესენი არიან: **ბრანკო ივანკოვიჩი, ჟაკ სანტინი, მორტენ ოლსენი** და **თემურ ქეცბაია**. ამ ქართულ-უცხოურ კვარტეტში ფავორიტად ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩი მიიჩნევა და უცხოელთაგან თბილისშიც პირველი ის ჩამოდის აქაური გარემოს გასაცნობად. შეგახსენებთ, რომ ხორვატი 6 მაისს გვეწვევა და თბილისს მომდევნო დღეს დატოვებს.

საინტერესოა დარჩენილ ტრიოში ვინ ლიდერობს. ჩვენი ინფორმაციით, აქტუალურობის მიხედვით, შემდეგი თემურ ქეცბაიაა. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ მორტენ ოლსენი დანიაში გაცილებით ნაკლებს იღებს, ვიდრე ჩვენი ნაკრების ჩაბარების შემთხვევაში ქართული მხარისგან ითხოვს. მართალია, დანიის ნაკრების მოქმედ თავკაცს კვალიფიკაცია ნამდვილად არ დაეწუნება, მაგრამ **კლაუს ტოპმიოლერზე** მეტ გასამრჯელოს ითხოვს. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ოლსენის კანდიდატურა გამორიცხული არაა, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა.

რაც შეეხება ჟაკ სანტინის, მან ჯერ ერთხელ ითხოვა ორკვირიანი პაუზა, გუშინწინ კი განაცხადა მაისის შუა რიცხვებამდე კიდევ მაცადეთო. ამით ნათელი ხდება, რომ სანტინი ქართულ ვარიანტს წინა პლანზე არ აყენებს. მართალია, მან კოტ დივუარი უარით გაისტუმრა, მაგრამ ტუნისის ნაკრების ჩაბარებაზე მიიღო შეთავაზება და ამაზეც ფიქრობს. ამას გარდა, სანტინის 2-3 კლუბიც ეკურკურება და შესაძლოა ევროპაში ჩემპიონატების დასრულებასაც კი ელის. ერთი სიტყვით, სანტინიმ, მეორეჯერ აღებული ორკვირიანი პაუზით ჩვენი ნაკრების ჩაბარების შანსები თავადვე შეიმცირა.

შესაბამისად, ივანკოვიჩის გარდა, რეალურად ერთი, თემურ ქეცბაიას კანდიდატურაღა რჩება.

ჩვენი ინფორმაციით, თემურ ქეცბაიასთვის მაინცდამაინც მომხიბვლელი არაა ჩვენი ნაკრების მეორე მწვრთნელობა, ეროვნულის თავკაცობაზე კი უარს არაა. თუმცა ქეცბაია ფედერაციის ხელმძღვანელობისგან კონკრეტულ შეთავაზებას ელის ყველა საკითხის გასარკვევად. შეხვედრა-მოლაპარაკებაზე **ნოდარ ახალკაცი** და კომპანიაც არაა უარს. აკი არაერთხელ განაცხადა კიდეც თემურს აუცილებლად შევხვდებიო.

ერთი სიტყვით, ასეთი ვითარებაა, ბრანკო ივანკოვიჩი თბილისში აქაური ვითარების გასაცნობად ჩამოდის და მოლაპარაკებას ადგილზე გააგრძელებს. თუმცა მხარეები ფინანსურ პირობებზე სრულად თუ არა ძირითადზე შეთანხმებულები რომ არ იყვნენ, ივანკოვიჩი საქართველოში ალბათ არც ჩამოვიდოდა. ამის შემდეგ კი, ფედერაციის ხელმძღვანელობა თემურ ქეცბაიას შეხვდება და მასთან ისაუბრებს კონკრეტულად. მერე კი უკვე ამ ორიდან საუკეთესო ვარიანტს აარჩევს.

დაბოლოს, კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ქართულ სამყაროს ამ ბოლო დროს გაუჩნდა - დაინიშნება თუ არა ნაკრების მწვრთნელი არჩევნებამდე, ანუ 21 მაისამდე?

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ისეთი საკითხია, რომ ძნელია ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთა პოზიციების შეფასების დარად, ამასაც უბრალო ანალიზის უნარი ეყოს. სწორედ ამიტომ კომენტარისთვის ფედერაციის ხელმძღვანელობას მივმართეთ.

"ხაზგასმით შემიძლია აღვნიშნო, რომ ეროვნული ნაკრების თავკაცის დანიშვნა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს არანაირად არ უკავშირდება. ეროვნულს არჩევნებამდე, ანუ 21 მაისამდე, ეყოლება ახალი მწრთნელი.

დღეს კიდევ ერთხელ დავუკავშირდით ბრანკო ივანკოვიჩს. გადაწყვეტილია, ის 6 მაისს გამთენიისას ჩამოფრინდება. თბილისს კი მომდევნო დღეს დატოვებს.

ივანკოვიჩის შემდეგ თემურ ქეცბაიასთან გვექნება მოლაპარაკებები და ნაკრების მწვრთნელზეც არჩევანს, ამის შემდეგ გავაკეთებთ. თემურთან შეხვედრას კი ამ დღეებში შევათანხმებთ", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
ბარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# საქართველოში დიდი პროექტების განხორციელება იწყება

## სახელმწიფო ეროვნული ჩემპიონატის დაფინანსებაზეც მიდის

საქართველოში კეთილმოწყობილი სტადიონები და ხარისხიანი მოედნები, ბოლო ათწლეულებში, გადაუჭრელ პრობლემად გვექცა. ორიოდე საჩვენებელი მოედანი სათვალავში კი მიილება, მაგრამ ზღვაში წვეთია. საერთო დონის ასამაღლებლად ამ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია.

თუმცა მდგომარეობის გამოსწორების სურვილი სახელმწიფო სტრუქტურებმაც დააფიქსირეს და კლუბების ხელმძღვანელებმაც. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს არა მარტო უეფას, არამედ საქართველოს შიდა მოთხოვნებიც გამკაცრდება და დღევანდელივით ორმოებიან მოედნებზე თამაშის უფლებას ალარავის მისცემენ.

ჩვენ თანამიმდევრობით მოვყვებით, სამომავლოდ ვინ რა გეგმებს ამზადებს.

### კლუბები სტადიონებს აწესრიგებენ

უახლოეს პერიოდში, თბილისის "ვიტ ჯორჯია" მცხეთაში სტადიონის გათანამედროვებას აპირებს. ამის თაობაზე "ვიტ ჯორჯიას" დირექტორატის წევრი **დავით სამუშია** გვესაუბრება.

**- როგორც შევიტყვეთ, მცხეთის სტადიონის რეკონსტრუქცია გადაგიწყვეტიათ.**

- დიახ, დიდი ხანია, კლუბის ხელმძღვანელობა სტადიონის მოწესრიგებაზე ფიქრობდა და ალბათ, ჩანაფიქრს მალე განვახორციელებთ. შეიცვლება მოედნის საფარი და ხელოვნური დაიგება, მაგრამ მარტო ამით არ შემოვიფარგლებით.

ტრიბუნები, გასახდელები და საერთო სურათი უნდა შეიცვალოს. ტრიბუნა დაახლოებით 1500-2000 მაყურებელს დაიტევს, რომელზეც მთლიანად ინდივიდუალური სკამები დამონტაჟდება. ამას გარდა, აშენდება ახალი გასახდელები, მსაჯთა და დამკვირვებელთა ოთახები. ტერიტორია მთელ პერიმეტრზე შემოილობება, სტადიონი ლამაზად რომ შეიკრას.

ეს იქნება ბოლო თაობის ხელოვნური საფარი, მაგრამ რომელი კომპანია დააგებს, ეს ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. რა თქმა უნდა, ნატურალური ბალახი ხელოვნურს სჯობს, მაგრამ ჩვენს პირობებში, ხელოვნურს ვერც ერთი ბალახი ვერ გაუწევს კონკურენციას. ჯერ ერთი, საფარის დიდი ხარჯია და მეორეც – ამ სფეროს სპეციალისტებიც ცოტანი არიან. ხელოვნურს კი 24-საათიანი დატვირთვაც ვერაფერს ავნებს.

არის ვარიანტი, რომ მოედანი ფედერაციის ნაწილობრივი დაფინანსებით გავაკეთოთ. დიდი ფინანსური საშუალებებით ქართული კლუბები რომ არ გამოვირჩევით, ეს ყველამ იცის. ვერც იმას ვიტყვით, ფული თავზე საყრელად არც ფედერაციას აქვს და წესით, ასეთი ვარიანტი ორივესთვის მისაღები უნდა იყოს. ამ საკითხზე უფრო დეტალურ მოლაპარაკებას მაისიდან დავიწყებთ. სამაგიეროდ კი, მცხეთის სტადიონი რომელიმე ასაკობრივი ნაკრების სავარჯიშოდ, ან ბაზად გამოიყენონ.

მთავარია, ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვეს, თორემ საფარის დაგება პრობლემა არაა. საქმე მაქსიმუმ ერთ თვეში დამთავრდება.

**- რეკონსტრუქციის დაწყებას როდისთვის გეგმავთ?**

- სეზონის დამთავრდება თუ არა, მაშინვე. მომავალი სეზონი საკუთარ კეთილმოწყობილ სტადიონზე რომ დავიწყოთ. მე არ მსურს ჯერ ყველაფერი ვთქვა, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ეს "ვიტ ჯორჯიის" ინფრასტრუქტურის მასშტაბური გეგმის მხოლოდ ნაწილია. თქვენთვისაც საინტერესო იქნება, რომ იგეგმება ჟურნალისტებისა და სტუმრების ლოჟის მოწესრიგება.

"ვიტ ჯორჯიას" ჩანაფიქრი უდავოდ სასიხარულოა. საინვესტიციო გარემო რომ არსებობდეს, ქართულ კლუბებში ყველაზე დიდი სტაჟის მქონე ვეტერინართა პრეზიდენტი **გურამ რუხაძე** სტადიონს აქამდეც მოაწესრიგებდა. მისი ფეხბურთისადმი ერთგულება ამის თქმის უფლებას გვაძლევს.

სტადიონის კეთილმოწყობა სურს თბილისის "მერანსაც", რომლის პრეზიდენტმაც გეგმებზე გუშინდელ ნომერში ისაუბრა. მისი პრეზიდენტი **დილარ ხაბულიანი** სტადიონის ტევადობის 3000-დე გაზრდას გეგმავს.

ბევრისთვის უცნობია, რომ **გიორგი ნემსაძის** სახელობის საფეხბურთო სკოლის ბაზაზე, ზაფხულიდან დიდების გუნდის ჩამოყალიბება იგეგმება, რომელმაც, შესაძლოა, პირველ ლიგაში იასპაროზოს. გუნდისთვის კი, სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სტადიონის რეკონსტრუქცია იგეგმება – ტრიბუნები 1500 მაყურებელს დაიტევს და ხელოვნური საფარი დაიგება. წესითა და რიგით, სტადიონი შემოდგომაზე მზად უნდა იყოს.

### სახელმწიფო პრემიალურები გუნდებს

ეს ყოველივე კერძო საკუთრებაში მყოფი კლუბების გეგმებია. არანაკლებ საინტერესოა, რა დევს სახელმწიფო პროგრამაში, რომლის განხორციელებასაც ხელისუფლება ფეხბურთის ფე-



მომავალი სეზონიდან ვიტ ჯორჯიას ხელოვნურ საფარზე მიიღებს სტუმრებს

დერაციასთან ერთად გეგმავს.

ამის შესახებ, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** მნიშვნელოვანი სიახლეები გაგვიმხილა.

**- ბატონო უჩა, დიდი ხანია, საუბარია იმაზე, რომ მთავრობა რვა სტადიონის მშენებლობას დააფინანსებს. როდის დაიწყება ამის განხორციელება და რომელ ქალაქებში?**

- რეკონსტრუქცია იგეგმება ქუთაისის, ბოლნისის, ბორჯომის, თელავის, ფოთის და ახალციხის სტადიონებზე. ზოგან მეტია გასაკეთებელი, ზოგან ნაკლები. მთავარია, რომ ერთიანად მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა, მოედნები და ფეხბურთელებს იქ თამაშის ხალისი დაუბრუნდეთ.

რაც შეეხება ბათუმს, იქ სტადიონი თავიდანაა ასაშენებელი და ამ ხარჯსაც სახელმწიფო მთლიანად საკუთარ თავზე იღებს.

**- რეკონსტრუქციაზე საუბარი საგურამოს ბაზის გახსნის შემდეგ გვესმის, მაგრამ ჯერ რეალური საქმე არ ჩანს.**

- ეს იმდენად მასშტაბური პროექტია, რომ კარგად დაფიქრება და დამუშავება სჭირდებოდა. სავარაუდოდ, მშენებლობაზე ტენდერი ივლისში გამოცხადდება. ჩვენ პროექტი დეტალურად დავამუშავეთ და ახლა მისი განხორციელება შეიძლება.

**- სახელმწიფოს ეს სიამოვნება რა თანხა დაუჯდება?**

- დაახლოებით 14 მილიონი დოლარი.

**- სახელმწიფო პროგრამის პრეზენტაციის დროს სააკაშვილმა ბრძანა, რომ უმაღლესი ლიგის რვა კლუბი კერძო საკუთრებაში გადავა. უცნაური ისაა, რომ უმაღლესის ცხრა კლუბს ისედაც კერძო მფლობელი ჰყავს.**

- გეტყვით, რაზეა საუბარი: ზოგიერთი კლუბის სამართლებრივი საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია, ზოგიერთი ორმაგ მფლობელობაშია და აქედან გამომდინარეობდა დასახელებული ციფრი.

ასეა მაგალითად, ბათუმის "დინამო", ბოლნისის "სიონი", "ბორჯომი" და "ცხინვალი" და კიდევ რამდენიმე სხვა კლუბიც. კერძო საკუთრებაში გადასაცემი კლუბების სია ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

**- სხვათა შორის, საინტერესოა რა პასუხი გაქვთ "მერანის" პრეზიდენტ დილარ ხაბულიანის კითხვაზე - რატომ ისარგებლებს სახელმწიფოს დახმარებით მხოლოდ რვა გუნდი და არა ყველა ერთად?**

- ასეც არაა საქმე. მე თქვენ გეტყვით ისეთ ინფორმაციას, რომელიც საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი იყო. სახელმწიფო დახმარების პროექტის რამდენიმე დეტალი ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. მთავრობასთან მოლაპარაკება მაისში ბევრ რამეს გადაწყვეტს, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ სტადიონების მშენებლობასთან ერთად, პროგრამაში ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებისათვის დაწესებული პრემიებიცაა გათვალისწინებული.

**- დაგვიკონკრეტებთ, რას გულისხმობთ?**

- შემუშავებულია მოდელი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მონაწილეებისთვის პრემიალურ სისტემას დააწესებს. თანხა უმაღლეს ლიგაში ადგილის მიხედვით განაწილდება და დაურიგდებათ პირველ ლიგიდან გადმოსულებსაც.

საუბარია მილიონებზე, რომელიც კლუბებს სასტარტო ფინანსურ საფუძველს ჩაუყრის, რაც დღეს ასეთი პრობლემურია. სამაგიეროდ, დავაწესებთ მკაცრ მოთხოვნებს, რომ უმაღლესი ლიგის გუნდების ფეხბურთელის თუ თანამშრომლის მინიმალური ხელფასი იყოს ათასი ლარი. ასე საქართველოში ფეხბურთელების გაჩერებისა და ჩემპიონატის დონის გაზრდის წინაპირობას შევქმნით.

პრემიალური თანხის ადგილის მიხედვით განაწილება სამართლიანი იქნება. ასე რომ, სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ რვა ქალაქსა და კლუბზე არაა გათვლილი. ის მთლიანად ეროვნული ჩემპიონატის გაძლიერებას მოხმარდება.

უბრალოდ, ახლა ვაზუსტებთ, რა თანხის გაცემა შეუძლია სახელმწიფოს. დარწმუნებული ვარ, ეს ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის წინგადადგმული უდიდესი ნაბიჯი იქნება. გავა დრო და, ჩემს სიტყვებს დაადასტურებს.

**- ზუსტად პრემიალური თანხის ოდენობა როდის გაირკვევა?**

- ივნისისთვის ეს მოდელი საბოლოოდ დაზუსტდება და თანხის ოდენობაც გვეცოდინება.

**- უმაღლესი ლიგის მონაწილეთა 10 გუნდამდე შემცირებაზე არ ფიქრობთ?**

- მომავალი სეზონი გვაჩვენებს, უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს რამდენი დააკმაყოფილებს. დოგმა არ არსებობს. უნდა იყოს იმდენი გუნდი, რამდენიც ქართული ჩემპიონატის განვითარებისთვისაა საჭირო.

**მერაბ მამულაშვილი**

---

ლეგიონერები

## კვირკველიას გოლი ოთხეულში



დავით კვირკველია

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **დავით კვირკველია** ჩინებულ სეზონს ატარებს. "რუბინის" ახალწვეულმა ბოლოს ჩატარებულ ტურში მოსკოვის "დინამოსაც" გაუტანა. დათოს უბრალო ბურთი არ გაუტანია და ეს რუსულ მასმედიასაც არ დაუტოვებია უყურადღებოდ.

ვებგვერდ "ჩემპიონატ.რუ"-ს ცნობით, დავით კვირკველიამ და ამკარელმა **სიკიმიჩმა**" "შინიკთან" გატანილი ბურთით, მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ტურის საუკეთესო გოლებში. ორივეს გოლმა 7.7% დაიმსახურა. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ ყველაზე ლამაზ გოლად **ექტორ ბრაკამონტეს** მიერ გატანილი მიიჩნიეს.

**დავით ცაბაძე**

---

## კრასნოჟანი სირაძეს აქებს, გოგუაზე წუხს

რუსულ პრემიერლიგაში ბოლოს ჩატარებულ ტურში ნალჩიკის "სპარტაკმა" და მოსკოვის "ლოკომოტივმა" ფრედ ითამაშეს. ნალჩიკელთა გუნდის თავკაცი **იური კრასნოჟანი**, პრესასთან საუბარში განვლილ და მომდევნო თამაშებს შეეხო. კრასნოჟანმა კომენტარში ქართველები, **დავით სირაძე** და **გოგიტა გოგუაც** მოიხსენია. შეგახსენებთ, რომ შეხვედრის ბოლო წუთზე მატჩის არბიტრმა **ივანოვმა** გოგუას მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან გააძევა.

*"... ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, "ლოკომოტივთან" მატჩი რომ მოგვეგო. შემტევი პოტენციალი შეცვლებით გავაძლიერეთ. სირაძემ და კალიმულინმა წინა ხაზი გამოაცოცხლეს, მაგრამ გოლი მაინც ვერ გავიტანეთ...*

*რაც შეეხება მომდევნო შეხვედრას, "ლოკომოტივთან" გოგუა გააძევეს და შემდეგ ტურში, "მოსკვასთან" ვერ გამოვიყენებთ. გოგუას გაძევების გამო მსაჯობაზე პროტესტი არ შეგვიტანია. ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად იციან, რომ ბევრი შეცდომები დაუშვეს და მხოლოდ არბიტრი ივანოვი არ შემცდარა"*, - აღნიშნა კრასნოჟანმა.

**დავით ცაბაძე**

---

**"ლელო" მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ნაკრების ფიზიოთერაპევტისა და საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის" გუნდის ექიმის**

**გოგიტა ლოგუანიძის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ინტერვიუ მიხეილ ყაველაშვილთან

# გროვდება აგრესია, რაც აზროვნებაში გვიშლის ხელს

## ყაველაშვილის დასკვნა: სწავლა 14 წლიდან უნდა დავიწყოთ

**მიხეილ ყაველაშვილი** ღიად და მწვავედ დაუპირისპირდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და მის საქმიანობას. ყაველაშვილის პოზიცია არაერთხელ დაფიქსირებულა "ლელოში" და ზოგადად ქართულ პრესაში. ამ ინტერვიუთი კი შევეცადეთ, ცოტა განსხვავებულ ჭრილში დაგვენახა პრობლემები.

**- გაქვთ მიზეზი და ამბიცია, თქვენი და თქვენ მეგობრები მოხვიდეთ ფეხბურთის ფედერაციის სათავეში - როგორ ფიქრობთ, კარგი საქმის საკეთებლად მაინც და მაინც ესაა აუცილებელი?**

- სანამ ამ ამბიციამდე მივალთ, უნდა ითქვას, რომ ჩვენს ნაკრებებში და ბავშვთა ფეხბურთში უმძიმესი მდგომარეობაა. საქართველოში ვერ ვნახე ობიექტურად მოაზროვნე ადამიანი, ვინც ამას არ ეთანხმება. ასეთ სიტუაციაში გაჩუმება მიულებელია, საზოგადოება უფრო აქტიური უნდა იყოს.

**- რომელ საზოგადოებას გულისხმობთ? იმას, რომელმაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შარშანდელი არჩევნები ყურიდან ყურში გაატარა?**

-შესაძლებელია გამოსავლის პოვნა - თუ რიგგარეშე არჩევნები გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარდება, გამოჩნდება ხალხი, ვინც შეძლებს ქართული ფეხბურთის გაძლოლას. წინა არჩევნებში კონკურენცია იმ პრინციპით არ იყო, თუ ვინ როგორ ფიქრობდა ფეხბურთის განვითარებაზე.

**- თუ გადავხედავთ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ყველა არჩევნებს, ბოლო ორი არჩევნები უწინდელზე უარესი იყო, ანუ ამ მხრივ უკან-უკან მივდივართ და რის საფუძველზე ამბობთ, რომ სამართლიანი არჩევნები უნდა გაიმართოს?**

- სიმართლეზე თვალს რომ ვხუჭავდით, იმიტომ მივედით აქამდე. არ ჩანს საერთო ძალა, რომელიც წინ წაგვიყვანს. გროვდება აგრესია, რაც აზროვნებაში ხელს გვიშლის და სიტუაცია მოშლილია. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს გამოსავალი. ახლა ყველაფერი ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობით უნდა განვსაჯოთ- ისინი ვერ ართმევენ საქმეს თავს და ამას არც აღიარებენ. რატომ არ უნდა მოვთხოვოთ მათ პასუხი ამაზე? სად გადის მათი პასუხისმგებლობის ზღვარი?

**- ეს კითხვა იმას ხომ არ უნდა დაუსვათ, ვინც ფეხბურთის ფედერაციის არჩევნების შარშანდელი სცენარი დაგეგმა? გჯერათ, რომ ხელისუფლება აღარ ჩაერევა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში?**

- თუ არ მოხდება გამიჯვნა პოლიტიკასა და ფეხბურთს შორის, ამას არ შევეგუებით. ხელშეწყობის გარდა ხელისუფლებას ფეხბურთში არაფერი უნდა ესაქმებოდეს.

**- ინგა გრიგოლიას რეზონანსულ ტოქშოუში, როცა თქვენ და თქვენი მეგობრები ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას დაუპირისპირდით, ინტერაქტივმა აჩვენა, რომ ტელემაყურებელთა უმრავლესობა მხარს რიგგარეშე არჩევნებს უჭერდა. თუმცა, როცა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ გკითხათ, რატომ გადადგა შარშანდელ არჩევნებში გამარჯვებული გია ნემსაძე, თქვენ ფაქტობრივად ვერაფერი უპასუხეთ...**

- რაც შარშანდელ არჩევნებზე მოხდა, საშინელება იყო. რაც შეეხება ამ კითხვაზე პასუხს, არ მაქვს უფლება, სხვის მაგივრად ვილაპარაკო. მე ნემსაძეს ვგულშემატკივრობდი არჩევნებში, მაგრამ წინასაარჩევნო პროცესში მონაწილეობა არ მიმიღია. არ ვიცოდი, რა როგორ მოხდებოდა.

**- დავუშვათ, გაიმართა რიგგარეშე არჩევნები. რა კრიტერიუმით უნდა დაუჭიროს მხარი საზოგადოებამ და საფეხბურთო სამყარომ მხარი ყაველაშვილს და მის გუნდს? ფეხბურთელობის შემდეგ რა გააკეთეთ ქართული ფეხბურთისთვის ისეთი, ფედერაციაში მოსვლას რომ იმსახურებდეთ?**

- როცა არჩევნები დაინიშნება, ჩვენს სამოქმედო პროგრამას ყველას გავაცნობთ. დღეს სამართლიანობაზე უნდა ვილაპარაკოთ. რაც შეეხება დამსახურებებს, ამ მხრივ ჯერ მუშაობის პროცესში ვართ: ვაპირებთ, რომ კიდევ უფრო გავაქტიურდეთ. საზოგადოების აზრმა უნდა გაიმარჯვოს - ეს არის ჩვენი მიზანი.

**- ჩვენი საზოგადოება სიყალბეზე დგას, ხოლო უშუალოდ საფეხბურთო სამყაროში რაც ხდება, ესეც კარგად გეცოდინებათ - გარიგებული მატჩები, საარჩევნო ხმების ყიდვა-გაყიდვა, უპასუხისმგებლობა...**



მიხეილ ყაველაშვილი
ნუგზარ სუარიძის ფოტო

- თავისი საქმე ყველამ სამართლიანად უნდა აკეთოს და უსამართლობას ვინც სჩადის, იმას პასუხი მოვთხოვოთ.

**- ფეხბურთელობის შემდეგ მწვრთნელობას აპირებდით, C ლიცენზიაც აიღეთ. ახლა ენერგიას სხვა საქმეს ახმართ - მწვრთნელობაზე ხელი აიღეთ?**

- დეკემბერში შვეიცარიაში B ლიცენზიის კურსებზე შევალ. სამწვრთნელო კარიერას ვაპირებდი, მაგრამ ქართულ ფეხბურთში არსებულმა სიტუაციამ ვერ გამაჩერა. რომ არა ეს, ახლა ალბათ მწვრთნელი ვიქნებოდი.

**- მწვრთნელი ერთხელ უკვე იყავით - ევრო 2004-ის შესარჩევის ორ თამაშში საქართველოს ნაკრების დროებითი მთავარი მწვრთნელის მერაბ ჟორდანიას თანაშემწე იყავით. როგორი იყო მწვრთნელის თვალით დანახული საქართველოს ნაკრები?**

- არსებობდა კარგი მასალა ანუ ფეხბურთელთა კონტინგენტი და არ არსებობდა გამოცდილი მწვრთნელი. ეს იყო ჩვენი ნაკრების პრობლემა. მწვრთნელობა რომ მომიწია, სხვა რამეც დავინახე: ფეხბურთელებში არ იყო სათანადო სულისკვეთება და განწყობა - როცა ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში მიდის, მწვრთნელს მისთვის ამაზე ლაპარაკი არ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ საქართველოში ფეხბურთელს ამაზე 14 წლიდან უნდა ელაპარაკო - მე ამ დასკვნამდე მივედი. ჩვენი ერი ჩამოყალიბების პროცესშია.

**- დაბოლოს, 3 ივნისს შოთა არველაძის გამოსათხოვარ მატჩში აპირებთ თამაშს?**

- რამდენიმე ხნით ვარჯიში მივატოვე, არადა ჩემი ტრავმირებული მუხლისთვის სპეციალური დატვირთვები აუცილებელია - გარე იოგები მაქვს დაზიანებული. ახლა ისევ დავიწყებ ვარჯიშს და ვნახოთ...

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXIV ტურის წინათქმა

# შესაძლოა, ჩემპიონი ხვალვე გამოვლინდეს



დინამო-ზესტაფონი პირველ წრეში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 23 | 20 | 1 | 2 | 58-13 | 61 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 23 | 18 | 3 | 2 | 43-10 | 57 |
| 3. ზესტაფონი | 23 | 17 | 4 | 2 | 53-14 | 55 |
| 4. ამერი | 23 | 14 | 2 | 7 | 46-24 | 44 |
| 5. ოლიმპი | 23 | 13 | 4 | 6 | 23-16 | 43 |
| 6. მესხეთი | 23 | 9 | 5 | 9 | 24-28 | 32 |
| 7. ბორჯომი | 23 | 9 | 4 | 10 | 28-29 | 31 |
| 8. მგლები | 23 | 8 | 3 | 12 | 21-29 | 27 |
| 9. სიონი | 23 | 7 | 5 | 11 | 24-32 | 26 |
| 10. ლოკომოტ. | 23 | 6 | 5 | 12 | 16-26 | 23 |
| 11. სპარტაკი | 23 | 4 | 7 | 12 | 10-25 | 19 |
| 12. მერანი | 23 | 5 | 1 | 17 | 12-46 | 16 |
| 13. ბათუმი | 23 | 4 | 3 | 16 | 13-44 | 15 |
| 14. დილა | 23 | 1 | 5 | 17 | 10-46 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 14 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 12 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 11 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| აკირემი (დინამო) | 9 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 9 |
| გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი) | 9 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტ./ბათუმი) | 8 |
| ინასარიძე (მესხეთი) | 8 |

**ამ ტურზე** "ლელოს" წინა ნომრებში ვრცლად ვისაუბრეთ, ამიტომ აღარ განვმეორდებით და მხოლოდ მოკლედ შეგახსენებთ, რომ დღევანდელ და ხვალინდელ მატჩებს სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა შეუძლია. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ისიც კი შესაძლებელია, რომ ხვალ "დინამომ" ჩემპიონის ტიტული გაინაღდოს. საამისოდ "ზესტაფონის" ძლევა და "ვიტ ჯორჯიას" დამარცხებაა საჭირო.

### 17:00 ლოკომოტივი-სპარტაკი

2 მაისი. თბილისი. მ. მესხი
პირველ წრეში: 0:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლოკომოტივი: მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილავა, ზ. ჩხეტიანი, ცქიტიშვილი, წულაძე, სამხარაძე, დარასელია, ალექსიძე

სპარტაკი: კოდალაევი, კუპრეიშვილი, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, ხაჭიპერაძე, თარხნიშვილი, გოგოხია, დათუნაშვილი, ტყეშელაშვილი, ხიდეშელი, ვ. კვარაცხელია

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

"ლოკომოტივს" თავი თითქმის ქუდში აქვს. თუკი რკინიგზელებმა "სპარტაკს" მოუგეს, დღეს უკვე ოფიციალურად დაიბევებენ უმაღლეს ლიგაში დარჩენას. სტუმრებსაც გამარჯვება სჭირდებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფლეი ოფში მოხვედრის შანსებს შეიმცირებენ.

### 17:00 დილა-მერანი

2 მაისი. გორი. თ. ბურჯანაძე
პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

დილა: ცერცვაძე, ბალაშვილი, ბალიაშვილი, გვეტაძე, ტლაშაძე, ნ. ნოზაძე, სადალაშვილი, ი. ლომიძე, ლ. რეხვიაშვილი, ნინამძღვრიშვილი, რატიანი

*დისკვალიფიკაცია: საყვარელიძე, შატაკიშვილი, ბერიანიძე*

მერანი: თევდორაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, ბაკურაძე, კობერიძე, იაკობ დეისაძე, იაგო დეისაძე, ტიელიძე, გოჩაშვილი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

"მერანმა" გორში ულაპარაკოდ უნდა მოიგოს, სხვაგვარად, უმაღლესში ადგილის შენარჩუნების ისედაც მიზერულ პერსპექტივას დაკარგავს. გორელები კარგა ხანია, უმოტივაციოდ თამაშობენ, მაგრამ მაინც არაა გამორიცხული, თბილისელებს მედგარი წინააღმდეგობა რომ გაუწიონ. "მერანს" სამ ქულასთან ერთად, "სპარტაკის" წაფორხილებაც სჭირდება.

### 17:00 მესხეთი-ბათუმი

2 მაისი. ახალციხე. მ. იაძე
პირველ წრეში: 2:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

მესხეთი: სომხიშვილი, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი, თ. ლონლაძე, რაქვიაშვილი, ლეკიშვილი, მ. თაყაძე, კოშკაძე, გვირჯიშვილი, კ. ხანიშვილი, ი. კიკნაძე

ბათუმი: სტურუა, თედორაძე, კ. მახარაძე, კუნჭულია, მაკარიანი, ცანავა, ქებაძე, ბაბუნაშვილი, ბეჟანიძე, გაგა ჩხეტიანი, გ. ნოდ. ჭელიძე

არბიტრი: ლ. სილაგავა

"ბათუმს" გადარჩენის კიდევ უფრო მცირე შანსი აქვს. "მესხეთი" შინ ყოველთვის ძლიერია და ვნახოთ, როგორ შეუშლის ხელს მეტოქეს მიზნისთვის ბრძოლაში. შესაძლოა, აჭარულმა კლუბმა შანსი კიდევ შეინარჩუნოს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ბათუმელებმა საუმაღლესლიგო იმედები დღესვე დაკარგონ.

### 17:00 მგლები-სიონი

2 მაისი. ზუგდიდი. თუთბერიძე
პირველ წრეში: 1:3

**სავარაუდო შემადგენლობები**

მგლები: ივარდავა, ზ. ექონია, ჟვანია, ხუხია, კაკაბაძე, ხოხონიშვილი, ვართაგავა, დ. ქირია, წურწუმია, ჯანაშია, კრასოვსკი

სიონი: გ. იაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, ბოიომო, კობაური, ბაჯელიძე, შავგულიძე, სანიკიძე, ზ. ჭელიძე, ზ. ავალიანი, ჩასემი

*დისკვალიფიკაცია: გ. ოქროპირიძე*

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

**ტურის** ყველაზე უმნიშვნელო შეხვედრა აბსოლუტურად არაფერს წყვეტს. ერთი ეგაა, რომ ყოველგვარი წნეხის გარეშე მოთამაშე მეტოქეები მაყურებელს, ალბათ, გახსნილ და სანახაობრივ ფეხბურთს შესთავაზებენ.

### 17:00 ზესტაფონი-დინამო

3 მაისი. ზესტაფონი. ცენტრალური
პირველ წრეში: 0:2
*Live მზეზე*

**სავარაუდო შემადგენლობები**

ზესტაფონი: ჭანტურია, ლობჟანიძე, ს. თოდუა, შ. ლონლაძე, აკუასაგა, ნ. კვასხვაძე, კესანი, რ. ონიანი, ვიეირა, ბ. გოცირიძე, ბიტონ

*დისკვალიფიკაცია: საჯაია*

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, აკირემი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**შარშან** "დინამო"-"ზესტაფონმა" პირველი წრის გამარჯვებული გამოავლინა, "ზესტაფონი"-"დინამო" კი საქართველოს ჩემპიონს გამოავლენს. ბუნებრივია, მხოლოდ ეს მატჩი ყველაფერს ვერ გადაწყვეტს. დინამოელები პარალელურად მიმდინარე მცხეთურ დაპირისპირებაზეც იქნებიან დამოკიდებულები, საერთო ჯამში კი, ბუნებრივია, ყველაფერი მაინც ერთპიროვნულ ლიდერთა ხელშია. მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს "კოლხიდა" ტელეკომპანია "მზის" ეთერით აწარმოებს.

### 17:00 ვიტ ჯორჯია-ამერი

3 მაისი. მცხეთა. არმაზი
პირველ წრეში: 3:0 (ტექნიკური)

**სავარაუდო შემადგენლობები**

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ბეჟვაია, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ლუჟაშვილი, სახოკია

ამერი: ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, დიდავა, დობროვოლსკი, შალამბერიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე

*დისკვალიფიკაცია: დეკანოსიძე, მემარნიშვილი*

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**ჩემპიონატის** ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი შემთხვევა გლდანში მოხდა. შეგახსენებთ, "ამერი"-"ვიტ ჯორჯია" პირველ წრეში, 0:1-ზე მსაჯობით უკმაყოფილო მასპინძელთა ინიციატივით ჩაიშალა. ხვალინდელი შეხვედრა სატურნირო თვალსაზრისით, გლდანელთათვის არცთუ მნიშვნელოვანია, მაგრამ არავის ეპარება ეჭვი, რომ თასის მფლობელები მცხეთაში ბოლომდე დაიხარჯებიან. **გიორგი დეკანოსიძე** "ამერისთვის" დიდი დანაკლისია, ბოლო ტურებში იგი აშკარად გამოირჩეოდა. "ვიტ ჯორჯიას" მიზანი გამარჯვებაა, სხვაგვარად, ვეტერინარები არა მხოლოდ საჩემპიონო შანსებს დაკარგავენ, მეორე ადგილის პერსპექტივასაც შეიმცირებენ.

### 17:00 ოლიმპი-ბორჯომი

3 მაისი. რუსთავი. ფოლადი
პირველ წრეში: 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ოლიმპი: გ. ლომაია, ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, კახელიშვილი, ხუბუა, ჯოჯუა, სებისკვერაძე, გენაძე, დევდარიანი, ომელიანოვი

ბორჯომი: სეფიაშვილი, ქარქოზაშვილი, კაკუბავა, გურული, გივი ჩხეტიანი, ქავთარაძე, ვ. ბოლქვაძე, კირთაძე, შ. გრიგალაშვილი, ჩირიკაშვილი, ჯოუსტი

არბიტრი: მ. ურუშაძე

**ზუგდიდურის** მსგავსად, არც რუსთაული მატჩი იქცევს დიდ ინტერესს. "ბორჯომი" თასის განმეორებითი ნახევარფინალისთვის ემზადება, "ოლიმპი" კი ინტერტოტოს საგზურისთვის იბრძვის, თანაც, მოქმედ ჩემპიონზე ყველაფერი არაა დამოკიდებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# საქართველოს ჩემპიონატი. თვის ნომინანტები. აპრილი

გია ტუხაშვილის პროექტი

## მწვრთნელ(ებ)ი — დუშან უჰრინი (დინამო), კობა ჟორჟიკაშვილი (სპარტაკი)





ამ სეზონში უკვე მესამე შემთხვევაა, როცა ამ ნომინაციაში ერთდროულად ორი გამარჯვებული გვყავს. ჯერ "დინამოს" გამოცდილ დამრიგებელზე ვისაუბროთ: **დუშან უჰრინის** ხელმძღვანელობით ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა აპრილში, მართლაც, შთამბეჭდავად ითამაშა. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, როგორ "მძიმედ" დაიწყო "დინამომ" მეორე წრე. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აპრილში უკვე "ნამდვილი" "დინამო" ვიხილეთ! ამ პერიოდში იყო სწორედ ორი დიდი ანგარიშით გამარჯვებაც, ასევე, "ფერზე მოსულ" "ამერთან" შემოტრიალებული მატჩი და, რაღა თქმა უნდა, თვის და, ალბათ, მეორე წრის ცენტრალური შეხვედრა უშუალო კონკურენტ "ვიტ ჯორჯიასთან". მცხეთაში 18 აპრილს გამართული მატჩი ემოციებით დატვირთული გამოდგა - შეხვედრის შედეგს ხომ ორივე გუნდისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ მატჩი ფრედ დასრულდა და, ალბათ, ეს ერთი ქულა "დინამოსთვის" ფასდაუდებელიც გახდეს. ჰო, ეგრეა - ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე არა გვგონია, რომ დუშან უჰრინის გუნდმა ოთხქულიანი უპირატესობა გაფლანგოს. ჰოდა, ძალიან მალე "დინამო" საქართველოში უპირველესი გუნდის სახელს დაიბრუნებს, ხოლო თავის სამშობლოში დიდად დაფასებული და აღიარებული დუშან უჰრინი ისედაც მდიდარ კოლექციას კიდევ ერთი ტიტულით გაამდიდრებს...

...უმაღლესი ლიგიდან გასავარდნად არცერთი გუნდი გვემეტება, მაგრამ იმედია სხვები არ გვიწყენენ, თუ განსაკუთრებულ სიმპათიას ცხინვალის "სპარტაკის" მიმართ გამოვიჩენთ. პოლიტიკური ნიუანსები აქ არაფერ შუაშია: უბრალოდ, ეს ახალგაზრდული გუნდი ყველა მატჩში ფეხბურთს თამაშობს! აპრილში "სპარტაკს" უმძიმესი თამაშები ჰქონდა (სტუმრად- "ამერთან" და "მესხეთთან", შინ - "ვიტ ჯორჯიასთან" და "ზესტაფონთან") და შესაძლოა, ბევრმა ჩვეულებრივ შედეგადაც შეაფასოს ამ ოთხ მატჩში მოპოვებული სამი ქულა; თუმცა, გავიხსენოთ, თუ ვისთან ითამაშა ფრედ "სპარტაკმა"-"ვიტ ჯორჯიასთან" და "ზესტაფონთან", ჩემპიონობის ორ რეალურ კანდიდატთან. ანუ, ისე გამოვიდა, რომ ერთ-ერთმა აუტსაიდერმა საჩემპიონო რბოლაში სერიოზული კორექტივები შეიტანა. მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ "სპარტაკს" თავისი გასჭირვებია და დარჩენილ სამ ტურში არანაკლებ უმძიმესი თამაშები ელოდება. ახალგაზრდულ გუნდზე აშკარა სიმპათიით ვსაუბრობთ და არაფერი გვითქვამს მთავარ მწვრთნელზე. **კობა ჟორჟიკაშვილზე** ვერავინ იტყვის, გუშინ ან გუშინწინ მოვიდა ფეხბურთშიო; სხვადასხვა დროს საქართველოს 17 და 19 წლამდე ნაკრებებიც გაუწვრთნია; თანაც, ისეთი შედეგებიც ჰქონდა, ახლა რომ "მესიები" გვყავდა (**ჰერბერტ ცანკერი და ჰაინც ტოპმიოლერი**), იმათთან შედარება, სირცხვილიც არის. საკლუბო დონეზეც უმუშავია, მაგრამ ამ კუთხით ყველაზე ნათლად მისი შესაძლებლობები "სპარტაკში" გამოჩნდა. მოკლედ, თუ სამართლიანობის პრინციპებს ვიცავთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ კობა ჟორჟიკაშვილს თავის უფროს კოლეგა დუშან უჰრინთან ერთად სამართლიანად ეკუთვნის თვის მწვრთნელობა!

## აპრილის სიმბოლური ნაკრები




## მოვლენა: კაცების დაბრუნება

მარტის მთავარ მოვლენად **რატი ალექსიძის, ვიტალი დარასელიასა და გიორგი მეგრელაძის** საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნება მივიჩნიეთ. სასიამოვნოზე მეტი ეს ტენდენცია აპრილშიც გაგრძელდა და ჩვენს ჩემპიონატს საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების მერე **ლევან ცქიტიშვილი** და **გიორგი ლომაია** დაუბრუნდნენ. თანაც, არანაკლებ სასიამოვნოზე მეტია ის ფაქტიც, რომ ცქიტიშვილიცა და ლომაიაც განსაკუთრებული მოტივაციით თამაშობენ: ლევანის ბრძნული თამაში "ლოკომოტივს" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში უნდა დაეხმაროს; გიორგის საიმედო მეკარეობამ კი "ოლიმპს" გამარჯვების რწმენაც დაუბრუნა. თანაც, ბოლო წლების ყველაზე ნიჭიერი ქართველი მეკარისთვის სათამაშო პრაქტიკა აუცილებელი კი არა, ალბათ, სასიცოცხლო მნიშვნელობისაც იყო. მით უმეტეს, მას მერე, რაც **კლაუს ტოპმიოლერმა** ასე ულმობლად გაწირა. არადა, ლომაიაც, ცქიტიშვილიც, ალექსიძეც და დარასელიაც ქართულ ფეხბურთს ისევ სჭირდებიან. იმიტომ, რომ ფეხბურთი ყოველთვის კაცების თამაში იყო...




## ფეხბურთელ(ებ)ი — ჟილვან ვიეირა (ზესტაფონი), დავით ოდიკაძე (დინამო)






აპრილში ბევრი საინტერესო მატჩი გაიმართა, რამდენიმე ფეხბურთელმა, მართლაც, შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა; მაგრამ ერთი, სხვებისგან ბევრად გამორჩეული არავინ ყოფილა. ამიტომაც, ამ ნომინაციაშიც ორი გამარჯვებული გვყავს - "ზესტაფონის" მარცხენაფლანგელი **ჟილვან ვიეირა** და "დინამოს" მარჯვენაფლანგელი **დავით ოდიკაძე**. შესაძლოა, ვინმემ ფლანგის ფეხბურთელების მიმართ გადაჭარბებულ სიმპათიაში დაგვადანაშაულოს; მაგრამ იმაში კი, ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება, რომ ფეხბურთში ლამაზი გარღვევა, მოხდენილი დრიბლინგი და ზუსტი გამჭოლი პასი დღესაც ბევრად ფასობს. აი, როგორც ჩვენი რჩეულები თამაშობენ: ვიერა - მარცხნიდან და ოდიკაძე - მარჯვნიდან. ჯერ ბრაზილიელზე ვთქვათ: ვიეირა უკვე მეორე სეზონია "ზესტაფონის" შეუცვლელი და, რაც მთავარია, ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია; სისწრაფითაც გამოირჩევა, "სტანდარტულებსაც" ჩინებულად ასრულებს და გოლების გატანასაც მოუხშირა. აღარაფერს ვამბობთ ზემოთნახსენებ ფლანგურ გარღვევებზე, მოხდენილ დრიბლინგსა თუ ზუსტ გადაცემებზე. ამასთან ერთად, ვიეირა სტაბილურობითაც გამოირჩევა და, ალბათ, შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ "ზესტაფონის" მარცხენაფლანგელი უკვე მესამედ მოხვდა თვის სიმბოლურ ნაკრებში. ასეთი პატივი მეორედ ერგო დავით ოდიკაძეს; ფეხბურთელს, ვისაც ლამის ყოველ ტურში უწევს იმის დამტკიცება, რომ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. "ოდოს" მთელი პირველი წრე **გიორგი ფეიქრიშვილთან** უწევდა კონკურენციის გაწევა; მეორე წრიდან კი მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე კონკურენტად **ილია სპასოევიჩი** ჰყავს. თუმცა ოდიკაძეს დანებება არ უყვარს და თამაშით ამტკიცებს, რომ "დინამოსთვის" უაღრესად საჭირო ფეხბურთელია. ერთი მომენტიც არის - ძალიან ბევრია ისეთი ფეხბურთელი, ვინც მტკივნეულად განიცდის მოედნიდან გამოსვლას ან შეცვლაზე შესვლას. როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეეფერება, ოდიკაძე ყველაზე მაღლა გუნდის ინტერესებს აყენებს და ამ სეზონშიც არაერთხელ იყო ისეთი შემთხვევა, როცა შეცვლაზე შემოსულს გადამწყვეტი გოლი გაუტანია. აღარაფერს ვამბობთ ასისტენტობაზე - "მესხეთთან" მატჩში ხომ სულაც სამი საგოლე პასი გააკეთა!

ოდიკაძე-ფეხბურთელის კიდევ ერთი პლუსი უნივერსალიზმიც არის - ფორვარდიც იყო და მარჯვენა მცველიც, ხშირად ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზეც გვინახავს და ცენტრშიც; მაგრამ მისთვის იდეალურად მაინც დღევანდელი პოზიცია გვეჩვენება - ჟურნალისტები მარჯვენა გარემარბად რომ ვნათლავთ.

...ზემოთ ვთქვით, რომ ოდიკაძეს დანებება არ უყვარსო; ასეთი რამ კი პიროვნულად ძლიერ ადამიანებს ახასიათებს. მით უმეტეს, რომ დიდი დრო არ გასულა მას მერე, რაც დავით ოდიკაძე დიდ ფეხბურთს უმძიმესი პირადი ტრაგედიის შემდეგ დაუბრუნდა...

ბარსელონა

# ჩიკის შავი სია

## კატალონიურ გრანდში მასობრივი წმენდა იგეგმება




ანრი ბეგირისტაინისეულ წმენდაში მოყვება

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან გამოვარდნის შემდეგ "ბარსელონაში" სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. უკვე ზედიზედ მეორე წელია, რაც კატალონიური გრანდი აბსოლუტურად ხელმოცარული დარჩა. ამით შეშფოთებულმა "ბარსას" ხელმძღვანელობამ კლუბში სერიოზული წმენდის ჩატარება გადაწყვიტა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა კატასტროფულად ჩატარებული სეზონის შემდეგ, დირექტორატი რადიკალურ ნაბიჯების გადადგმაზე დაფიქრდა. გაიხსენეთ, თუნდაც 1994 წელი. "მილანთან" განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ **იოჰან კრუიფმა** შემადგენლობის ძირფესვიანად გადახალისება მოითხოვა. რეპრესიები შემდგომი წლების „ბარსელონასაც„ ახსოვს. მოკლედ, ტრადიცია არ ირღვევა და კატალონიური გიგანტის შეფები ახალი წმენდისთვის ემზადებიან.

"დიარიო მარკას" მტკიცებით, **ჩიკი ბეგირისტაინმა ჟოან ლაპორტასთან** კონსულტაციის შემდეგ შავი სია შეადგინა. ამ სიის სათავეში **რონალდინიო** და **ტიერი ანრი** არიან მოქცეულები. რატომ მაინცდამაინც რონალდინიო და ანრი? ბეგირისტაინს არგუმენტის გამომზეურება არ გაუჭირდება. რონალდინიო ამ სეზონში საფეხბურთო რუკიდან გაქრა. ბრაზილიელი ფეხბურთელი სამარცხვინოდ ასპარეზობდა და ხელმძღვანელობას თავი მოაბეზრა. რამდენიმე დღის წინ გაუჩოს შესახებ **ფრანკ რაიკაარდმა** და ჟოან ლაპორტამ ისაუბრეს. მთავარმა მწვრთნელმა პირდაპირ განაცხადა, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ რონალდინიო "ბარსელონის" ფეხბურთელი აღარ არისო. პრეზიდენტმა კი სატრანსფერო თანხა დაასახელა. სენიორ ლაპორტა მზადაა 40 მილიონის სანაცვლოდ სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი დღესვე გაყიდოს. მოგეხსენებათ, მისი შეძენის სურვილი "მილანს" ამოძრავებს. ერთი შეხედვით, იტალიური გრანდი უკან არაფერზე დაიხევს, მაგრამ სავარაუდოდ, ამ ტრანსფერის გაჩარხვას მაინც დიდი დრო დასჭირდება. მხარეებს შორის დიდი ვაჭრობა გაჩაღდება. ესპანური მედია, ასეთ მოლაპარაკებებს საპნის ოპერას უწოდებს. მსგავსი ისტორიები მართლაც ტელესერიალივით იწელება ხოლმე...

ბეგირისტაინის შავი სია საკმაოდ გრძელია. მოდით, „ბარსელონის" ხელმძღვანელობის მიერ გასაყიდად გამზადებულ მოთამაშეებზე თანმიმდევრულად ვისაუბროთ:

**ტიერი ანრი:** ფრანგი ფორვარდი სეზონის დასაწყისში "არსენალიდან" დიდი ზარ-ზეიმით გადაიბირეს. გემახსოვრებათ, რომ მის პრეზენტაციაზე 40 ათასზე მეტი ადამიანი მივიდა. ასეთი დახვედრა "ბარსელონის" არცერთ ახალწვეულს არ ახსოვს. კატალონიური საფეხბურთო საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ ანრი "კამპ ნოუზე" ფანტასტიკურ კარიერას გაიკეთებდა. თუმცა იმედი არ გამართლდა. როგორც ჩანს, ტიერიმ საუკეთესო წლები "არსენალს" შეალია და "ბარსელონაში" დაღმავალი გზით სიარული დაიწყო. ესპანელი მიმომხილველები შემთხვევით არ ამბობენ, რომ ანრი სწორედ ლონდონური კლუბისთვის იყო დაბადებული. დღეს მის იტალიურ კარიერასაც იხსენებენ. როგორც იცით, ანრის "იუვენტუსშიც" სერიოზული პრობლემები ჰქონდა.

**ლილიან ტურამი:** ვეტერან ფრანგ მცველს "ბარსელონასთან" გაფორმებული ხელშეკრულება მიმდინარე წლის 30 ივნისს ეწურება. ტურამი კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს. ახალ კლუბში ის საკომპენსაციო თანხის გადახდის გარეშე გადავა.

**ედმილსონი:** ედმილსონი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც "ბარსელონაში" არსებულ დაჯგუფებებზე ღიად და დაუფარავად ისაუბრა. ის ამბობდა, რომ შემადგენლობა რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი და ე.წ. მსოფლიო ვარსკვლავები უდიდესი პრივილეგიებით სარგებლობენო. მისი გულახდილობით კლუბის ხელმძღვანელობა უკიდურესად აღშფოთებული დარჩა და ბრაზილიელ ნახევარმცველს სასტიკი საყვედური გამოუცხადა. როგორც ამბობენ, ედმილსონმა იმ პრესკონფერენციით საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

**სანტი ესკერო:** ბასკი ფორვარდის გადაბირებას მიმომხილველები უდიდეს შეცდომად აფასებენ. ესკერომ კატალონიაში რამდენიმე წელი გაატარა, მაგრამ თითქმის მთელი დრო სათადარიგოთა სკამზე იჯდა. აღსანიშნავია, რომ მისი ტრანსფერი ჩიკი ბეგირისტაინის პირადი ინიციატივით განხორციელდა. გენერალური დირექტორი აღიარებს, რომ წლების წინ შეცდომა დაუშვა. ესკერო სავარაუდოდ "ბილბაოში" დაბრუნდება.

**დეკუ:** პორტუგალიელის საწინააღმდეგო წესით არავის არაფერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ მისი წასვლა გადაწყვეტილი ყოფილა. ეს ის შემთხვევაა, როცა თანამშრომლობის გახანგრძლივების სურვილი არც ერთ მხარეს არ გააჩნია. დეკუ წარუმატებელი ორი სეზონით უკიდურესად უკმაყოფილოა და კარიერის გადასარჩენად ახალ გუნდში გადაბარგებას სასიცოცხლოდ აუცილებლად მიიჩნევს. ხელმძღვანელობას კი მისი აღვირახსნილი ცხოვრება არ მოსწონს. ცნობილია, რომ პორტუგალიელი თითქმის ყოველ ღამე ბარებსა და რესტორნებში დაეხეტება და დილით ვარჯიშზე გამოუძინებელი მიდის. სხვათა შორის, დეკუს არაერთხელ უთქვამს, ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და გართობა გვჭირდებაო.

**ეიდურ გუდიონსენი:** ისლანდიელი ფორვარდი "კამპ ნოუზე" ფრანკ რაიკაარდის მოთხოვნით ჩაიყვანეს. ჩიკი ბეგირისტაინს მის ნაცვლად **დიეგო ფორლანის** შეძენა უნდოდა, მაგრამ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა თავისი გაიტანა და გენერალური დირექტორი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო. კატალონიელი ჟურნალისტების მტკიცებით, ეიდურს ეშმაკიც ვერ უშველის.

**სილვინიო:** ლილიან ტურამის მსგავსად, "ბარსასთან" გაფორმებული კონტრაქტი ბრაზილიელსაც მიმდინარე წლის 30 ივნისს ეწურება. სილვინიოს "ბარსელონიდან" წასვლა არ სურს, მაგრამ მასზე ძალიან ცოტა რამ არის დამოკიდებული. სამხრეთამერიკელი ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ასპარეზობს. ამიტომ მისთვის მუქთა ხელფასის გადახდა ყელში ამოუვიდათ.

**რაფაელ მარკესი:** როცა მარკესი კარგ ფორმაშია, მას ვერაფერს უსაყვედურებთ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბოლო ორი სეზონის განმავლობაში მექსიკელ მცველს ტრავმების გამო ძალიან დიდი დრო გაუცდა. "ბარსას" ხელმძღვანელობას მისი თავგასულობა ყელში ამოუვიდა. საქმე ის არის, რომ რაფაელი მსახიობ **ჯეიდი მიტჩელზე** ყურებამდეა შეყვარებული. ეს გოგონა კი მადრიდში ცხოვრობს და ბარსელონაში იშვიათად თუ ჩადის. მარკესი თავს იმის უფლებას აძლევდა, კლუბის ხელმძღვანელების ნებართვის გარეშე, ესპანეთის დედაქალაქში ჩასულიყო და მიტჩელთან დაუვიწყარი ღამეები გაეტარებინა.

**ჯანლუკა ძამბროტა:** "ოლდ ტრეფორდზე" დაშვებული შეცდომის შემდეგ, იტალიელის წასვლა არავის დასწყვეტს გულს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძამბროტა "ბარსელონის" სტილს ბოლომდე ვერ მოერგო. მართალია, დაცვაში საიმედოდ ასპარეზობს, მაგრამ შეტევებში კარგად ვერ ერთვება. ყოველ შემთხვევაში, მის გადაცემებს სიმწვავე არ ახლავს. "ბარსელონას" კი სწორედ შემტევი ყაიდის მცველი სჭირდება.

**ფრანკ რაიკაარდი:** ბოროტი ენების მტკიცებით, "კამპ ნოუდან" წასვლა მხოლოდ ფეხბურთელებს არ მოუწევთ. როგორც ამბობენ, რაიკაარდს "ბარსელონა" სეზონის დასრულების შემდეგ გაათავისუფლებს. საგულისხმოა, კატალონიური გრანდის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული **ჟილ ვან ეილეს** მოკლე განცხადება. აი, რას ამბობს რაიკაარდის თანაშემწე: *"ფრანკი ჩემი მეგობარია. ცხოვრების ბოლომდე მისი მადლიერი ვიქნები. მან მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ უდიდეს გრანდში მუშაობის საშუალება მომცა. სამწუხაროდ, ლამაზი ზღაპარი მალე დამთავრდება. რამდენიმე კვირაში რაიკაარდი "ბარსელონიდან" წავა. ბუნებრივია, მეც მას გავყვები."*

ჰოლანდიელის ბედი გადაწყვეტილი რომ არ იყოს, მისი თანაშემწე ასეთ რამეს, რა თქმა უნდა, არ იტყოდა...

**ილია ნიკოლაიშვილი**

უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

# პიტლერ კაპუტ!

## გერმანელები ლენინგრადის ბლოკადაში. ადვოკაატი წარსულს ხვდება

**ზენიტი–ბაიერნი 4:0 (1:1)**

**ზენიტი:** მალაფეევი, კრიჟანაცი, ანიუკოვი, ტიმოშჩუკი, ზირიანოვი, გორშკოვი, დენისოვი (90. იონოვი), შიროკოვი, ფაიზულინი, პოგრებნიაკი, დომინგესი (89. ლი).

**ბაიერნი:** კანი, ლამი, ლუსიო, იანსენი (46. ლელი), ვან ბომელი, ზე რობერტო (48. პოდოლსკი), შვაინშტაიგერი, დემიკელისი, რიბერი, კლოზე (63. სოსა), ტონი.

**გოლები:** 1:0 პოგრებნიაკი (5), 2:0 ზირიანოვი (39), 3:0 ფაიზულინი (56), 4:0 პოგრებნიაკი (73)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 1-2; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 11-11 (4-0); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 21 000

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

მოიგებს თუ არა უეფას თასს, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ზენიტი" ევროსეზონის ნამდვილი აღმოჩენაა. ერთი გამარჯვებაც და **დიკ ადვოკაატის** გუნდი გაიმეორებს ცსკა-ს სამი წლის წინანდელ მიღწევას, შესაბამისად, რუსულ ფეხბურთს ყულაბაში მეორე უეფას თასი ექნება. წინა ეტაპზე პიტერელებმა "ლევერკუზენი" შეარცხვინეს, ახლა კი "ბაიერნს" დაამცირეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ისე, სიმბოლურიცაა თითქოს: ყოფილმა ლენინგრადელებმა იმ 900-დღიანი ბლოკადის გამო გერმანელებზე ჯავრი იყარეს.

მაგრამ, ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, სერიოზულად კი რა გითხრათ... გერმანიის თასის მფლობელმა და აწ თითქმის ჩემპიონმა, საშუალო რანგის კლუბთან, ლამის პირველივე ტაიმში, სრული კაპიტულაცია გამოაცხდა. ვერ ახდა **ოტმარ ჰიტცფელდის** ოცნება. ის მიუნხენიდან ჰეთ-თრიკით ვერ მიდის. და მაინც, რა დაემართა "ბაიერნს"? ალბათ, ამ კითხვას ჰერ ოტმარი ბევრჯერ დაუსვამს საკუთარ თავს. იმედია, პასუხს იპოვნის და მერე საჯაროდაც გამოაცხადებს. დაუწერელი საფეხბურთო კანონია, რომ ნებისმიერ გრანდს აქვს ერთი მატჩის თუნდაც ამ დონეზე ჩაგდების უფლება, მაგრამ გავიხსენოთ, რა ხდებოდა "ალიანს-არენაზე", ერთი კვირის წინათ. "ზენიტს" ხომ მიუნხენშიც შეეძლო მოგება და ეგებ, იქამდე მისულიყო საქმე, რომ გუშინ აღარც დასჭირვებოდა გამარჯვება. ამჯერად, "ბაიერნს" ვერც **ლუკა ტონიმ** უშველა, ველარც ბებერმა **ოლივერ კანმა**... თუმც ამ უკანასკნელს, ალბათ, ყველაზე ნაკლებად მიუძღვის ბრალი იმ საშინელებაში, რაც "პეტროვსკიზე" ხდებოდა... მიუნხენელთა დაცვა იყო ყველაფერი, დაცვის გარდა...

და რაღა აზრი აქვს ახლა ლაპარაკს იმაზე, თუ ვინ, როგორ და რა სიტუაციაში გაიტანა გოლები. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ დუბლის ავტორმა **პოგრებნიაკმა** ზედმეტი გაფრთხილება მიიღო და მანჩესტერის ფინალს გამოტოვებს. ცოტა ეს თუ დასწყვეტდა გულს ადვოკაატს, თორემ ისედაც გვარიანად მოილხენდა...

**ფიორენ.–რეინჯ. 0:0, პენ 2:4 (0:0)**

**ფიორენტინა:** ფრეი, გამბერინი, უიფალუში, იორგენსენი, ლივერანი, დონადელი (42. კუზმანოვიჩი), სანტანა (94. სემიოლი), გობი, მონტოლივო, მუტუ, პაცინი (79. ვიერი).

**რეინჯერსი:** ალექსანდერი, უეირი, უითეკერი, ბროდფუტი, პაპაჩი, კუელიარი, ფერგიუსონი, ემდანი, ტომსონი, დევისი (81. ნოვო), დარშევილი (65. კუზენი).

**პენალტები:** 0:0 ფერგიუსონი (მეკარე), 1:0 კუზმანოვიჩი, 1:1 უითეკერი, 2:1 მონტოლივო, 2:2 პაპაჩი, 2:2 ლივერანი (მეკარე), 2:3 ემდანი, 2:3 ვიერი (ააცილა), 2:4 ნოვო.

**გაძევება:** კუზენი (110. რეინჯერსი)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 9-23; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 19-3 (7-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41% (მონაცემები ძირითადი დროის მიხედვით).

**მაყურებელი:** 39 130

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

ეს არ იყო ლამაზი მატჩი, თუმცა საპენალტო დრამამ ფლორენციულ ნახევარფინალს თავისი ხიბლი მაინც შესძინა. "ფიორენტინამ" მეტოქეზე გადამწყვეტი იერიში დამატებით დროში მიიტანა, როცა **მუტუს, ვიერისა** და **იორგენსენს** შეეძლოთ გატანა, თანაც, "რეინჯერებს" **კუზენი** გაუძევეს და "იებსაც" მეტი შანსი გაუჩნდათ, მაგრამ საქმე მაინც 11-მეტრიანებამდე მივიდა. **ფრეიმ** შოტლანდიელთა კაპიტან **ფერგიუსონის** პირველივე დარტყმა კი აილო და თითქოს სტიმულიც მისცა თანაგუნდელებს, მაგრამ ამათ მაინც აურიეს: ჯერ **ლივერანის** აული მეკარემ, მერე კი ვიერიმ გააფრინა ტრიბუნებისკენ...

მოკლედ, სკოტები ფინალში არიან. ისე გამოვიდა, რომ "ზენიტის" თავკაცი **დიკ ადვოკაატი** თავის ყოფილ კლუბს დაუპირისპირდება. "ზენიტის" არ იყოს, "რეინჯერსიც" პირველადაა უეფას თასის ფინალში. საერთოდ, შოტლანდიური კლუბი ამ ტურნირის გამარჯვებული არასოდეს ყოფილა და ეს შანსი ახლა ეძლევა.

ფინალი 14 მაისს, მანჩესტერში, "სიტის" არენაზე გაიმართება.




ზენიტმა ტონიც შეაჩერა

ჩემპიონთა ლიგა. ჩელსი-ლივერპული. ნახევარფინალის გამოხმაურება

# ეძღვნება ფრენკის დედას და ავრამის ოჯახს

## ფერგიუსონს ფინალში ლივერპული ერჩივნა





**დასრულდა** თუ არა ოთხშაბათის ნახევარფინალური მატჩი "სტემფორდ ბრიჯზე", სადაც დამატებით დროში "არისტოკრატებმა" "წითლებს" 3:2 სძლიეს, ლონდონელთა მწვრთნელმა ავრამ გრანტმა ემოციურად გადაუხადა მადლობა მატჩის ერთ-ერთ გმირს, ფრენკ ლემპარდს, რომელმაც უმნიშვნელოვანეს მომენტში 11-მეტრიანი გაიტანა და დიდი როლი ითამაშა თავისი გუნდის გამარჯვებაში. ამას გარდა, გრანტმა მას საჯაროდ მიუსამძიმრა დედის გარდაცვალების გამოც: "ფრენკი მამაცი კაცია. დედა მისთვის ყველაფერი იყო და ამ უბედურების შემდეგ, მოედანზე გასვლასა და ასე თამაშს ბევრი ვერ შეძლებდა. მან კი მართლაც საუცხოოდ ითამაშა და, ალბათ, ცოტათი გაიხარა კიდეც".

ყველამ ნახა, როგორ ეამბორა ფრენკი შავ სამგლოვიარო ლენტს გოლის შემდეგ, ხოლო მერე ტრიბუნაზე მჯდომი მამისკენ, უფროსი ფრენკისკენ (მას "ვესტ ჰემის" შემადგენლობაში თბილისის "დინამოს" წინააღმდეგ აქვს ნათამაშები 1981 წელს) მიუთითა...

"ჩელსის" ნახევარმცველი ოვაციებით გააცილეს მოედნიდან, როცა ის **ანდრეი შევჩენკომ** შეცვალა საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე. როგორც ამბობენ, მატჩში მონაწილეობის გადაწყვეტილება თავად მიიღო და ამაში ყველა ერთხმად დაეთანხმა. ამით, ლემპარდმა დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტი პროფესიონალია...

მაშ ასე: 21 მაისს, "ლუჟნიკიზე", გაიმართება ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელშიც ერთმანეთს ბოლო პერიოდის დაუძინებელი მტრები - "ჩელსი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" დაუპირისპირდებიან. სხვათა შორის, "მანკუნიანელთა" თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი** კოკისპირულ წვიმაში ადევნებდა თვალყურს "სტემფორდ ბრიჯის" მატჩს. მას ისიც უთქვამს, ფინალში "ლივერპული" მერჩივნაო...

**ავრამ გრანტს** "ჩელსის" ისტორიული გამარჯვების განსაკუთრებულად აღნიშვნის მიზეზი ჰქონდა. საფინალო სასტვენისთანავე, "ლურჯების" მენეჯერი მოედანზე დაემხო და ჰოლოკოსტის დროს დაღუპული ოჯახის წევრების ხსოვნის საპატივსაცემოდ ილოცა. ისრაელის მოქალაქე გრანტი აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკთან ჰოლოკოსტის მემორიალური დღის აღსანიშნავად უნდა ჩასულიყო. მისი თქმით, ძნელი იყო იმის გახსენება, თუ რა უბედურება დაატყდა თავს მის ოჯახს, მამას, ბებიას... მაგრამ ამაყობდა იმ დღით, როცა მისმა გუნდმა დრამატულ მატჩში მნიშვნელოვანი, უფრო სწორად, ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

2007 წლის სექტემბერში, გრანტმა **ჟოზე მოურინიო** უცნაურ სიტუაციაში შეცვალა. სამი თვეც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ავრამი "ჩელსის" დირექტორად დანიშნეს. მოურინიომ პრემიერლიგა ორჯერ, 2005 და 2006 წლებში მოიგო. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მისმა გუნდმა ორჯერ ითამაშა, მაგრამ ახლა, გრანტის ხელმძღვანელობით, "ჩელსი" უკვე ამ პრესტიჟული ტურნირის ფინალში ითამაშებს. თუ ასეა, შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ავრამი ჟოზეზე მეტია...

"ლივერპულმა" "ჩელსი" ნახევარფინალში 2005 და 2007 წლებში დაამარცხა. დღეს გრანტს სრული საფუძველი აქვს, რომ იამაყოს. სხვათა შორის, არ დავიწყებია კოლეგა **რაფა ბენიტესისა** და მისი გუნდის შექებაც: *"განსაკუთრებული დაპირისპირება იყო. ფანტასტიკური გუნდია, თუმცა რაფამ საკუთარი ტაქტიკური ჩანაფიქრის ხორცშესხმა ვერ შეძლო. ჭკუით უნდა იყო, როცა მის წინააღმდეგ თამაშობ და ჩვენ ეს მოვახერხეთ. "ჩელსის" გამარჯვება ისტორიაში ჩაიწერა. აქ მარტო ჩემი წვლილი არ არის. ეს გუნდი კლუბის მფლობელმა, რომან აბრამოვიჩმა შექმნა. აქ ყველა უძლიერესია".*

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ნახევარფინალში სამჯერ დამარცხების შემდეგ, "ჩელსის" კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** ირწმუნა, რომ მოსკოვურ ფინალში ადგილი დაიმსახურა. ტერიმაც აღნიშნა ლემპარდის უდიდესი წვლილი "ლივერპულთან" მოპოვებულ გამარჯვებაში: *"ის ფანტასტიკური მოთამაშეა, თან ძლიერი ნებისყოფაც აქვს. ასეთი უბედურების შემდეგ მოედანზე მთელი ძალ-ღონით თამაში ცოტას თუ შეუძლია. ის დღეს მთავარი ფიგურა იყო".*

საკუთარი თანაგუნდელების შექება არ დავიწყნია მატჩის უმთავრეს გმირს, კოტდ ივუარელ დუბლის ავტორ **დიდიე დროგბას**: *"მართლაც განსაკუთრებული დღეა. ჩვენ ეს შევძელით. მიხარია, რომ დიდი ხნის ოცნება ავისრულეთ და ფინალში ვითამაშებთ".*

"ლივერპულის" მწვრთნელმა **რაფა ბენიტესმა** მატჩისწინა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ყურადღებით შეისწავლა დროგბას ხრიკები, მაგრამ, როგორც ნახეთ, მისი შეჩერება მაინც ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, პირველივე გოლის შემდეგ, მან "ლივერპულის" გულშემატკივრების ტრიბუნასთან მიირბინა და გოლი მათ თვალწინ დემონსტრაციულად აღნიშნა.

ბენიტესი იმედგაცრუებული იყო, "ლივერპულის" მიერ გამოუყენებელი შესაძლებლობების ფონზე, რამაც ხელი შეუშალა "წითლებს", ბოლო ოთხ სეზონში მესამედ დაეჭაშნიკებინა ჩემპიონთა ლიგის ფინალი.

**ფერნანდო ტორესისა** და **რაიან ბაბელის** გოლები საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისთვის. ბენიტესმა აღნიშნა: *"შანსები ვერ გამოვიყენეთ. რაც შეგვეძლო, ვერ გამოვავლინეთ დასაწყისშივე, ხოლო მეორე და დამატებით ტაიმებში გამოცოცხლება არ კმაროდა. უკვე დაგვიანებულიც იყო".*

რაც შეეხება დროგბას მიმართ ნათქვამს, ბენიტესმა ახსნა-განმარტებებს თავი აარიდა: *"როცა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში თამაშობ, არ მგონია, რომ სხვა რამეზე უნდა იფიქრო. იგივე ითქმის დროგბაზეც, დარწმუნებული ვარ".*

ბენიტესმა გვერდი აუარა 11-მეტრიანის საკითხსაც. ბევრს მოეჩვენა, რომ **სემი ჰიიპიას მიხაელ ბალაკის** წინააღმდეგ წესები არ დაურღვევია. აი, რას ფიქრობს რაფა: *"რეფერიმ ნორმალურად იმსაჯა. უბრალოდ, ზოგჯერ ეს შენ შეგემთხვევა, ზოგჯერ სხვას".*

ესპანელმა თანამემამულე **ფერნანდო ტორესის** შეცვლას ("ჩელსის" მეორე გოლის შემდეგ) ასეთი ახსნა მოუძებნა: *"მას ბარძაყის კუნთის პრობლემები ჰქონდა. ადრე ვისაუბრეთ და მითხრა, რომ 100 პროცენტით მზად არ იყო, ამიტომაც შევცვალე".*

მიუხედავად ყველაფრისა, ბენიტესმა აღნიშნა, რომ ამაყობს საკუთარი გუნდით, რადგან ბიჭებმა მოედანზე ყველაფერი გააკეთეს, ბოლომდე ითამაშეს, თუმცა იმ დღეს, და უფრო ადრეც (გაიხსენეთ **რიისეს** ავტოგოლი პირველი მატჩის ბოლო წუთზე) ფორტუნა მათ მხარეს არ იყო...

**დავით ჩუბინიძე**

სერია A. ხელმოცარულნი

# ტიაგო მენდეში ფლოპის ტოპია

სერია A-ს ექსპერტებმა და გულშემატკივრებმა სეზონის მიწურულს იმ ფეხბურთელთა ათეული გამოავლინეს, რომელთაც მიმდინარე გათამაშებაში თავი ვერაფრით გამოიჩინეს (ამას "ფლოპს", ანუ ჩავარდნას უწოდებენ). სიას სათავეში უდგას **ტიაგო მენდეში**, რომელიც გასულ ზაფხულს "იუვენტუსმა" "ლიონისგან" 7 მილიონ გირვანქად იყიდა. მან იმდენად ცუდად ითამაშა სეზონის პირველ ნაწილში, რომ "იუვემ" ზამთარში მისი მოშორება გადაწყვიტა, თუმც ბოლოს მაინც თავი შეიკავა. სხვათა შორის, წასვლა თავად ტიაგომაც მოინადინა. ამასთან, 26 წლის ნახევარმცველი, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ, მუდმივად ჩიოდა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის გამო და თავის უხეირო თამაშს მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის** აბრალებდა. თავის მხრივ, რანიერიმ მას ზედიზედ რამდენიმე შეხვედრაში მისცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა. ტიაგოს მხოლოდ მაშინ უწევდა თამაში, როცა რომელიმე წამყვანი ფიგურა ტრავმირებული იყო, ან სათასო და შედარებით სუსტ მეტოქეებთან შეხვედრებში, როცა რანიერი როტაციას მიმართავდა.

საინტერესოა, რომ ტიაგოსთან ერთად, ათეულში მოხვდა "იუვენტუსის" კიდევ ერთი საზაფხულო შენაძენი **სერხიო ალმირონიც**. არგენტინელი ნახევარმცველი "ემპოლისგან" იყიდეს. მასაც სერიოზულ იმედებს უკავშირებდნენ, მაგრამ თუ ტიაგო გასხვისებას გადაურჩა, ალმირონი ამ ხვედრს ვერ ასცდა და არენდით თავი "მონაკოში" ამოჰყო. ათეული სრულად ასე გამოიყურება.

| ფეხბურთელი | კლუბი | ამპლუა |
|---|---|---|
| 1. ტიაგო მენდეში | იუვენტუსი | ნახევარმცველი |
| 2. ფერნანდო მუსლერა | ლაციო | მეკარე |
| 3. ხოაკინ ლარივეი | კალიარი | თავდამსხმელი |
| 4. დიეგო ტრისტანი | ლივორნო | თავდამსხმელი |
| 5. ალვარო რეკობა | ტორინო | თავდამსხმელი |
| 6. მაურო ესპოზიტო | რომა | ნახევარმცველი |
| 7. ემერსონი | მილანი | ნახევარმცველი |
| 8. სერხიო ალმირონი | იუვენტუსი | ნახევარმცველი |
| 9. როლანდო ბიანკი | ლაციო | თავდამსხმელი |
| 10. კრისტიანო ლუკარელი | პარმა | თავდამსხმელი |



ტიაგო მენდეში

რომა

# სენსის პოლიცია იცავს

## სოროსმა პროექტზე უარი თქვა?

**ცნობილი** ამბავია, რომ "რომას" ყიდვას ჩვენთვის კარგად ცნობილი მილიარდერი **ჯორჯ სოროსი** აპირებდა. "აპირებდა" იმიტომ, რომ უკანასკნელი ინფორმაციით, ფილანტროპმა პროექტის განხორციელებაზე უარი თქვა. ბოლო დღეების განმავლობაში მუდმივად იყო საუბარი იმაზე, რომ **ფრანკო სენსის** (პრეზიდენტი) ოჯახი კლუბის გაყიდვაზე თანხმობას აცხადებდა. საქმე ისაა, რომ ამ ოჯახობის კუთვნილი კომპანია "იტალპეტროლის" ფინანსური პრობლემები შეექმნა. სხვადასხვა მონაცემით, მას დაუგროვდა დიდძალი დავალიანება, რომელიც უკვე 300 მილიონ გირვანქას უკაკუნებს. ეს კი პირდაპირ აისახება "ჯალოროსის" დღევანდელობასა და მომავალზე. ბუნებრივია, ამ პირობებში სენსი "რომას" ველარ შეინახავს.

სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა კლუბის დირექტორატმა, რომ სოროსთან მოლაპარაკებებს დათანხმებულიყო. ამ საქმეს პრეზიდენტის ქალიშვილი, "რომას" გენერალური მენეჯერი **როზელა სენსი** უძღვებოდა. რამდენიმე დღის წინათ, მოლაპარაკებებს სასიკეთო პირი უჩანდა. სოროსმა ისიც კი დაიქადნა - "რომა" იტალიურ "მანჩესტერ იუნაიტედად" უნდა ვაქციო, მწვრთნელად კი **მარჩელო ლიპი** მინდაო...

მაგრამ "ილ მესაჯეროს" საშუალებით ცნობილი გახდა, რომ მილიარდერმა "ჯალოროსის" უარი სტკიცა. მიზეზი ბანალურია: არ ასახელებენ, მაგრამ "რომას" ბოსებს უზარმაზარი თანხა მოუთხოვიათ. თავდაპირველად, მოლაპარაკების ჩაშლა დაბრალდა "უნიკრედიტს", რომელიც "იტალპეტროლის" აქციების 49 პროცენტს ფლობს. თუმცა კომპანიამ ინფორმაცია კატეგორიულად უარყო: *"სრული აბსურდია. ჩვენ მხოლოდ მაყურებლის როლში ვართ და მეტი არაფერი. გადაწყვეტილებებს სენსის ოჯახი იღებს. ყიდვა-გაყიდვის საქმეში მათ სრული თავისუფლება აქვთ".*

მოლაპარაკებების ჩაშლას "რომას" ქომაგთა აღშფოთება მოჰყვა. ფანებმა საპროტესტო აქციაც მოაწყვეს. ისინი ფიქრობენ, რომ ამერიკელებისთვის მიყიდვა კლუბს სერიოზულ ინვესტიციებს მოუტანს, შესაბამისად, ეს არის შანსი, რომ "ჯალოროსი" მართლაც ევროგრანდად იქცეს. მაგრამ დღეს, როცა ამაზე საუბარი აღარ არის, ტიფოზები ბრალს "რომას" ხელმძღვანელობასა და პირადად როზელა სენსის სდებენ. სხვათა შორის, "ლივორნოსთან" მატჩის (1:1) შემდეგ ფანების ერთმა ჯგუფმა ქალბატონი გააფრთხილა, რომ სოროსისთვის ხელი არ შეეშალათ. ამის მერე, როზელამ მუქარის წერილებიც მიიღო და იძულებული გახდა, დაცვა გაეძლიერებინა. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, "რომას" უფროსობა დათმობაზე წავიდეს და სოროსთან მოლაპარაკებები განაახლოს.

**გიორგი გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ესიენი რეალში?

## მიატოვიჩი ლონდონში ჩასვლას და მოლაპარაკების დაწყებას აპირებს

მადრიდის "რეალს" ესპანეთის ჩემპიონობა, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს. სამეფო კლუბის უახლოეს მდევარს სასწაულიც ველარ უშველის. "ვილიარეალი", რა თქმა უნდა, განწირულია. **ბერნდ შუსტერის** გუნდი მალე "სიბელესზე" გავა და საჩემპიონო ყიჟინას დასცემს. წესით, ახლა ესპანური გიგანტის ხელმძღვანელობა სიბელესური ფიესტის ორგანიზებით უნდა იყოს დაკავებული, თუმცა, ნურას უკაცრავად, **პრედრაგ მიატოვიჩი** მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გასაძლიერებლად მუშაობს. გენერალურმა დირექტორმა „რადიო ონდა სერას" ერთსაათიანი ინტერვიუ მისცა. ის მრავალ საინტერესო საკითხს შეეხო, მაგრამ ამჯერად თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთ პუნქტს მივაპყრობთ. მიატოვიჩმა "ჩელსისთან" დაწყებული მოლაპარაკებების შესახებ გვამცნო. საქმე ის არის, რომ სამეფო კლუბის ფუნქციონერმა **მაიკლ ესიენის** გადაბირება გადაწყვიტა. მისი თქმით, აფრიკელი ნახევარმცველი კლუბში საყოველთაო მოწონებით სარგებლობს. პრეზიდენტი, მთავარი მწვრთნელი და გენერალური დირექტორი ესიენის "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგებას მიესალმებიან: *"კალდერონსა და შუსტერს ესიენის შესახებ პირადად ვესაუბრე. ისინი აბსოლუტურად მეთანხმებიან და მიიჩნევენ, რომ აფრიკელი ჩვენს ნახევარდაცვას საგრძნობლად გააძლიერებს. ლონდონური კლუბის მესვეურებს ტელეფონით ვესაუბრე და კოლეგები საქმის კურსში ჩავაყენე. სიმართლე გითხრათ, ისინი ჩემს წინადადებას ენთუზიაზმით არ გამოხმაურებიან, მაგრამ ამით ბევრი არაფერი იცვლება. "რეალი" დასახული მიზნის მისაღწევად ყოველთვის ბოლომდე იბრძვის. არ გამოვრიცხავ, უახლოეს დღეებში ლონდონს გავემგზავრო. მოკლედ, ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილები და გვჯერა, ესიენის გადმობირებას შევძლებთ."*

ესიენი "ჩელსიში" "ლიონიდან" მოხვდა. ლონდონელებმა ფრანგულ კლუბს მის სანაცვლოდ 36 მილიონი ევრო გადაუხადეს. ბრიტანული ტაბლოიდების მტკიცებით, "არისტოკრატები" მაიკლს "რეალს" იმ შემთხვევაში დაუთმობენ, თუ საკომპენსაციოდ 42 მილიონ ევროს მიიღებენ. ესიენისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ძნელად წარმოსადგენია, რომ მადრიდელებმა ამხელა ფული გადაიხადონ. ბევრი რამ ალბათ, ჩემპიონთა ლიგის ფინალზეც იქნება დამოკიდებული. თუ ლონდონელები "მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხდებიან, კლუბში სერიოზული წმენდა დაიწყება. გამორიცხული არ არის, ბრიტანელებმა ესიენიც სხვა გუნდში გასაშვებად გაიმეტონ. თუ „ჩელსის" საყრდენი ნახევამრცველი „სანტიაგო ბერნაბეუზე" გააგრძელებს კარიერას, უნდა ვივარაუდოთ, რომ მაჰამადუ დიარას ჩემოდნების ჩალაგება და ახალი კლუბის მოძებნა არ ასცდება. მალიელი ნახევარმცველის თამაშით შუსტერი ისედაც უკმაყოფილოა.

**ილია ნიკოლაიშვილი**


მიკაელ ესიენი

მილანი და სატრანსფერო სპეკულაციები

# ადრიანო შესაძლოა, ფლამინი კი თითქმის მილანელია





## ბორიელოც გეგმაშია

**ადრიანოს მომავალი ჯერაც გაურკვეველია. "ინტერის" ფორვარდი "სან პაულოშია" განათხოვრებული. თავისას იქაც არ იშლის. "იმპერატორად" წოდებული ჭირვეული თავდამსხმელი ბრაზილიაშიც რამდენჯერმე გამოიჭირეს დისციპლინის დარღვევაში და მკაცრი გაფრთხილებაც მისცეს. მართალია, მას ახლა სათამაშო პრაქტიკა აქვს და უკეთეს ფორმაშიცაა, მაგრამ დაბრუნდება თუ არა "ინტერში", ჯერჯერობით, ეს საკითხი ბურუსითაა მოცული...**

მოკლედ, ერთი რამ ცხადია: **ადრიანო** აღარ ისურვებს **რობერტო მანჩინისთან** თანამშრომლობას და ეს თავადაც არაერთხელ განაცხადა. გამოდის, რომ თუ მანჩინი "ინტერში" დარჩა, ადრიანოს სხვა კლუბში გაყიდიან. ვერ ვიტყვით, რომ **მასიმო მორატის** ამოსდის მასზე მზე და მთვარე, მაგრამ პრეზიდენტი უარს არაა, ბრაზილიელი კვლავ თავის კლუბში იხილოს, ოღონდ არა ისეთი, როგორიც "სან პაულოში" გადაბარგებამდე იყო. ასეთ შემთხვევაში, არც ის არის გამორიცხული, მწვრთნელსა და ფორვარდს შორის შუამავლის როლი თავად მორატიმ იკისროს. მაგრამ უფრო დიდია ალბათობა იმისი, რომ კლუბმა აუტკივარი თავი აღარ აიტკივოს.

ამ ფონზე, საყურადღებოა ინფორმაცია, რაც იტალიურ პრესაში ვრცელდება. "კორიერე დელო სპორტი" და "ტუტოსპორტი" ერთხმად ამტკიცებენ, რომ ფეხბურთელის აგენტი **ჟილმარ რინალდი** მილანში ყოფილა და "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანისთან** უსაუბრია. შეხვედრას "მილანის" სკაუტი, კლუბის ყოფილი მოთამაშე და ადრიანოს თანამემამულე **ლეონარდოც** ესწრებოდა. მეტიც: თურმე, ლეონარდოა ამ გარიგების ინიციატორი. მილანური გრანდი ადრეც განიხილავდა ადრიანოს ტრანსფერს, მაგრამ "ინტერი" ისტორიულ მტერთან შეთანხმებაზე არ მიდიოდა. თუმცა ახლა ვითარება შეცვლილია. აქვე დავძენთ, რომ ადრიანოს მომავალი, შეიძლება, იყოს "ფიორენტინაშიც", სადაც ის 6 წლის წინათ განათხოვრებით თამაშობდა. ფლორენციულ კლუბს დღეს ის **ჩეზარე პრანდელი** წვრთნის, რომელთანაც ადრიანო "პარმაში" თანამშრომლობდა.

გავაგრძელოთ საუბარი მოსალოდნელ მილანურ ტრანსფერებზე. ნელ-ნელა ნათელი ეფინება **მატიო ფლამინისთან** დაკავშირებულ სიტუაციას. როგორც იცით, "არსენალის" ფრანგ ნახევარმცველს "მილანთან" ერთად "იუვენტუსიც" ეკურკურება. 24 წლის ფლამინი ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო შუახაზელად ითვლება. "მეთოფეებთან" კონტრაქტი მას ივნისში ეწურება. კლუბმა კი ულტიმატუმი წაუყენა - 30 აპრილი იყო ბოლო ვადა, როცა ფლამინის ან ხელი უნდა მოეწერა ახალი შეთანხმებისთვის, ან სხვა გზა აერჩია. ფრანგმა კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა, შესაბამისად, 1 ივლისიდან მისი და "არსენალის" გზები გაიყოფა.

როგორც "კორიერე დელო სპორტი" წერს, ფლამინის უკვე თანაგუნდელებისთვისაც უთქვამს, რომ სეზონის დასრულებისთანავე "ემირითსს" დატოვებს. რაც შეეხება ახალ ნავსაყუდელს, ფრანგმა მეგობრებს აუწყა, რომ "მილანში" გადადის. ფლამინის არჩევანით ფრიად კმაყოფილი დარჩა **კარლო ანჩელოტი**, რომელმაც "კორიერეს" ეს განუცხადა: *"გატუზოსა და ამბროზინის გვერდით, მას შეუძლია გუნდს სიძლიერე და კლასი შემატოს. ფლამინის საოცარი დინამიზმი გამოარჩევს, შესანიშნავი უნივერსალია და შეუძლია, სამ როლშიც კი ითამაშოს, მაგალითად, საყრდენ ნახევარმცველადაც".*

ფლამინი "არსენალში" 2004 წელს, "მარსელიდან" გადაბარგდა. ჩრდილო-ლონდონურ კლუბში მან 100-ზე მეტი მატჩი ჩაატარა.


მარკო ბორიელო

## ...და სანიოლიცო


ვილი სანიოლი

რა გეგმები აქვს "მილანს" **მარკო ბორიელოსთან** დაკავშირებით? ესეც საინტერესო თემაა. ფორვარდი, რომელმაც ამ სეზონში ფანტასტიკური პროგრესი განიცადა, სანახევროდ "როსონერის" საკუთრებაა. გასულ ზაფხულს, "ჯენოაში" ის სწორედ "მილანიდან" გადავიდა და გაიხსნა კიდეც. 25 წლის ბორიელო უკმაყოფილო იყო, რომ ანჩელოტი თავის გამოჩენის შანსს არ აძლევდა. ამას დაემატა ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია, რომელიც აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის 2006 წლის ოქტომბერში გამოუწერეს. საერთოდ, ის პერმანენტული არენდის ობიექტი იყო. ამ სტატუსით, ბორიელომ "ტრევიზო", "ემპოლი" და "რეჯინა" მოიარა. ამიტომ, გენუაში მისი გაბრწყინება ანჩელოტიზე და, საერთოდ, "მილანზე" შურისძიების ერთგვარი აქტია.

მაგრამ დგება დრო, როცა "მილანი" მზადაა, "შეცდომა" გამოასწოროს და მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ ბომბარდირს (**ტრეზეგესთან** ერთად, 19 გოლით, სერიას A-ს სნაიპერთა სიის სათავეშია) კვლავ "სან სიროზე" უკრას თავი. ამის თაობაზე საუბრები უკვე დაიწყო. პირველი კომენტარი ბორიელოს აგენტმა **ტიბერიო კავალერიმ** გააკეთა. მან გააფრთხილა "მილანის" ბოსები, რომ მარკო სკამის სახეხად არ დაბრუნდება:

*"თუ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ჩემი კლიენტი "მილანში" დაბრუნდება, აქედანვე უნდა მიიღოს გარანტია, რომ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე იქნება. მარკო მზადაა, აიღოს პასუხისმგებლობა, რასაც "როსონერიში" მას არასოდეს აკისრებდნენ. დღეს ჩანს, რომ ის ამას იმსახურებდა".*

ბორიელოს ყურადღება მიაქცია "სკუადრა აძურას" თავკაცმა **რობერტო დონადონიმაც**, როცა თებერვალში, პორტუგალიასთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ მიიწვია. მარკოს აქვს სერიოზული შანსი, იტალიის ნაკრების საევროპო განაცხადშიც მოხვდეს.

როგორც ამბობენ, "მილანმა" თვალი **ვილი სანიოლსაც** დაადგა. "ბაიერნის" ფრანგ მცველს კოშმარული სეზონი აქვს. მას ორჯერ მოუვიდა კონფლიქტი **ოტმარ ჰიტცფელდთან**, რის გამოც ძირითადი შემადგენლობის მიღმა აღმოჩნდა. მისი ადგილი **ფილიპ ლამს** ჩააბარეს. ლამი საკმარისად გამოცდილი, კვალიფიციური მოთამაშეა და ექსპერტების აზრით, თავის მოვალეობებს კარგად ასრულებს. ასე რომ, ჰიტცფელდს აღარ რჩება მიზეზი საიმისოდ, რომ სანიოლი სასტარტოში დააბრუნოს. მაგრამ ჰერ ოტმარი სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს "ბაიერნს" და საქმეს **იურგენ კლინსმანს** გადააბარებს. კაცმა არ იცის, რა ურთიერთობა ექნებათ ერთმანეთში მას და სანიოლს. ამიტომ, ფრანგს შეიძლება ერჩივნოს კიდეც კლუბის გამოცვლა...

"გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, "მილანის" ბოსებმა ნიადაგი უკვე მოსინჯეს და წინასწარი მოლაპარაკებებიც გამართეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ "როსონერიში" ხანდაზმულ მცველებს ტრადიციულად დიდ პატივს სცემენ, ნათელია, რომ 31 წლის სანიოლს იტალიელთა გულების მოგება არ გაუჭირდება. ბარემ აქვე დავძენთ, რომ ის უკვე 8 წელია, "ბაიერნის" ღირსებას იცავს, საფრანგეთის ნაკრებში კი 54 მატჩი აქვს ჩატარებული. სანიოლი ბოლო ორი მუნდიალის მონაწილეა. სხვათა შორის, გახმაურებული "კალჩოპოლის" აგორებამდე, მას "იუვენტუსში" გადასვლის რეალური შანსი ჰქონდა.

**გიორგი გელაშვილი**

ატლეტიკო

# სერესომ აგირეს განაჩენი გამოუტანა

## მექსიკელი მწვრთნელის შესაძლო მემკვიდრედ კიკე ფლორესს ასახელებენ

"ატლეტიკომ" "უნივერსიდად კამილოსთან" თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ დედაქალაქური კლუბი ხსენებულ უნივერსიტეტში ფიზკულტურისა და სპორტის ფაკულტეტს გახსნის. ინფრასტრუქტურის მოსაწყობად მთელ ფულს "როხიბლანკო" გაიღებს. **ენრიკე სერესოს** მტკიცებით, ესპანეთის განათლების სამინისტრომ "უნივერსიდად კამილოს" საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გახსნის უფლება მისცა. "ატლეტიკოს" პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ აღნიშნული ფაკულტეტი სპორტის კვალიფიციურ სპეციალისტებს მოამზადებს. ოფიციალური ცერემონიალის გამართვის შემდეგ, სენიორ სერესო სახლში დასაბრუნებლად მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო, მაგრამ გზა ჟურნალისტებმა გადაუღობეს და სახელდახელო პრესკონფერენციის გამართვა აიძულეს. ჩვენი კოლეგები ტყუილად არ აქტიურობდნენ. მათთვის ცნობილი გახდა, რომ სენიორ ენრიკემ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ **ხავიერ აგირეს** თანამდებობიდან გადაყენება გადაწყვიტა. "ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა: *"დღეს არსებული მდგომარეობა ყელში ამომივიდა. რაც დრო გადის, სულ უფრო ცუდად ვთამაშობთ. ყველა პირობა გვქონდა იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური ვადამდე გაგვენაღდებინა, მაგრამ ეს ვერ შევძელით. დარჩენილ ოთხ ტურში ჯოჯოხეთურად დაძაბული მატჩების გამართვა მოგვიწევს. ამდენი ნერვიულობა აღარ შემიძლია. მოდით, გულწრფელად ვისაუბროთ. როცა გუნდი კარგად ვერ თამაშობს, პასუხისმგებლობა მთავარ მწვრთნელს ეკისრება. ხავიერ აგირეს საუკეთესო პირობები შევუქმენით. ის ვერ იტყვის, რომ რომელიმე სურვილი არ შევუსრულეთ. რასაც გვეუბნებოდა, ყველაფერს ვუჯერებდით, მაგრამ ადეკვატური შედეგი ვერ მივიღეთ. წინა ორი დღის განმავლობაში "როხიბლანკოს" დირექტორატის წევრებთან ინტენსიურ კონსულტაციებს ვაწარმოებდი. ჩვენ ყველა დეტალი განვიხილეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი სჭირდება. აგირეს სავარაუდოდ, სეზონის დასრულების შემდეგ დავემშვიდობებით."*

მწვრთნელის გათავისუფლება ერთია, ახალი სპეციალისტის მონახვა კი მეორე. იმისათვის, რომ "ატლეტიკომ" მომავალ სეზონში დასახულ მიზნებს მიაღწიოს, აგირეს მემკვიდრეს "პრეტემპორადის" ნაყოფიერად ჩატარების საშუალება უნდა მიეცეს. მოკლედ, დედაქალაქელებს დასაკარგი დრო ნამდვილად არ აქვთ. უპრიანი იქნება, თუ ახალ მწვრთნელს ისინი სეზონის დასრულებამდე შეიგულებენ. "დიარიო ასის" მტკიცებით, ენრიკე სერესოს რჩეული **კიკე სანჩეს ფლორესია**. მართალია, "როხიბლანკოს" მესვეურები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ, მაგრამ "ვალენსიის" ყოფილი მწვრთნელის მენეჯერმა **გუსტავო მარსელინომ** "ტელე მადრიდისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მის კლიენტს "ატლეტიკოს" ერთ-ერთი დირექტორი დაუკავშირდა და სენიორ სერესოს სახელით მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობა შესთავაზა.

**ილია ნიკოლაიშვილი**


კიკე სანჩეს ფლორესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

# ხორხე ვალდანო
# საფეხბურთო ისტორიები



(დასაწყისი №41)

### სანჩისი, ბედის ნებიერი

ამბობენ, რომ **მანოლო სანჩისის** მამა, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი თავის შვილს ფინტებზე, გოლებზე და აპლოდისმენტებზე ლამაზი მოთხრობებით ზრდიდა და ამიტომაც, მანოლო ბავშვობიდან ოცნებობდა ფეხბურთელობაზე. იმასაც ამბობენ, რომ ბავშვს იავნანას უმღეროდნენ **დი სტეფანო, პუშკაში, ჰენტო, ამანსიო** და სხვა ლეგენდები და ალბათ, ამიტომაც სანჩისს ავტორიტეტების მიმართ რიდი არასოდეს ჰქონია.

ასევეა **პაოლო მალდინი**, რომელსაც მამამისმა **ჩეზარე მალდინი** საფეხბურთო გენები და თამაშის სიყვარული აჩუქა. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ უკვე 19 წლის ასაკში პაოლო გერმანიაში, ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა და სიმშვიდისა და ოსტატობის დემონსტრირებას ახდენდა, ამტკიცებდა, რომ მისთვის ფეხბურთში ამოუხსნელი საიდუმლოებები არ არსებობს. როცა მანოლო სანჩისი, უკვე ჩამოყალიბებული ოსტატი იტალიელს მოედანზე გადაეყარა, გაოგნებული დარჩა. ეს ბიჭი, ასაკის მიხედვით, მისთვის ავტოგრაფის ჩამოსართმევად რიგში უნდა მდგარიყო, "მან კი, არცერთხელ არ შემომხედა". საქმე ისაა, რომ პაოლო არ მეურვებოდა, ის გასაოცარი გულგრილობით კლავდა.

ისინი შემდეგაც რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს.

- აბა, როგორ იყო? - ეკითხებოდნენ მეგობრები მანოლოს.

- ძველებურად, - განაწყენებული პასუხობდა სანჩისი.

ოდესღაც, ისინი თავად დაწერენ მემუარებს და შვილიშვილებს მოუყვებიან ამ დუელისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს.

მანოლო სანჩისი - ერთადერთია იმ სახელგანთქმული ხუთეულიდან, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ნანატრ გამარჯვებამდე ითამაშა, თანაც ის ამას ორჯერ მოესწრო - 1998 და 2000 წლებში. გარდა ამისა, 1998 წელს საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული და ესპანეთის რვაგზის ჩემპიონია. და აბა გაბედეთ და თქვით, რომ მანოლო ნელი ფეხბურთელი იყო. *"ყველას გვერდს ვუვლიდი, ვინც მსგავს რამეს ამბობდა"*, - ასეთი იყო მისი პასუხი. ის მოწინააღმდეგეს ერთი ფინტით, განსჯის მოყვარულებს კი, ერთი ირონიული შენიშვნით განაიარაღებდა. ბრავო, მანოლო!

ბრწყინვალე ინდივიდუალისტი, ის ყოველთვის მკაცრ კრიტერიუმებს მისდევდა. ამის წყალობით, უფრო რწმუნდებოდა თავის სიმართლეში. ეს სიმართლე კი, ყველანაირი დისკუსიის წინააღმდეგ გამოდიოდა. სანჩისმა იცოდა, რაც სურდა და ამიტომაც ძნელი იყო მისი დაყოლიება და შეცდენა. ცოტა ხნის წინ, ერთმა აგენტმა ეჭვი გამოთქვა მანოლოს მენტალურ ჯანმრთელობაში: *"ვუთხარი, რომ "იუვენტუსი" მზად არის მის სანაცვლოდ რამდენიმე მილიონი გადაიხადოს. ეს ის თანხაა, რომელზეც ფეხბურთელმა შეიძლება იოცნებოს, მას კი, რეაქციაც არ ჰქონია"*. ამ აგენტს უნდა სცოდნოდა, რომ თუ ამ თავისებურმა კლიენტმა თავში რალაც ჩაიდო, მორჩა, იმის იქიდან ამოღება ძალიან ძნელია.

მისთვის არ შემიმჩნევია არცერთი ისეთი სიმპტომი, რაც განდიდების მანიით შეპყრობილ ადამიანს ახასიათებს. იმის ნაცვლად, რომ თავისი თაობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად წარმატებით დამტკბარიყო, ის უბრალო, მეორეხარისხოვანი როლითაც კმაყოფილდებოდა.

### რაული, წარმოშობით ბავშვობიდან

რაული ასევე საფეხბურთო ოჯახიდანაა, მაგრამ უფრო ქუჩაში ყალიბდებოდა. როცა გაშმაგების სტადიაში შედის, თითქოს ისევ რვა წლისაა და ისევ პარკში თამაშობს ფეხბურთს. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მის გარშემო ათასობით მაყურებელია, ის იმდენად ჩართულია თამაშში, რომ სამყაროს ეთიშება. მირბის, ეცემა, დგება, ურტყამს, ისევ გარბის, ბურთს ეძებს, ითხოვს, პრესინგს მიმართავს, მეურვეს უსხლტება, ბურთს ილებს, ფეხებში ურტყამენ, ეცემა, ისევ დგება, მირბის, პასს ითხოვს... ეს არის ბრწყინვალე შემტევი ფეხბურთელი, რომელიც ძალიან კარგად აკეთებს იმას, რაც ასე არ უყვართ მცველებს: ეთიშება თამაშს, რათა შემდეგ ისეთ ჩაერთოს მასში. ის ნახევარმცველიცაა და თავდამსხმელიც. როცა გოლი ვერ გააქვს, ძალიან განიცდის. ლოგიკურია: სხვას რას უნდა ელოდო რვა წლის ბიჭისგან?

არავინ იცის, საიდან ჩნდება ამ წვრილფეხებიან გამხდარ სხეულში ასეთი "თავხედური თვითდაჯერებულობა. უნდა ვაღიარო, რომ მას პრაქტიკულად არ ეპარება ეჭვი არც თამაშში და არც ცხოვრებაში. ჩვენ საქმე გვაქვს საჭირო ფეხბურთელთან, რომელსაც შეუძლია მთავარი მეორეხარისხოვანისგან განასხვავოს. ამიტომაც, ვერ ვნახავთ მას გვერდით ხაზთან მოსეირნეს, არ გააკეთებს სულელურ სვლას, არ დახარჯავს ენერგიას უაზრო პოლემიკებზე. და განსაკუთრებით საინტერესოა მისთვის თვალის დევნება ყველაზე მნიშვნელოვან, ფინალურ მატჩებში, იმიტომ, რომ რაულის ტიპის მოთამაშეები დიდების წყურვილით ივსებიან და შეუძლებელის გაკეთებაც ძალუძთ.

ის მუშაა, ნამდვილი "ამხანაგი სტახანოვი" და ამავდროულად, მუშა კვარტლების პოეტი. უყვარს ყველა, რადგან ყველას ემსახურება. ამგვარი ხელგაშლილობა გარკვეულ დეფექტებსაც წარმოქმნის: უნდა გვესმოდეს, რომ სისწრაფე - სიზუსტის მტერია, რომ არ შეიძლება ერთდროულად სამ პოზიციაზე თამაში და რომ ბოლოს და ბოლოს, ყველა თამაშში აუცილებლად გოლს ვერ გაიტან.

ზურგსუკან მოტოვებული უამრავი მატჩი მის ამბიციებს მაინც ვერ ანელებს. მგონია, რომ მისთვის ნომერ პირველი წიგნია - "გინესის რეკორდების წიგნი", ოცნება კი, ამ წიგნში მასზე მიძღვნილი ცალკე თავი. და ამ თავს ყოველ წელს უმატებს დაახლოებით 70 მატჩს და 30 გატანილ გოლს, რისი წყალობითაც იზრდება პრესტიჟი და მოპოვებული ტიტულების რაოდენობა, ეს კი, მას ფეხბურთის ისტორიის მწვერვალისკენ უკვალავს გზას.

მახსოვს, მისი სადებიუტო მატჩის წინ, პროვოკაციული კითხვა დავუსვი: *"ძირითად შემადგენლობაში მინდა შენი დაყენება. არ გეშინია?"* და ისეთი პასუხი მივიღე, რომლის მოსმენაც ყველაზე მეტად მესიამოვნებოდა: *"თუ მოგება გინდათ, დამაყენეთ, თუ არა - ვინმე სხვა გაიყვანეთ მოედანზე"*. ერთნი ფეხბურთელებად იბადებიან, მეორენი ასეთებად იუნიორთა წლებში ყალიბდებიან; არსებობენ მოთამაშეები გამარჯვებულის მენტალიტეტით, რომლებსაც ჯერ არაფერი აქვთ მოგებული; ისეთებიც არიან, რომლებიც გამარჯვებების მოპოვების შემდეგაც აგრძელებენ სწავლას. აი ეს შემთხვევებია გაერთიანებული ერთ ადამიანში, რაულში, რომელიც გარეგნულად, თითქოს ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

წერტილის დასასმელად კიდევ ორ სიტყვას ვიტყვი. პირველი: ის ყველაფერს კარგად აკეთებს; მეორე: ყოველდღიურად უკეთესად აკეთებს თავის საქმეს.




### რედონდო-რაული, ორი კოზირი, და ორივე მთავარი

როცა რაული "რეალის" გასახდელში შემოვიდა, **რედონდო** უკვე იქ იმყოფებოდა. მათ აღიარეს ერთმანეთი, როგორც ერთი ოჯახის წევრებმა. თავიდანვე მეგობრები არ გამხდარან, რადგან ამაყები არიან და სხვადასხვა თაობას განეკუთვნებიან, მაგრამ ნაცნობობის დონეზეც ერთმანეთის მიმართ პატივისცემას, ურთიერთგაგებას და ერთად თამაშის სურვილს გამოხატავდნენ.

ერთად უძლებდნენ ფეხბურთისთვის დამახასიათებელ უკიდურესობებს: ტანჯვას და სიხარულს. ამან ისინი დააახლოვა, მოკავშირეებად აქცია და ეს მათ თამაშზე აისახა. მინდორზე ერთმანეთისადმი თვალის შევლებაც ჰყოფნიდათ ზღვა ინფორმაციის გადასაცემად. თუ მატჩი კარგად მიდიოდა, რედონდო სახლში წესრიგის დამყარებით იყო დაკავებული, რაული კი თავის საქმეს აკეთებდა, რაც ჩვეულებრივ გოლის გატანას უკავშირდება. თუ პრობლემები იქმნებოდა, ისინი მოედნის ცენტრში ერთიანდებოდნენ, რადგან იცოდნენ: ფეხბურთში ყველანაირ პრობლემას მხოლოდ ბურთი აგარიდებს თავიდან. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ეს ბურთი კარგი ფეხბურთელების ფეხებში იქნება მოქცეული.

კიდევ ცოტა რამ რედონდოზე. აუცილებელი არ არის არგენტინის ნაკრების მაისური გეცვას იმისთვის, რათა ნამდვილ არგენტინელად ჩაითვალო (მან ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა). არ არის საჭირო 5-ნომრიანი მაისური გეცვას იმისთვის, რომ "ხუთიანი" მიილო (მას ზურგზე "ექვსიანი" ეწერა). მას უყვარს ბურთი, კარგი სტილის მიმდევარია, გრძნობს იმას, რომ თავისი სახელგანთქმული თანამემამულე-ნახევარმცველების შთამომავალია და თამაშობს ისეთი ალმაფრენით, რაც ფეხბურთელების საუკეთესო რასისთვის არის დამახასიათებელი.

და არსებობს უხილავი რედონდო, მასებისთვის უცნობი, რომელიც აჯადოებს ყველა მწვრთნელს, ვისაც კი მასთან უმუშავია. ეს რედონდო - ლიდერია, ჩუმი მისაბაძი მაგალითი, ის, ვინც ენთუზიაზმით ვარჯიშობს, ვინც საქმიანად საუბრობს, ვინც მაისურის ჩაცმისას გრძნობს პასუხისმგებლობას კლუბის ისტორიის მიმართ, ვინც ფეხბურთელად გრძნობს თავს დილით, შუადღეზე და საღამოს, ვისაც საკუთარ სახლში სატანვარჯიშო დარბაზი აქვს, რათა სხვებს არაფერში ჩამორჩეს; მაგრამ პირველ რიგში, ეს ის ფეხბურთელია, ვისაც ბურთი უყვარს და ვინც ნებისმიერი გარემოებისას თამაშობს.

როცა რედონდო "რეალში" მიიწვიეს, თავიდან ის ყველამ არ მიიღო. ერჩივნათ **ჯერემი ნჯიტაპით** აღფრთოვანებულიყვნენ. რედონდო ამაზე დიდად არ რეაგირებდა, რადგან მოედნის მიღმა თავდაცვის იარაღად დუმილი ჰქონდა არჩეული.

### ლაუდრუპი-რაული: კიდევ ერთი შესანიშნავი წყვილი

თუ დიად არგენტინელ მწერალსა და მოაზროვნეს, **ხორხე ლუის ბორხესს** დავეთანხმებით (*"ხელოვნების ამოცანა - წარმოსახვის აღძვრაა"*), **მიკაელ ლაუდრუპი** არტისტი ყოფილა. ის იმ მოთამაშეების რიცხვს განეკუთვნება, ვინც ფეხბურთს ჭუჭყისგან, უხეშობისგან და ყველაფერი უარყოფითისგან წმენდს და მაყურებლამდე სუფთა სახით მიაქვს. და ამას ისე გულწრფელად აკეთებს, რომ მოწინააღმდეგეებსაც კი უხარიათ. რადგან ის უფრო უჩვეულოსკენ იხრებოდა, შესაბამისად უჭირდა მწვრთნელების დაწერილზე თამაში, მაგრამ მარტო მისი მონაწილეობა იყო სპექტაკლის გარანტია. ის აშინებდა მეტოქეებს და კარგ გემოვნებას უყალიბებდა პარტნიორებს.

სხვა დიადი ფეხბურთელების მსგავსად, ლაუდრუპის ნიჭი მოტყუებაში გამოიხატებოდა. მისი ყოველი მოქმედება, კარგად გათვლილი ტყუილი იყო. "რეალის" ვარჯიშებზე, ბურთების შემგროვებელსაც კი, ისე ანვდიდა ბურთს, რომ გვერდზე იხედებოდა. ის რისკის ზღვარზე თამაშობდა, მისგან მუდმივი ხიფათი მოდიოდა, მაგრამ ამასთან, თამაშის მართვაზე პრეტენზიას არ აცხადებდა.

**გია თვალაბეიშვილი**

(გაგრძელება იქნება)

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# დროა, შინაურ საქმეებს მივხედოთ



გიორგი ნიჟარაძე, გია ჭუმბურიძე, მალხაზ კორომინაძე, გიორგი მამარდაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

სანაკრებო ბატალიების მოლევის შემდეგ, ამ უქმეებზე დაიწყება საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი. წლევანდელი პირველობა შარშანდელისგან განსხვავებული იქნება როგორც გუნდების რაოდენობით, ასევე დაფინანსებით. საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა.

**მალხაზ კორომინაძე, რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის წევრი, ჭაბუკთა პირველობის დირექტორი:** - შარშან უმაღლეს ლიგაში გვყავდა 6, პირველში კი 4 კლუბი. წლეულს ორივე ლიგაში გუნდების რაოდენობა 8-8 გახდა. გარდა ამისა, პროგრესი გვაქვს ასაკობრივ პირველობებშიც. ჩამოვაყალიბეთ A და B ლიგები. აქედან A ლიგაში ითამაშებს 18 წლამდე ასაკის 13 გუნდი, B ლიგაში კი 16-წლამდელების 12 კლუბი იბურთავებს.

**გიორგი მამარდაშვილი, რაგბის კავშირის პიარ-მენეჯერი:** - ჭაბუკთა ლიგა უკვე დავიწყეთ, შაბათ-კვირას კი უმაღლესი და პირველი ლიგის მატჩები დაიწყება. გვაქვს არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე და სიურპრიზი. სასიამოვნოა, რომ პირველ ლიგაში ითამაშებენ "დევები" და თი-ბი-სი. ეს კლუბები, ძირითადად დაკომპლექტებულია იმ მორაგბეებით, რომლებსაც ან დასრულებული ჰქონდათ აქტიური კარიერა, ანაც მოყვარულების დონეზე თამაშობდნენ. ასევე მივესალმები "ხულიგანას" დაბრუნებას.

**გიორგი ნიჟარაძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი:** - ჩვენი კლუბები სტატუსით კი არიან პროფესიულები, მაგრამ პროფესიული ლიგის ჩამოყალიბებამდე დაახლოებით 3-4 წელიწადია საჭირო. ჩვენ გვაქვს მთავრობასთან ერთად შემუშავებული ოთხწლიანი პროგრამა, რომლის მიხედვითაც ჩვენი ჩემპიონატის დონე მაქსიმალურად უნდა ამაღლდეს. ვიმედოვნებ, პროგრამა 4 წლის მერეც გაგრძელდება...

ხელისუფლების დახმარებით, ამიერიდან შიდა პირველობებზე გვექნება აქამდე არნახული დაფინანსება. ეს ერთგვარი სტიმულია ბიზნესმენებისთვის, რომ კლუბებს მხარში ამოუდგნენ. როდესაც ბიზნესმენი ხედავს, რომ კლუბში უკვე ჩადებულია ინვესტიცია, იგი იქ ფულის დაბანდებაზე უფრო თამამად მიდის. თუმცა, რასაკვირველია, მხოლოდ კარგი დაფინანსება არ ნიშნავს ჭეშმარიტი პროფესიული კლუბის ჩამოყალიბებას. იქვე საჭიროა გამჭირვალე და კარგად დალაგებული მენეჯმენტიც. როდესაც საუბარია გუნდის აღორძინებაზე, იქვე საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ ვინაა მისი მეპატრონე, ვინ პრეზიდენტი და ასე შემდეგ. აქამდე ხშირად ხდებოდა, რომ ფაქტობრივად, მწვრთნელები ითავსებდნენ კლუბის პრეზიდენტობასაც, მენეჯერობასაც, ადმინისტრატორობასაც და ბუღალტრობასაც. ამგვარი მიდგომა არანორმალურია - ასე წინ ვერანაირად წავალთ.

კლუბების დაფინანსების პარალელურად, რაგბის კავშირი საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, რომ ყველა გუნდს ჩავუტაროთ ტრეინინგები და დავუქირავოთ საკონსულტაციო ჯგუფები, რომლებიც დაეხმარებიან თანხის მიზანმიმართულად, ეფექტურად ხარჯვაში. თუკი კლუბი სოლიდურ დაფინანსებას მხოლოდ იმისთვის გამოიყენებს, რომ ხელფასები მაქსიმალურად გაბეროს, ასე არაფერი გამოვა.

ამას გარდა, როდესაც პროფესიული ლიგის ჩამოყალიბებაზე ვლაპარაკობთ, იქ ინფრასტრუქტურასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. პროფესიული კლუბები უზრუნველყოფილები უნდა იყვნენ სავარჯიშო და სათამაშო მოედნებით. დასამალი არ არის, რომ ახლა ამ კუთხით კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს, მაგრამ ვიმედოვნებ, მდგომარეობა გამოსწორდება.

მთავრობის სხდომაზე დადებითად გადაწყდა რაგბისთვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხი, სადაც ახალი მოედნები უნდა ავაშენოთ. და თუ კონკრეტულად სად და როდის გამოიყოფა ნაკვეთები, ამაზე ხელისუფლებასთან კიდევ ერთხელ შეხვედრის შემდეგ გადავწყვეტთ. ისე, წინასწარი შეთანხმება გვაქვს, რომ თბილისში საამისოდ უნდა გამოიყოს 12, ხოლო რეგიონებში 8 მიწის ნაკვეთი. მათზე აშენებულ ბაზებს კი კლუბებს გადავცემთ.

**- რა თანხით დაეხმარები კლუბებს?**

- ბოლო 2-3 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, რაგბის კავშირი ინახავს უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებს. მათ არ ვახდევინებთ საწევრო გადასახადს, ვუკერავთ 2-2 ხელ ფორმას და ოფიციალური მატჩებისთვისაც ჩვენ ვქირაობთ მოედნებს. ამგვარ დახმარებას კვლავაც ვაგრძელებთ. საერთო ჯამში, ორივე ლიგის თითოეულ კლუბს დაახლოებით 25-30 ათასი ლარით ვეხმარებით, რაც საერთო ჯამში საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის, მაგრამ ამაზე შეჩერებას არ ვაპირებთ.

შარშან უმაღლეს ლიგაში საპრიზო ფონდად გვქონდა 10 000 ლარი, რომელიც ამიერიდან გვარიანად გაიზრდება. ყოველი სეზონის დასაწყისში, თითოეულ კლუბს გადაეცემა კონკრეტული თანხა, იანვრიდან კი საპრიზო ფონდი გუნდების მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით გაიყოფა. საერთო ჯამში, საუბარია მილიონნახევრიან საპრიზო ფონდზე.

ისე, კარგი იქნება, თუ კლუბები ნელ-ნელა ისწავლიან დამოუკიდებლად ცხოვრებას, რაც ახლა ერთბაშად კი გაუჭირდებათ, მაგრამ სამომავლოდ აუცილებლად გამოადგებათ...

ჩვენი მხრივ, ჩამოყალიბებული გვაქვს ეროვნული ჩემპიონატის გუნდებში სპონსორების მოზიდვის გეგმა. ჩვენ ვიცით, თუ რა უნდა შევთავაზოთ ბიზნესმენებს რაგბის კლუბების დაფინანსების სანაცვლოდ. ამას გარდა, საქართველოს პრემიერმინისტრი ლადო გურგენიძე დაგვპირდა, რომ მთავრობაც შეეცდება სხვადასხვა კომპანიების რაგბით დაინტერესებას.

ორშაბათს ვაფორმებთ ხელშეკრულებას სადაზღვევო კომპანია "არქიმედესთან". მან სხვა სადაზღვევო კომპანიებზე გაცილებით უკეთესი პირობები შემოგვთავაზა.

**- ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით, რა გეგმები გაქვთ?**

- ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ის არის, რომ ლეგიონერებს მნიშვნელოვან მატჩებზე ჩამოსვლისას, კლუბებთან პრობლემა არ შეექმნათ. ამ მხრივ არაერთხელ წავწყდომივართ სირთულეებს. მაგალითად, დავით ზირაქაშვილის კლუბმა გვთხოვა - ოღონდ პორტუგალიასთან მატჩისთვის არ წაიყვანოთ და სარუსეთოდ აუცილებლად გამოვუშვებთო. თუმცა, მერე ისე მოხდა, რომ ზირაქაშვილი სასწაულად ათამაშდა თავის გუნდში, მისი ყოფნა ჰაერივით სჭირდებოდათ და ჩვენც არ მოვინდომეთ, რომ ნაკრებში გამოძახებით დათოს ალმავალი კარიერა შეგვეფერხებინა. მოკლედ, ასე თუ ისე, კი შეგვიძლია, რომ გარკვეული ძალდატანებით გამოვაშვებინოთ ფრანგულ კლუბებს ჩვენი მორაგბეები, მაგრამ ზოგჯერ ისევ ბიჭების კარიერას ვუფრთხილდებით. ხანდახან კი ისე ხდება, რომ თავად მორაგბემ უნდა გააკეთოს არჩევანი - ნაკრები ურჩევნია თუ კლუბი...

სხვათა შორის, ჩვენ, რუმინელები, პორტუგალიელები და რუსები ზაფხულში საბერძნეთში გასამართ ფირააერი-ს კონგრესზე ვაპირებთ წინადადების წამოყენებას, რომ ერთა თასის ცენტრალური მატჩები მაინც დაემთხვას 6 ერის განრიგს, ანუ ევროპულ სანაკრებო ფანჯარას. იმ დროისთვის არცერთ კლუბს არ ექნება უფლება, რომ მორაგბე ნაკრებში არ გაუშვას.

ზაფხულში მივდივართ რუმინეთის დიდ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ოპტიმალური შემადგენლობის წაყვანა გვსურს.

გაისად კი ჩვენი ნაკრების თავკაცი ტიმ ლეინი აპირებს, გუნდი შეკრებაზე წაიყვანოს ავსტრალიაში, სადაც ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს. ლეინმა თავიდანვე გვითხრა - დაახლოებით ერთი წელიწადი მჭირდება, რომ ხეირიანად გავერკვე ნაკრების რეალურ პოტენციალში, 2009 წლიდან კი ძლიერი გუნდის შენებას დავიწყებო. ლეინის მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ. იგი ლევან ცაბაძესა და ვიქტორ დიდებულიძესთან ერთად, ბრწყინვალედ ირჯება. ლეინის მოსვლის შემდეგ, ნაკრების თამაშში აშკარად იგრძნობა პროგრესი...

**კობა ხატისაშვილი**

# საქართველოს უდიდესი გეგმები აქვს

**საქართველოს ნაკრების წარმატებას სპეციალური სიუჟეტი მიუძღვნა გადაცემა „ტოტალ რაგბიმ", შემდეგ ამ სიუჟეტის მიხედვით IRB-ს ოფიციალურ საიტზე სტატიაც გამოქვეყნდა, რომელსაც აქვე შემოგთავაზებთ.**

- საქართველოს ნაკრებმა მოსალოდნელზე მეტი აჩვენა შარშანდელ მსოფლიო თასზე. ნამიბიის დამარცხება ერთი მიღწევაა და არგენტინასთან და ირლანდიასთან ღირსეული თამაში – მეორე. ირლანდიელებს ქართველებმა კინაღამ მოუგეს. ნაკრებმა ფორმა წლეულსაც არ დაკარგა და გამარჯვებათა ციკლი ერთა თასის მოპოვებით დააგვირგვინა.

გასულ უიქენდზე „ბორჯღალოსნებმა" ესპანელებს უმასპინძლეს. ეს მათი უკანასკნელი მატჩი იყო ერთა თასზე, რუსეთში მოგების შემდეგ ქართველებს თასი გარანტირებული ჰქონდათ, თუმცა სეზონის დასრულება მათ მოგებით უნდოდათ. ესპანეთი ერთადერთია, რომელმაც ამ სეზონში საქართველოს დამარცხება შეძლო, ასე რომ, მასპინძელთა ავსტრალიელ მწვრთნელს, **ტიმ ლეინს** დიდი მუშაობის გაწევა მოუწია რე-მატჩისთვის.

*„ქართველებს ყოველთვის ძლიერი ფორვარდები ჰყავდათ, ისინი შერკინებაში მაგრები იყვნენ და არიან. ეს კარგად აღმოჩნდა მსოფლიო თასზეც, სადაც საქართველომ ძალიან კარგად იასპარეზა. მაგრამ წარსულში მათი ბეკები ფეხს ვერ უწყობდნენ ფორვარდთა კარგ თამაშს. სწორედ ამიტომ ვცადეთ, თამაშის გაშლა. ჩვენ მოვიძიეთ ახალგაზრდა, პერსპექტიული ბეკები, რომლებიც ნაკრებში კარგად ათამაშდნენ"*, - განაცხადა ტიმ ლეინმა

15 ათასზე მეტმა გულშემატკივარმა იხილა, თუ როგორ შეძლეს „ბორჯღალოსნებმა" ტაიმის 12:17 წაგების შემდეგ გამარჯვების მოპოვება – 22:20. გამარჯვების სწრაფვის იშვიათი უნარის გამოვლენის შემდეგ გუნდის კაპიტანმა, **ირაკლი აბუსერიძემ** მოგება ფანებს მიუძღვნა: *„ვიცოდი, რომ დიდი დღესასწაული გველოდა, მაგრამ ასეთი მასშტაბის ვერ წარმომედგინა. როდესაც 0:17-ს ვაგებდით, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი, როგორღა შემეხედა ჩვენი გულშემატკივრებისთვის თვალებში. მაგრამ ჩვენ ვირწმუნეთ, რომ მოგება მაინც შეგვეძლო და მიზანს მივაღწიეთ"*.

იმ 15 ათაას ფანს შორის ერთ-ერთი საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ლადო გურგენიძე** იყო, რომლის მთავრობაც ქართველ მორაგბეებს დიდ დახმარებას ჰპირდება. *„ძალიან დაძაბული მატჩი იყო, ვფიქრობ, საუკეთესო გუნდმა გაიმარჯვა. ერთა თასის მოგებით კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ ქართული რაგბის ისტორიაში. ჩვენ, ხალხი, ქვეყანა, მთავრობა, ვაკეთებთ ყველაფერს, რომ ქართული რაგბი დიდების მწვერვალზე ავიდეს. საქართველოს მთავრობამ უკვე დაამტკიცა ახალი პროგრამა, რომლის მიხედვითაც მომავალ ოთხწლიან ციკლში 15 სარაგბო სტადიონი აშენდება, რომლებიც რაგბის კავშირს გადაეცემა. ჩვენ შევქმნით პროფესიულ ლიგას. ყველაფერს გავილებთ, რომ რაგბი საქართველოში განვითარდეს"*, - განაცხადა ქვეყნის პრემიერმა.

ტიმ ლეინი თამაშით უკმაყოფილო, მაგრამ მაინც გახარებული იყო: *„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველმა ხალხმა წარმატებას მიაღწიოს, მათ ძალიან ბევრი განსაცდელი გამოიარეს წარსულში. მიხარია, რომ ჩვენს მორაგბეებს გამარჯვებული მენტალიტეტი უყალიბდებათ"*.



საქართველო-ესპანეთი. ბურთით დიმიტრი ბასილაია

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საქართველო აგრძელებს



ჩინეთის ქალაქ შანხაიში გრძელდება პლაჟბურთელთა მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი. სამწუხაროდ, ჩვენმა ვაჟთა წყვილმა გეორ-გიამ ძირითად ბადეში მეორე შეხვედრაც წააგო და შეჯიბრებას ნაადრევად გამოეთხოვა. გუშინ, **გეორმა** და **გიამ** ჯერ კუბელების დუეტი (ალვარესი-რამირესი) დაამარცხეს - 17:21, 21:15, 15:12, მერე კი პის-კადიუს (კანადა) წყვილთან დაყარეს ფარ-ხმალი - 14:21, 16:21. საბოლოოდ, გეორ-გიამ მე-13-16 ადგილები გაიყო, 180 ქულა ჩაიწერა რეიტინგში და 3900 დოლარი მიიღო.

ექსთანამემამულე ბრაზილიელებთან (ანა პაულა-შელდა) მარცხით გახსნა ძირითადი ბადე ჩვენმა ქალების დუეტმა საქა-რთველომ - 15:21, 15:21. თუმცა, რაკილა ძირითად ბადეში 1 მარცხი დასაშვებია, ისინი მაინც აგრძელებენ ბრძოლას. მეორე წრეში საქამ და რთველომ მონტანიოლი და სვობოდა (ავსტრია) გაანბილეს - 21:14, 21:16. დღეს ჩვენი გოგონები მესამე წრეში ნორვეგიელებთან (ჰაკედალი-ტორლენი) მოსინჯავს ძალას.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ვარსკვლავთა მატჩი. 5 მაისი

# ქომაგებმა გამყრელიძე აღიარეს




გამყრელიძემ (4) ტულუშს აჯობა

დასრულდა გამოკითხვა, რომელმაც 5 მაისს გასამართი "ოლსტარის" ორივე გუნდის სასტარტო ხუთეულები გამოავლინა. პირველი საშუალედო შედეგების მიხედვით სხვებზე მეტი ხმა **კოტე ტულუშს** ჰქონდა, საბოლოოდ კი "ენერჯის" გამთამაშებელმა **ლაშა გამყრელიძემ** იმარჯვა. მან 765 ხმა მიიღო, ხოლო ტულუშმა - 756. ისინი ვარსკვლავთა მატჩში ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან.

**დავით უსტიაშვილის გუნდი**

(ენერჯი ინვესტი, ვითა, დინამო)

უკანა ხაზი: **ლაშა გამყრელიძე** (ენერჯი ინვესტი) – 765 ხმა, **ბესიკ ლეჟავა** (ენერჯი ინვესტი) – 465.

ფორვარდები: **ვიქტორ სანიკიძე** (დინამო) – 643, **მიხეილ ბერიშვილი** (ვითა) – 516.

ცენტრი: **იოვან სტეფანოვი** (ენერჯი ინვესტი) – 643.

**ნუგზარ ქეიშვილის გუნდი**

(თსუ, თბილავიამშენი, მაკაბი)

უკანა ხაზი: **კოტე ტულუში** (თბილავიამშენი) – 756, **შიო ხეცურიანი** (თსუ) – 521.

ფორვარდები: **დავით ბარბაქაძე** (თსუ) – 679, **მიხეილ ფანჩულიძე** (თსუ) – 622.

ცენტრი: **რიჩარდ მათიაშვილი** (თბილავიამშენი) – 644.

აქვე გთავაზობთ გამოკითხვის სრულ შედეგებს:

**დავით უსტიაშვილის გუნდი**

უკანა ხაზი: **გიორგი გამყრელიძე** (ენერჯი ინვესტი) – 765 ხმა, **ბესიკ ლეჟავა** (ენერჯი ინვესტი) – 465, **მიხეილ ჩიტაშვილი** (ენერჯი ინვესტი) – 441, **არჩილ ჟღენტი** (დინამო) – 362, **გიორგი მარხვაშვილი** (ვითა) – 312, **ლექსო ლაფანაშვილი** (დინამო) – 286, **გიორგი გულისაბედაშვილი** (დინამო) – 241.

ფორვარდები: **ვიქტორ სანიკიძე** (დინამო) – 643, **მიხეილ ბერიშვილი** (ვითა) – 516, **გიორგი მარკოიშვილი** (ვითა) – 440, **რევაზ დიდია** (ენერჯი ინვესტი) – 338, **ზვიად ბაბიაშვილი** (ენერჯი ინვესტი) – 284, **ჟულიეტ ტუჯანი** (ენერჯი ინვესტი) – 273, **დავით გვიმრაძე** (ვითა) – 214, **ვლადიმერ ბეჟანიშვილი** (ვითა) – 188.

ცენტრი: **იოვან სტეფანოვი** (ენერჯი ინვესტი) – 643, **რევაზ ათანელიშვილი** (დინამო) – 285, **დავით ბერძენიშვილი** (ვითა) – 272, **გულივერ ახალკაცი** (დინამო) – 266.

**ნუგზარ ქეიშვილის გუნდი**

უკანა ხაზი: **კოტე ტულუში** (თბილავიამშენი) – 756, **შიო ხეცურიანი** (თსუ) – 521, **გიორგი ნიკოლაძე** (თბილავიამშენი) – 425, **დავით ბერიშვილი** (თსუ) – 329, **დავით არნივიძე** (თსუ) – 301, **ირაკლი ხოშტარია** (თბილავიამშენი) – 301, **ირაკლი ბერიშვილი** (მაკაბი) – 239.

ფორვარდები: **დავით ბარბაქაძე** (თსუ) – 679, **მიხეილ ფანჩულიძე** (თსუ) – 622, **ირაკლი კეიდია** (თსუ) – 435, **ვახტანგ მინაშვილი** (თბილავიამშენი) – 404, **თორნიკე ნინიაშვილი** (241), **გიორგი პირველაშვილი** (მაკაბი) – 183, **ზურაბ კორკოტაძე** (მაკაბი) – 174, **დავით იმნაძე** (თბილავიამშენი) – 158.

ცენტრი: **რიჩარდ მათიაშვილი** (თბილავიამშენი) – 644, **გიორგი ყველაშვილი** (თსუ) – 292, **სოსო შერმადინი** (მაკაბი) – 265, **პლასიდე როდუმტა** (თბილავიამშენი) – 265.

# ბორაჩის ერთი მოგება...

გასულ კვირას, ბოსნიის პირველობის მეორე ეტაპის სამ მატჩზე გესაუბრეთ, რომლებიდანაც **დავით უგრეხელიძის** "ბორაჩ ნექტარმა" ვერც ერთის მოგება ვერ მოახერხა.

დღეს მომდევნოს სამ შეხვედრაზე მოგახსენებთ. ბორაჩელებმა ვერც ამ შემთხვევაში ივარგეს - ორი მატჩი წააგეს და ნახევარფინალში მოხვედრის შანსი საბოლოოდ დაკარგეს.

ახლა ორიოდე სიტყვით თამაშებსა და დათოს გარჯას შევეხოთ. მეორე ეტაპის მეოთხე მატჩში "ნექტარი" ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ "შიროკის" ესტუმრა და შინ ხელმოცარული დაბრუნდა - 58:70. ეს შეხვედრა უგრეხელიძისთვის მეორე ეტაპზე საუკეთესო გამოდგა. მის ანგარიშზე 4 ქულაა. საყურადღებოა, რომ "ბორაჩის" კალათბურთელთა შორის ორნიშნა რიცხვს ერთადერთმა მოთამაშემ მიაღწია - **იოვანოვიჩმა** 10 ქულა ჩააგდო.

მეხუთე ტურში "ნექტარმა" კვლავ გასვლითი მატჩი ჩაატარა და კვლავ დამარცხდა. ამჯერად უგრეს გუნდს "იგოკეამ" აჯობა 91:81.

ამ შეხვედრაში დათო მწვრთნელმა განაცხადში შეიყვანა, თუმცა მოედანზე არ გაუყვანია.

მეექვსე ტურში "ბორაჩ ნექტარმა" "სლავიას" მოედანზე ითამაშა და პირველი გამარჯვება მოიპოვა - 72:65, თუმცა, არც ერთი გუნდისთვის და არც მეორისთვის ორ ქულას ფასეული მნიშვნელობა არ ჰქონდა. "სლავიასთან" უგრეხელიძემ მოედანი უქულოდ დატოვა, სნაიპეროა კი პოპოვიჩმა იკისრა - 15 ქულა.

სადღეისოდ, "ბორაჩ ნექტარს" 1 მოგება აქვს და 8 კლუბს შორის მეშვიდეა. ოთხეულში არიან "ბოსნა" (6 მოგება), "შიროკი" (5), იგოკეა (4) და "სლობოდა" (4).

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

# სამეულში ვერავინ მოხვდება

გუშინდელი, ბოლოსწინა ტურის შემდეგ გაირკვა, რომ ვერცერთი ქართველი მოჭადრაკე საპრიზო სამეულში ველარ შეაღწევს. მაქსიმუმი, რისი მიღწევაც შეიძლება; 15 საუკეთესოში მოხვედრაა, რაც ვაჟთა შორის მსოფლიო თასის, ხოლო ქალებში მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს იძლევა.

ვაჟებში ამის შანსი **მიხეილ მჭედლიშვილსა** და **დავით ჯოჯუას** გააჩნიათ, ქალებში – **ნანა ძაგნიძეს, მაია ლომინეიშვილსა** და **სოფიკო ხუხაშვილს**. ყველა მათგანს 6.5-6.5 ქულა აქვს. ვაჟთა ტურნირს 8 ლიდერი ჰყავს 7.5 ქულით, ქალთა შორის ორი უკრაინელი დაწინაურდა - **კატერინა ლაჰნო** და **ანა უშენინა,** 8 ქულა. დღეს პლოვდივში ბოლო ტურია, ხვალ – ტაი-ბრეიკები.

ვაჟები. მეათე ტური. ბრანკო დამიანოვიჩი (სერ, 2595) - **მიხეილ მჭედლიშვილი (2635) 6.5** 0.5:0.5, **დავით ჯოჯუა (2463) 6.5** – ნიჯათ მამედოვი (აზე, 2577) 1:0, **ლევან ფანცულაია (2617) 6** – დმიტრი ანდრეიკინი (რუს, 2580) 0:1, ვასილ სპასოვი (ბულ, 2579) - **დავით მალალაშვილი (2462) 6** 0.5:0.5, იგორ მილადინოვიჩი (სერ, 2579) - **თორნიკე სანიკიძე (2458) 5.5** 0.5:0.5,, **კონსტანტინე შანავა (2518) 5** – ალექსანდრ ბელიავსკი (სლნ, 2641) 0.5:0.5, **მალხაზ სულაშვილი (2491) 5** – პლამენ მლადენოვი (ბულ, 2371) 1:0, მანფრედ მუდელზეე (გერ, 2284) - **გიორგი მარგველაშვილი (2455) 5** 0:1, კიპრიან ბერბატოვი (ბულ, 2220) - **ბაჩანა მორჩიაშვილი (2421) 4.5** 0:1, პიერ ჟენგლერი (საფ, 2200) - **ივერი ჭილაძე (2384) 4** 0:1**დავით ლომსაძე (2394) 3.5** – ათანას სტანევი (ბულ, 2193) 1:0

ქალები. მეათე ტური. **ნანა ძაგნიძე (2443) 6.5** – ოლგა ზიმინა (უნგ, 2363) 0.5:0.5, პენკ ჭაოცინი (პოლ, 2455) - **მაია ლომინეიშვილი (2400) 6.5** 0.5:0.5, **სოფიკო ხუხაშვილი (2371) 6.5** – მონიკა ციგანოვა (ესტ, 2198) 1:0, **სალომე მელია (2413) 6** – მონიკა სოცკო (პოლ, 2505) 0:1, **სოფიო ნიკოლაძე (2249) 6** – ელენა დემბო (საბ, 2429) 0:1, ევა მოზერი (ავს, 2395) - **ნინო ბაციაშვილი (2305) 5.5** 1:0, **ლელა ჯავახიშვილი (2466) 6** – ტატიანა მოლჩანოვა (რუს, 2359) 0.5:0.5, ელენა ტაიროვა (რუს, 2412) - **სოფიო გვეტაძე (2350) 5.5** 1:0, **ეკატერინე ფახირიძე (საბ, 2282)** - მარიამ დანელია (2129) 4.5 1:0, **ანა გავაშელი (2191) 4** - მიჰაელა სანდუ (რუმ, 2325) 0:1, **ნაზი პაიკიძე (2347) 4** - ასლი ბაირაქი (თურ, 2031) 1:0,

ქართველი NBA-ში

# ჰიუსტონის მწვრთნელი ზაზათი მოიხიბლა




ზაზა ფაჩულია პოლ პირსის წინააღმდეგ

**ზაზა ფაჩულიას "ატლანტამ" მერვედფინალის მეხუთე მატჩი ბოსტონში გამართა და ადგილობრივ "სელტიქსთან" 85:110 დამარცხდა. ატლანტაში ზედიზედ ორი წაგების შემდეგ კევინ გარნეტმა და მისმა თანაგუნდელებმა სტუმრებს პირველივე წუთებიდან აქტიურად შეუტიეს, საწყის 12-წუთეულში 27:19 დაწინაურდნენ და საფინალო სირენამდე ჯორჯიელთათვის გადასწრების უფლება არ მიუციათ.**

სადღეისოდ სერიაში ანგარიშია 3:2 "ბოსტონის" სასარგებლოდ. მომდევნო მატჩი 2 აპრილს "ატლანტას" "პეპსი არენაზე" გაიმართება და იმედი დავიტოვოთ, რომ "ჰოქსი" მესამე საშინაო გამარჯვებასაც მოიპოვებს. თუ ასე მოხდა, მეშვიდე, გადამწყვეტი შეხვედრა 4 მაისს ბოსტონში გაიმართება.

85:110 წაგებულ მატჩში ზაზა ფაჩულიამ 11 წუთი ითამაშა, ბევრს ეცადა, მაგრამ ამ მცირე დროში 5 მცდელობიდან მხოლოდ ერთი ორქულიანი გამოიყენა (ორჯერ დაუფარეს) და 2 ქულას 1 შედეგიანი გადაცემა მიამატა.

სტუმართაგან ორი კალათბურთელი გამოირჩა - **ელ ჰორფორდი** (14 ქულა, 10 მოხსნა) და **ჯო ჯონსონი** (21 ქულა). ხოლო ბოსტონურმა ტრიომ **კევინ გარნეტმა** (20 ქულა), **პოლ პირსმა** (22) და **რეი ალენმა** (19) ჯამში 61 ქულას მოუყარა თავი.

მას შემდეგ, რაც "ატლანტამ" "სელტიქსს" თანაბარი ბრძოლა გაუჩაღა, სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიიპყრო. გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენში" ზაზას გუნდის შესახებ არაერთი ცნობილი სპეციალისტის აზრია გამოთქმული. ჩვენთვის საყურადღებოა "ჰიუსტონ როკეტსის" დამრიგებლის **ვან განდის** მოსაზრება. იგი "ჰოქსის" სათადარიგოების თემას ეხება: *"ჯორჯიული "ატლანტა" ახალგაზრდული გუნდია, ნიჭიერი კალათბურთელებით დახუნძლული. ყველაზე სწრაფად პროგრესირებადი ჯოშ სმიტია. ელ ჰორფორდს აქვს ყველაფერი, რაც NBA-ს ვარსკვლავისთვისაა საჭირო - მოქნილია, ზედმეტად უყვარს კალათბურთი. ძალიან მომწონს სათადარიგოები ჯოშ ჩილდრესი და ზაზა ფაჩულია. ქართველი მებრძოლი ხასიათისაა და მოედანზე შეუპოვარია. ჩემი აზრით, ზაზა მეტად სასარგებლოა მაშინ, როცა მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ერთვება, თამაშში ახალი ენერგია შეაქვს".*

**ვაჟა სიმონიშვილი**

| ბოსტონი–ატლანტა | 110:85 |
|---|---|

27:19, 31:24, 23:21, 29:31

ბოსტონი: რ. ალენი (19 ქ), რონდო (12 ქ. 7 პ), პერკინსი (2 ქ), გარნეტი (20 ქ), პირსი (22 ქ. 6 პ), პოუე (10 ქ), პოუსი (6 ქ), კასელი (13 ქ), ტ. ალენი (2 ქ), დევისი (4 ქ)

ატლანტა: ბიბი (6 ქ), ჯონსონი (21 ქ), ჰორფორდი (14 ქ. 10 მ. 5 პ), მ. უილიამსი (12 ქ), სმიტი (18 ქ), ჩილდრესი (5 ქ), ფაჩულია (11 წუთი, 2 ქულა, 1 პასი, 3 ფოლი), ლოუ (5 ბ), ჯონსი (2 ქ), რიჩარდსონი, ს. სტაუდმაიერი

მომდევნო მატჩები: ატლანტა-ბოსტონი (2 მაისი), ბოსტონი-ატლანტა (4 მაისი, თუ საჭირო გახდა).

ცხენოსნობა

# თბილისის თასი ალიევის თასის წინ

საქართველოში დაბრკოლებათა გადალახვის სეზონი თბილისის თასის გათამაშებით იწყება. წლევანდელი ასპარეზობისადმი ინტერესი განსაკუთრებით ამაღლდა, რადგან რამდენიმე დღეში ბაქოში ილჰამ ალიევის თასის ტრადიციული გათამაშება იწყება, ის მხედრები კი, ვინც ბაქოში გაემგზავრებიან, თბილისის თასს უნდა დაესახელებინა. ამთავითვე ვიტყვით, რომ ამ შეჯიბრებაზე ახალი სახელები არ გამოჩენილა, კვლავ თბილისელმა ძველმა მეტოქეებმა გაარკვიეს ურთიერთობა ერთმანეთში.

კონკური №1 **გიორგი თოხაძემ** მოიგო ცხენ სულგრძელით, მეორე **ივანე ნორაკიძე** (ცხენი ეროსი) იყო. ორივე მხედარი თბილისის იპოდრომის წარმომადგენელია, მესამე ადგილზე გავიდა **ზაზა ჩიტრეკაშვილი,** რომელიც კერძო მფლობელის მერნით გამოვიდა საასპარეზოდ.

კონკური №2 (მერიის თასი) **როინ მარგიანის** გამარჯვებით დასრულდა (ხედი), იგი საცხენოსნო ესკადრონიდანაა, შემდეგ როინი სხვა მერნით (ზეცა) გამოვიდა სარბიელზე და მეორე ადგილი დაიკავა, მესამე ადგილი კერძო მფლობელობის ცხენით (ელპერილი) **გიორგი სამხარაძეს** ხვდა წილად. მეოთხე ადგილი გაიყვეს ნორაკიძემ და თოხაძემ (სულგრძელი). აქვე ვიტყვით, რომ №1 კონკურში მეოთხე შედეგი ჰქონდა **შალვა გაჩეჩილაძეს** (ცხენი გედი).

*"მხედრებისთვის დამატებითი სტიმული იყო ფულადი ჯილდო 1500 ლარი, რომელიც დაანესა ჟოკეი კლუბმა. რაც შეეხება ბაქოს ტურნირს, იქ საასპარეზოდ წავლენ ნორაკიძე, თოხაძე, გაჩეჩილაძე და მარგიანი. ეს უკანასკნელი კი ორი ცხენით იბრძოლებს პრეზიდენტის თასისთვის."* - გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა **ლაშა ჯაიანმა.**

ვეტერანმა მხედარმა **ალექსანდრე დგებუაძემ** დადებითად შეაფასა სადღეისოდ ქართველ ცხენოსანთა მომზადება.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**



ივანე ნორაკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალის კვალდაკვალ

# გვაქვს თუ არა გამართლების შანსი?



დავით მოძმანაშვილი

დავით მოძმანაშვილის დოპინგ-სკანდალთან დაკავშირებით გუშინ ვარშავაში, სალიცენზიო ტურნირზე მყოფ ოლიმპიური გუნდის მთავარ ექიმ **ზურაბ კახაბრიშვილს** დავუკავშირდით და გარკვეული დეტალებიც შევიტყვეთ.

როგორც ირკვევა, მოძმანაშვილს არა რომელიმე კონკრეტული აკრძალული პრეპარატის, არამედ ორგანიზმში ტესტოსტერონის მომატებული დოზის გამო ედავებიან. მას ნონანდროსტერონი აღმოაჩნდა მომატებული, რაც ორგანიზმს ენერგიას მატებს და ალაგზნებს. დოპინგსამსახურმაც ამიტომ მიიჩნია დამნაშავედ, მაგრამ აქ გასარკვევია, რა გზით მოხდა მისი მომატება - პრეპარატებით და თუ ეს ორგანიზმის ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური თვისებაა. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციასთან დავაში ჩვენი მხარის კოზირი ახლა სწორედ ესაა - დაუმტკიცონ მათ, რომ ეს ფიზიოლოგიურად მოხდა და არა პრეპარატებით, მიზანმიმართულად და გამიზნულად. მისი მომატება ბევრ გარემო ფაქტორზეა დამოკიდებული და ამის გამომწვევი მიზეზი ყოველთვის პრეპარატი არაა. ამდენად, ის ნებისმიერი ადამიანის ორგანიზმში შეიძლება აღმოჩნდეს მომატებული. ქართული მხარე ამ ფაქტის გამოყენებით ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის განაჩენის გასაჩივრებას აპირებს. მით უფრო, მსგავსი პრეცედენტები ყოფილა ზუსტად ანალოგიურ დარღვევაზე (თუ შეიძლება ასე ითქვას) და, მართალია, არა ყოველთვის, მაგრამ ზოგჯერ დამნაშავედ შერაცხული სპორტსმენი გაუმართლებიათ კიდეც.

თუმცა ჭიდაობის სამყარო ერთი პატარა ოჯახია და ამ ოფიციალური ვერსიების გვერდით თბილისში სხვა ამბებსაც მოჰკრავთ ყურს. ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო და ახლაც ასე ხდება. კერძოდ, ამბობენ, რომ თითქოს მოძმანაშვილმა საკუთარი ინიციატივით მიიღო რაღაც პრეპარატი, მაგრამ ვერ (ან არ) აკონკრეტებენ. სამაგიეროდ, ამბობენ, რომ ის წამალი საქართველოში არ იყიდება და მისი ჩამოტანა მხოლოდ საზღვარგარეთიდანა შესაძლებელი. ამბობენ იმასაც, მოძმანაშვილს თავის დროზე რომ გაემხილა ეს ამბავი, მდგომარეობიდან თავის დაძვრენა კიდე შეიძლებოდა. საქმე ისაა, რომ არსებობს სპორტსმენის სამედიცინო ანკეტა, რომელშიც აღირიცხება ყველა ის წამალი, რასაც ათლეტი მზადების პროცესში იღებს. მათ შორის აკრძალულიც უნდა მიეთითოს, ოღონდ ექიმმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მიღება აუცილებელი იყო - რომ უამისოდ არ შეიძლებოდა იმ დაავადების მკურნალობა; რომ მისი შემცვლელი ან არ არსებობს, ან - უფრო ცუდ შედეგებს მოიტანდა.

კახაბრიშვილი აცხადებს, რომ ამ ხმების შესახებ არაფერი იცის, მოძმანაშვილზე კი სამედიცინო ანკეტა არსებობს და მასში მზადების პროცესში მიღებული ყველა წამალია შეტანილი. კახაბრიშვილი ამბობს, მოძმანაშვილს მართლაც რომ მიეღო რაიმე წამალი თვითნებურად, ამის თაობაზე აუცილებლად უნდა ეცნობებინა მისთვის და იქნებ საქმე ასე არ გართულებულიყო. ყოველ შემთხვევაში, კახაბრიშვილი საბრძოლველად მზადაა და ამბობს, რომ მოძმანაშვილმა ევროპის ჩემპიონატი მომზადებით მოიგო და არა დოპინგით.

ღმერთმა ქნას, ჩვენებმა სიმართლე მართლაც დაამტკიცონ. არადა, მოძმანაშვილს არა მარტო ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევა ელოდება, არამედ - დისკვალიფიკაციაც და ოლიმპიადის გამოტოვებაც. ის ჯერ ახალგაზრდაა და ოლიმპიდაზე გამოსვლას კიდევ მოასწრებს. ცუდი ისაა, რომ ეს დისკვალიფიკაცია იმ ასაკში მოუსწრებს, როცა ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს. ის რომ უკვე ჩამოყალიბებული მოჭიდავე იყოს და სასწავლი არაფერი ჰქონდეს, კიდევ ჰო, მაგრამ ახლა ეს აუცილებლად შეაჩერებს მის ზრდას. არანაკლებ ცოდვაა მისი პირადი მწვრთნელი **დავით ხურცია** და ნაკრების თავკაცი **ზაზა თურმანიძე**, რომლებსაც კოლოსალური შრომა ჩაეყარათ წყალში.

დასასრულს, გეტყვით, რომ დღეს ვარშავაში ბოლო სალიცენზიო ტურნირი იწყება. დღესვე ჩვენგან **ბესარიონ გოჩაშვილი** იჭიდავებს, რომელიც პირველ წრეში პოლონელ პავლაკს ხვდება. სამწუხაროდ, მას წილისყრამ არც ამჯერად გაუმართლა, რადგან ნახევარფინალამდე ძლიერი მეტოქეები ელოდებიან - მოლდოველი მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი გენადი ტულბეა, ბერძენი ევროპისა და ოლიმპიური პრიზიორი ამირან კარდანოვი, სწორედ ის გერმანელი მარსელ ევალდი, ვისთანაც წინა ანალოგიურ ტურნირზე დამარცხდა შვეიცარიულ მარტინიში...

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# სატოში იში, იაპონელთა სენსაცია

სენსაციურად დასრულდა იაპონიის აბსოლუტური ფალავნობა მძიმე წონაში და გაირკვა იქაური ოლიმპიური ნაკრების ბოლო წევრიც. იგი არა მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **კოსეი ინუე** ან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **იასუიუკი მუნეტა**, არამედ. ახალგაზრდა **სატოში იში** გახდა!

წონაში, სადაც დასახელებულთა გარდა, მსოფლიოს პრიზიორი **იოჰეი ტაკაიც** გამოდის, საბოლოოდ ყველაზე ახალგაზრდამ და ყველაზე უტიტულომ იმარჯვა. თუმცა სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ სეზონის დასაწყისში იქაური სპეციალისტები ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის კანდიდატად ტაკაიზე მეტად სწორედ იშის მიიჩნევდნენ, მაგრამ არა უპირველეს ფავორიტად. ამ ტურნირის წინ უმთავრესი კანდიდატი სწორედ ინუე იყო, რომელმაც დაახლოებით ერთი თვის წინ იაპონიის პირველობაზე ნახევარფინალში ისე დამაჯერებლად მოუგო მუნეტას, იქაურებს თავისი ახალგაზრდობა გაახსენა. მაშინ იში ადრევე გავარდა და თითქოს ჩრდილშიც მოექცა, მაგრამ ახლა გაილაღა - მეოთხედფინალიდან ინუე დაიფრინა, ნახევარფინალში მუნეტა გააგდო, ფინალში კი ოლიმპიურ და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **კეიძი სუძუკის** აჯობა. *"არაფერი მეთქმის. ჩემს საფირმო ილეთს - უჩი მატას (ამოსმული შუაკაური - ავტ.) დღეს ეფექტური კონტრშეტევა დაუპირისპირეს."* - განაცხადა ინუემ. *"ჯერ სახლში მივდივარ, კარგად უნდა დავმშვიდდე"* - ესლა ნაილულლულა მუნეტამ, რომელსაც დამშვიდება მართლაც სჭირდება. ინუეს გავარდნის შემდეგ მას იქნებ ჩემპიონობა განაღდებულიც ეგონა, რადგან ტაკაიმ მეორე ნახევარფინალში სუძუკისთან წააგო, ამან კი ოლიმპიურ გუნდში ადგილი 100 კილოში გაინაღდა. შეგახსენებთ, რომ მუნეტა ის ფალავანია, ვინც იაპონია შარშან, მსოფლიო პირველობაზე სირცხვილისგან იხსნა - ჩემპიონატის ბოლო დღეს თავის გუნდს სწორედ მან მოუტანა ერთადერთი ოქროს მედალი, ის რომ არა, იაპონია მსოფლიო ჩემპიონატზე უჩემპიონოდ დარჩებოდა, რაც ჯერ არასოდეს მომხდარა.



სატოში იში (მარცხნივ) კოსეი ინუეს ამარცხებს

იაპონელებმა სხვა წონებში ვაკანსიები ერთი თვის წინ, ქვეყნის ჩემპიონატში შეავსეს. შეგახსენებთ, რომ ამჯერად ნაკრებსმილმა დარჩა სამგზის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **ტადაჰირო ნომურა** (60), პეკინში კი ასეთი შემადგენლობა იჭიდავებს: **ჰიროაკი ჰიროაკა** (60), **მასატო უჩიშიბა** (66), **იუსუკუ კანამარუ** (73), **ტაკაში ონო** (81), **ჰიროში იზუმი** (90), **კეიძი სუძუკი** (100) და **სატოში იში** (+100).

**ირაკლი თავაძე**

ბატუტი. ევროპის ჩემპიონატი

# გოლოვინა პირველი ახტება

დანიის ქალაქ ოდენსეში დაიწყო ევროპის პირველობა ბატუტზე ხტომაში, როგორც ახალგაზრდებში ისევე - დიდებში. ოდენსეში ოთხი ქართველი მონაწილეობს, აქედან ორი, **ნანა გოგაშვილი** და **გიორგი ფუტკარაძე** ახალგაზრდულ ტურნირში ასპარეზობდნენ. ოდენსეში ჩემპიონატი სწორედ ახალგაზრდებმა გახსნეს. სხვათა შორის, ტურნირზე ერთ-ერთი მსაჯი ქართველია – **რუსუდან ხოფერია**. ჩვენმა ახალგაზრდებმა კი ცუდად იასპარეზეს. ბიჭებში გიორგი ფუტკარაძემ 52,60 ქულა დააგროვა, რაც ზუსტად 50-ე ადგილს ეყო, სულ ევროპის პირველობაზე 66 ბატუტისტი მონაწილეობდა. შედეგი ანალოგიური გვქონდა გოგონებშიც, ნანა გოგაშვილმა 49,0 ქულით დააგროვა, რის წყალობითაც 51-ე ადგილი დაიკავა 65 მონაწილეს შორის.

დიდებში ევროპის პირველობაზე ჩვენი მთავარი იმედი **ლუბოვ გოლოვინაა**, რომელიც პეკინის ოლიმპიადაზეც იასპარეზებს. წილისყრის შედეგად გაირკვა, რომ გოლოვინას სულ პირველს უწევს გამოსვლა ბატუტზე 35 მონაწილეს შორის. ვაჟებში **თენგიზ კოშკაძე** ბოლო, მესამე ჯგუფში მეორე გამოვა. გოლოვინა და კოშკაძე დღეს იხტუნებენ. ოდენსეში ევროპის პირველობა ხვალ დასრულდება. ამის შემდეგ გოლოვინა ოლიმპიადისთვის ინდივიდუალურად მოემზადება და ტურნირებში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი ვორაცოვამ შეაჩერა

საქართველოს პირველმა ჩოგანმა 25 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (188) ასპარეზობა დაასრულა კან სურ მერის (საფრანგეთი) საერთაშორისო ტურნირის ერთეულთა ბადეში. კან სურ მერის ტურნირის საპრიზო ფონდი 125 ათასი დოლარია, მაკამ პირველ წრეში ტურნირის მეორე ჩოგანი და მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ასეულის წევრი **კამილ პენი** დაამარცხა და იმედი გაგვიჩინა, რომ ტურნირზე სერიოზულ წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ მერვედფინალში მაკამ თითქმის უბრძოლველად დათმო ჩეხ **რენატა ვორაცოვასთან**, რომელიც მსოფლიოს 122-ე ჩოგანია – 4:6, 0:6. თუკი პირველ სეტს თითქმის საათი დასჭირდა, მეორეში ჩეხმა ქართველს ნახევარ საათში მოუთავა საქმე. ვორაცოვამ რვიდან შვიდჯერ გამოიყენა ბრეიქ პოინტი, ჩახნაშვილმა კი ათიდან მხოლოდ - სამჯერ.

მაკა ჩახნაშვილი კანის ტურნირს ჯერ არ დამშვიდობებია, ის წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალურ მატჩს დღეს გამართავს. შეგახსენებთ, რომ მისი მეწყვილე 17 წლის იტალიელი **ასტრიდ ბესერია**.

# ლაბაძე კიდევ ერთხელ დამარცხდა



ირაკლი ლაბაძე

ჩოგბურთში დაბრუნება უიღბლო გამოუვიდა საქართველოს ყოფილ პირველ ჩოგან **ირაკლი ლაბაძეს**, თუმცა სასიხარულო ისაა, რომ ქართველი ჩოგბურთელის ზურგის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ლაბაძემ ზურგის ტკივილის გამო ვერ შეძლო ჩეხ **მარტინ სლანართან** ბრძოლის ჩამთავრება, თუმცა მეორე დღეს პრაღის კორტზე კვლავ გავიდა. პრაღის ღია პირველობის საპრიზო ფონდი100 ათასი დოლარია. წყვილთა ბადის პირველ წრეში ირაკლი ლაბაძე ავსტრიელ **ანდრეას ჰეიდარ-მიურერთან** დუეტში რუმინელი **ადრიან კრუშატის** და ჩეხი **იან მინარის** წყვილს დაუპირისპირდა. პირველი სეტი ქართულ-ავსტრიულმა დუეტმა მოიგო, თუმცა შემდეგ ინიციატივა დათმო და საბოლოოდ მატჩიც წააგო – 6:3, 1:6, 5:10. ლაბაძე ჩეხურ ტურნირს ისე დაემშვიდობა ერთი სარეიტინგო ქულაც კი ვერ მოიპოვა.

# ოქრუაშვილი ნახევარფინალში

ინდოეთის ქალაქ კოჩინის მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ძალიან კარგად ასპარეზობს 17 წლის **მაგდა ოქრუაშვილი**. საკვალიფიკაციო ბადიდან გასულმა ოქრუაშვილმა მერვედფინალშიც იმარჯვა, სადაც „უაილდ ქარდით" მიწვეული ინდოელი **ტრეტა ბჰატაჩარია** დაამარცხა – 6:2, 3:6, 6:2. ტურნირის მეოთხედფინალში ოქრუაშვილმა ამერიკელ **კელსი სანდერემს** აჯობა – 6:2, 6:0. ნახევარფინალში კი მაგდა ინდოელ **შალინი საჰუს** შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამბო. ევროპის ჩემპიონატი

# ერთი ბრინჯაო საბრძოლოში

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში საბრძოლო სამბოთი დამთავრდა ევროპის 26-ე ჩემპიონატი სამბოში. თავდაპირველი ინფორმაციით, აქ ჩვენები არ უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ბოლო მომენტში რამდენიმემ მაინც მოინდომა ასპარეზობა. საბოლოოდ ლეიბზე ორი ჩვენებური ვიხილეთ და ერთმა მათგანმა - **დიმიტრი მულაძემ** (52) ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

პირველი დღის მსგავსად, გუშინდელმა დღემაც რუსთა უდიდესი უპირატესობით ჩაიარა და ცოტა დააკლდათ, კინაღამ ყველა ოქრო მათ მოიპოვეს. მათი "აქილევსის ქუსლი" მხოლოდ 82 კილოგრამი წონითი კატეგორია აღმოჩნდა, სადაც ფინალშიც არ ჰყავდათ მონაწილე. ბევრ წონაში მოჭიდავეთა დეფიციტი აქაც იგრძნობოდა და ზოგან მესამე ადგილებზე გასასვლელად მხოლოდ ხალიჩაზე გასვლა ევალებოდათ - ნაგების შემთხვევაშიც კი ბრინჯაოს ინაღდებდნენ, 100-ში კი სულ სამი სპორტსმენი გამოდიოდა და ერთი ბრინჯაო გაუცემელი დარჩა.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# თასი სამტრედიას

ქუთაისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ახალგაზრდა ხელბურთელთა საქართველოს თასის გათამაშება. ახალ სასახლეში სამდღიანმა შეჯიბრებამ საკმაოდ დიდი აჟიოტაჟით ჩაიარა.

საბოლოოდ, თასი არავის დაანება "თბილისმა", რომელმაც ფინალში "სამტრედიას" მოუგო - 37:19. აღსანიშნავია, რომ სამტრედიელებმა ახლახან საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე იმარჯვეს, მაგრამ ახალგაზრდებში ტიტულს ველარ შეწვდნენ.

მესამე ადგილისთვის მატჩში ფოთელებმა "ბათუმს" მოუგეს - 46:25. მომდევნო ადგილები კი, შესაბამისად, გაინაწილეს ქუთაისმა, ყვარელმა, თელავმა და გორმა.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. დალას მავერიქსი

# გადამდგარი გენერალი



"დალას მავერიქსის" მფლობელს **მარკ ქიუბანს** ლოდინი მობეზრდა. სამსეზონნახევარი ითმენდა ეს ადამიანი "სან ანტონიოს" ყოფილი გამთამაშებლის, **ეივერი ჯონსონის** ხუშტურებს. "პატარა გენერალმა" "დალასი" 2005 წელს, ლეგენდარული **დონ ნელსონისგან** ჩაიბარა და იქედან მოყოლებული, ქიუბანი თავისი გუნდისგან ამაოდ ელოდა საჩემპიონო ტრიუმფს. ტეხასელების ოსტატობა მხოლოდ რეგულარულში წარმატებას და იქ ასოციაციის ლოკალური რეკორდების დამყარებას ჰყოფნიდა. პლეი ოფში კი, ჯონსონის ბიჭებს ხელ-ფეხი ებორკებოდათ. თვალნათელი სტატისტიკა: რეგულარულ ჩემპიონატებში მოგება-წაგების შეფარდება საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურება: 194-70. სამაგიეროდ, პლეი ოფში ეს მაჩვენებელი უბრალოდ, კატასტროფულია - 23-24, აქედან 3-12 ბოლო ორ წელიწადში.

ეივერის სავარძელი ჯერ კიდევ შარშანდელ სეზონში შეირყა. "მავერიქსმა" რეგულარულში 67 გამარჯვება გამოჭედა (მეხუთე მაჩვენებელი NBA-ის ისტორიაში), კონფერენციაში პირველი ადგილი დაიკავა და შემდეგ, პლეი ოფის პირველ წრეში მერვე გუნდთან, "გოლდენ სტეიტთან" წააგო, რომელსაც სწორედ ნელსონი ავარჯიშებდა. მაშინ "პატარა გენერალს" 2006 წლის ტაქტიკური ფიასკოც შეახსენეს, როცა სუპერფინალში ჯონსონმა სტრატეგიული ჯახი დათმო "მაიამის" მწვრთნელ **პატ რაილისთან**. მაშინ, ეივერი ქიუბანმა დაიცვა, მაგრამ მეორე სერიოზული ჩავარდნა "გენერალს" "დალასის" მფლობელმაც აღარ აპატია.

შესაძლოა, ეს პროცესი რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს, ჯონსონისა და "კოვბოების" შეფის კონფლიქტმა დააჩქარა. დაპირისპირების მიზეზი გახდა მწვრთნელის გადაწყვეტილება, რომელმაც "სან ანტონიოსთან" პრინციპული შეხვედრის ბოლო 35 წამი არ ათამაშა **ჯეისონ კიდი**. ის მატჩი "დალასმა" წააგო, ჯონსონმა კი, თავის გასასამართლებლად მიზეზი ასეც ვერ გამოძებნა.

ისე კი, კიდი ტეხასელებს აშკარად ვერ მოერგო, პირიქით, მთლიანად დაშალა ჯონსონის ტაქტიკური სქემები. ბუნებრივია, 8-9 კვირაში ძნელია შეერწყა უკვე კარგად აწყობილ მექანიზმს. მაგრამ მდგომარეობა იმანაც დაამძიმა, რომ მწვრთნელმა არ მოისურვა (ან უბრალოდ, ვერ შეძლო) გუნდის სათამაშო სქემისთვის კიდის ძლიერი მხარეების მორგება. ამიტომაც, სეზონის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრეიდი, "მავერიქსისთვის" ფულის უაზრო ფლანგვად გადაიქცა.

ვინ შეცვლის ჯონსონს? პრეტენდენტთა წრე ვიწროა და ბანალურად წინასწარმეტყველური. **რიკ კარლაილი** და **ჯეფ ვან განდი** ქიუბანის სიაში პრიორიტეტულ კანდიდატებად რჩებიან. მაგრამ ახალი მწვრთნელის მოყვანამდე, "დალასის" შეფი სახელფასო ფონდის შემცირებას აპირებს. ამერიკული პრესის ცნობით, ქიუბანის შავ სიაში მოხვდნენ **ერიკ დამპიე**, თავისი 11.5 მილიონი დოლარით, **ჯერი სტეკჰაუსი** (7 მილიონი) და **ჯეისონ ტერი** (9.1 მილიონი).

**გია თვალაბეიშვილი**

# დიურანი საუკეთესო ახალბედაა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია წლის საუკეთესო დებიუტანტისთვის განკუთვნილი პრიზის მფლობელს დღეს გამოაცხადებს, თუმცა გამოცემა Seattle Times-მა, სანდო წყაროზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რეგულარულის საუკეთესო ახალბედა "სიეტლ სუპერსონიქსის" ფორვარდი **კევინ დიურანი** გახდა.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ დრაფტზე "სონიქსმა" 19 წლის დიურანი მეორე ნომრად აირჩია. მასზე წინ ცენტრი **გრეგ ოდენი** დააყენეს, მაგრამ ამ ახალგაზრდას მუხლის ტრავმის გამო, არ მიეცა "პორტლენდის" რიგებში თამაშის საშუალება.

ამ სეზონში, დიურანი საშუალოდ მატჩში 20.3 ქულას აგროვებდა. ბოლო წლებში, ახალბედებისთვის ეს საუკეთესო მაჩვენებელია. ოდნავ უკეთესი შედეგი ჰქონდა 2003-04 წლების სეზონში "კლივლენდის" ლიდერ **ლებრონ ჯეიმსს** - მაშინ მისმა საშუალო მონაგარმა 20.9 ქულა შეადგინა.

NBA-ში გადასვლამდე, დიურანი "ტეხასში" თამაშობდა და NCAA-ში საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა.

**გია თვალაბეიშვილი**

# ნოა საფრანგეთის ნაკრებში

სექტემბერში, საფრანგეთის ნაკრებს 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში მოუწევს თამაში. ფრანგების სამწვრთნელო შტაბი საგონებელშია ჩავარდნილი - NBA-ში მოთამაშე ამ ქვეყნის თითქმის ყველა ლეგიონერმა იუარა ნაკრებში გამოსვლა. **პარკერი, დიაო, ტურიაფი, პიეტრუსი** - ეს იმ კალათბურთელების სიაა, რომლებიც არ აპირებენ "მამლებისთვის" დახმარების გაწევას.

ამ სიტუაციაში, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელს **მიშელ გომესს** სულზე მოუსწრო "ჩიკაგო ბულზის" ახალბედამ **ჟოაკიმ ნოამ**, რომელმაც ფრანგული პასპორტის აღება და ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდში თამაში გადაწყვიტა. ნოას გადაბირებას რამდენიმე ქვეყანა ცდილობდა. საქმე ისაა, რომ კალათბურთელის დედა ეროვნებით შვედია, მამა - ფრანგი, ბებიას კი, კამერუნის პასპორტი აქვს. საბოლოოდ, ნოა საფრანგეთს მიემხრო და სექტემბერში ევროპულ კალათბურთში ექნება დებიუტი.

ჟოაკიმის მამამ, წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა **იანიკ ნოამ** განაცხადა, რომ მისი ვაჟი მაისში შეხვდება საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს და დეტალებზე საბოლოოდ მოილაპარაკებს.

**გია თვალაბეიშვილი**

# გარბახოსა პეკინში არ გაუშვეს

ესპანეთის ნაკრებს პეკინის ოლიმპიადაზე შესუსტებული შემადგენლობით მოუწევს თამაში. "ტორონტო რეპტორზის" ხელმძღვანელობამ სანაკრებო დონეზე თამაში აუკრძალა ესპანელ ფორვარდ **ხორხე გარბახოსას**. ამის შესახებ ჟურნალისტებს "რეპტორზის" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან კოლანჯელომ** განუცხადა.

*"2007 წელს, ევროპის ჩემპიონატმა გარბახოსას ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა. ამიტომაც, სანამ ეს კალათბურთელი "ტორონტოსთან" კონტრაქტით იქნება დაკავშირებული, მას ნაკრებში სათამაშოდ არასოდეს გავუშვებთ"*, - ამბობს კოლანჯელო.

გარბახოსამ წლევანდელი სეზონის დიდი ნაწილი ფეხის ტრავმის გამო გამოტოვა. ესპანელმა დაზიანება დეკემბერში მიიღო. "ტორონტოს" ხელმძღვანელთა აზრით, ტრავმა სწორედ ევროპის ჩემპიონატზე თამაშით იყო განპირობებული, არადა, კლუბის შეფობა აფრთხილებდა კალათბურთელს, რომ მას თავი შეეკავებინა კონტინენტის პირველობაზე გამოსვლისგან.

**გია თვალაბეიშვილი**

## კალათბურთი. NBA. პლეიოფი. 1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**კლივლენდი-ვაშინგტონი 87:88**

16:23, 27:22, 22:24, 22:19

კ: ლ. ჯეიმსი (34+10 მოხსნა+7 პასი), ილგაუსკასი (19), უესტი (12+8 პასი).

ვ: კ. ბატლერი (32+9 მოხსნა), სტივენსონი (17), ა. დენიელზი (12), ჯეიმისონი (8+11 მოხსნა).

სერია 3:2

**ბოსტონი-ატლანტა 110:85**

27:19, 31:24, 23:21, 29:21

ბ: პირსი (22+7 მოხსნა+6 პასი), გარნეტი (20+7 პასი+3 დაფარება), ჰ. ალენი (19), რონდო (12+7 პასი).

ა: ჯ. ჯონსონი (21), სმიტი (18+3 ჩაჭრა), ჰორფორდი (14+10 მოხსნა), მ. უილიამსი (12).

სერია 3:2

## ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/4 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ფილადელ (6)-მონრეალი (1) 4:2**

0:0, 1:0, 3:2

გოლები: 1:0 უმბერგერი-6 (ბრიერი-6), 2:0 ჰარტნელი-2 (პრონგერი-8), 2:1 პლეკანეცი-3 (გორჯესი-2, ბუიონი-1), 2:2 ს. კოივუ-3 (მტრაიტი-3, ბუიონი-2), 3:2 ბრიერი-8 (ნუბლი-4, პრონგერი-9), 4:2 უმბერგერი-7 (ჯ. კარტერი-3).

სერია: 3:1

**დასავლეთი**

**დალასი (5)-სან ხოსე (2) 1:2**

0:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 ი. ლეჰტინენი-3, 1:1 მარლო-4, 1:2 მ. მიხალეკი-3 (ჯ. ტორნტონი-7, ბ. კემპბელი-6).

სერია: 3:1

## ჩოგბურთი. ტურნირები

**ATP**

**BMW Open**

მიუნხენი (გერმანია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 370 000 ევრო

**I წრე**

**სტივ დარცისი** (ბელ, 7)-ბენჯამინ ბეკერი (აშშ) 6:3, 6:4; **მარატ საფინი** (რუს)-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:3, 3:6, 6:4; **მიხაელ ბერერი** (გერ)-ივო კლეჩი (სლოვაკ) 6:1, 7:6 (6); **იუნეს ელ აინაუი** (მაკ)-ალექსანდრ სიდორენკო (საფ) 6:4, 7:6 (6).

**1/8 ფინალი**

**პოლ-ანრი მატიო** (საფ, 1)-ჯანლუკა ნასო (იტა) 6:3, 6:4; **სიმონე ბოლელი** (იტა)-ანდრეას სეპი (იტა, 6) 6:4, 7:5; **ფილიპ პეტცშნერი** (გერ) 6:4, 7:6 (7); **ჰიუნ ტაიკ ლი** (კორ)-ჟულიო სილვა (ბრა) 6:1, 6:4.

**Open Sabadell Atlantico**

ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 888 000 ევრო

**II წრე**

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 1)-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:4, 6:2; **დავიდ ფერერი** (ესპ, 2)-გაბრიელ ტრუხილო-სოლერი (ესპ) 6:1, 6:1; **დენის გრემელმაირი** (გერ)-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 4) 6:1, 6:4; **ერნესტ გულბისი** (ლატ)-კარლოს მოია (ესპ, 5) 4:6, 6:1, 6:4; **ტომი რობრედო** (ესპ, 6)-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:2, 6:4; **ალბერტ მონტანიესი** (ესპ)-ივო კარლოვიჩი (ხორ, 8) 6:7 (7), 6:3, 7:5; **გილერმო კანიასი** (არგ, 9)-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:1, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპ, 10)-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:4, 7:6 (5); **სტანისლას ვავრინკა** (შვეიც, 14)-იური შჩუკინი (ყაზ) 6:3, 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუს, 15)-მარკუშ დანიელი (ბრა) 6:4, 6:3; **ფელისიანო ლოპესი** (ესპ, 16)-ალბერტო მარტინი (ესპ) 3:6, 6:2, 6:4; **მიხაილ კუკუშკინი** (რუს)-პაბლო კუევასი (ურუ) 6:0, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგ)-მარკ ლოპესი (ესპ) 5:1 ლოპესის უარი.

**1/8 ფინალში ხვდებიან**

ნადალი (1)-ფ. ლოპესი; ჩელა-გულბისი; ტურსუნოვი (15)-გრემელმაირი; ალმაგრო (10)-ანჩიჩი; მონტანიესი-კუკუშკინი; ნალბანდიანი (3)-ვავრინკა (14); რობრედო (6)-კანიასი (9); ფერერი (2)-ლაპენტი.

**WTA**

**ECM Prague Open**

პრაღა (ჩეხეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 145 000 ევრო

**I წრე**

**შაარ პეერი** (ისრ, 2)-ანა ლაპუშჩენკოვა (რუს) 7:5, 7:5; **ვიქტორია აზარენკა** (ბლრ, 3)-პეტრა კვიტოვა (ჩეხ) 6:3, 6:4; **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხ)-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:3, 5:7, 6:2; **ვერა დუშევინა** (რუს)-მარტინა მიულერი (გერ) 6:0, 6:2.

**1/8 ფინალი**

**კაროლინა პლიშკოვა** (ჩეხ)-კაია კანეპი (ესტ, 8) 1:6, 6:3, 7:5; **რობერტა ვინჩი** (იტა)-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 6:4.

**Grand Prix De SAR**

ფესი (მაროკო). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 145 000 ევრო

**I წრე**

**ხისელა დულკო** (არგ, 2)-მარია კამერინი (იტა) 6:1, 6:1; **არავან რეზაი** (საფ, 4)-ვანია კინგი (აშშ) 6:2, 6:4.

**1/8 ფინალი**

**ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპ, 1)-სესილ კარატანჩევა (ბულ) 3:6, 7:6 (4), 6:1; **გრეტა არნი** (უნგ)-ტატიანა გარბინი (იტა, 3) 6:4, 7:5; **პეტრა ჩეტკოვსკა** (ჩეხ)-ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც, 5) 6:1, 7:5; **ოლგა სავჩუკი** (უკრ)-ეკატერინა მაკაროვა (რუს, 8) 7:6 (4), 6:4.

## ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. კალენდარი

**I რაუნდი**

**A ჯგუფი**

შვედეთი
შვეიცარია
ბელარუსი
საფრანგეთი

**3 მაისი**

ბელარუსი-შვედეთი (21:00)
შვეიცარია-საფრანგეთი (03:00)

**5 მაისი**

შვეიცარია-ბელარუსი (21:00)
შვედეთი-საფრანგეთი (03:00)

**7 მაისი**

შვედეთი-შვეიცარია (21:00)
საფრანგეთი-ბელარუსი (03:00)

**B ჯგუფი**

კანადა
აშშ
ლატვია
სლოვენია

**2 მაისი**

კანადა-სლოვენია (23:30)
აშშ-ლატვია (03:15)

**4 მაისი**

ლატვია-კანადა (23:30)
აშშ-სლოვენია (03:15)

**6 მაისი**

კანადა-აშშ (23:30)
სლოვენია-ლატვია (03:15)

**C ჯგუფი**

ფინეთი
სლოვაკეთი
გერმანია
ნორვეგია

**3 მაისი**

გერმანია-ფინეთი (23:30)
სლოვაკეთი-ნორვეგია (03:15)

**5 მაისი**

ფინეთი-ნორვეგია (23:30)
სლოვაკეთი-გერმანია (03:15)

**7 მაისი**

ფინეთი-სლოვაკეთი (23:30)
ნორვეგია-გერმანია (03:15)

**D ჯგუფი**

ჩეხეთი
რუსეთი
დანია
იტალია

**2 მაისი**

დანია-ჩეხეთი (21:00)
რუსეთი-იტალია (03:00)

**4 მაისი**

ჩეხეთი-რუსეთი (21:00)
იტალია-დანია (03:00)

**6 მაისი**

რუსეთი-დანია (21:00)
ჩეხეთი-იტალია (03:00)

**II რაუნდი**

**E ჯგუფი**

**8 მაისი**

2A - 3D (23:00)
1A - 2D (03:00)

**9 მაისი**

1D - 3A (21:00)

**10 მაისი**

2D - 3A (20:30)
1D - 2A (00:30)

**11 მაისი**

3D - 1A (21:00)
2A - 2D (03:00)

**12 მაისი**

1A - 1D (21:00)
3A - 3D (03:00)

**F ჯგუფი**

**8 მაისი**

1B - 2C (23:30)
2B - 3C (03:15)

**9 მაისი**

1C - 3B (19:30)

**10 მაისი**

3C - 1B (23:30)

**11 მაისი**

2C - 3B (19:30)
1C - 2B (23:30)

**12 მაისი**

2B - 2C (19:30)
1B - 1C (23:30)
3B - 3C (03:15)

**1/4 ფინალი**

**14 მაისი**

1. E1 - F4 (21:00)
2. E4 - F1 (23:30)
3. E2 - F3 (03:15)
4. E3 - F2 (03:15)

**1/2 ფინალი**

**16 მაისი**

1 - 4 (21:00)
2 - 3 (01:00)

**ფინალი**

18 მაისი (21:00)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1. გუნდები

# დიდი პრიზების შეუღწევადი ცირკი




ფორმულა ერთის ტექნიკური რეგლამენტის გამო, დიდი პრიზების ცირკში რამდენიმე ახალი გუნდის შესვლა ჩაიშალა. ახალი წესები გუნდებს მსოფლიო ჩემპიონატზე საკუთარი ბოლიდებით ასპარეზობას ავალდებულებს, რამაც შესაძლოა, მალე მონაწილეთა რაოდენობის შემცირება გამოიწვიოს.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, ფორმულა ერთში შეღწევას ინტენსიურად ცდილობდა სერია "A1 გრანპრის" აღმასრულებელი **ტონი ტეიშეირა**, რომელსაც რომელიმე არსებული გუნდის გამოსყიდვა სურდა, თუმცა ახალი წესის შემოღების შემდეგ, მან თავისი ოცნების ასრულებაზე ხელის აღება ამჯობინა.

"როიტერთან" საუბრისას, ტეიშეირამ განაცხადა, რომ "A1 გრანპრის", რომელსაც ხშირად ავტოსპორტის მსოფლიო თასადაც მოიხსენიებენ, სურდა, ფორმულა ერთში თავისი გუნდი ჰყოლოდა, რომელშიც ასპარეზობის საშუალება სერიის ჩემპიონებს მიეცემოდათ, რაც მათთვის დიდი სტიმული იქნებოდა.

*"ჩვენ გვსურდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე A1-ს თავისი გუნდი ჰყოლოდა, რომელში ასპარეზობის საშუალებაც ჩვენი სერიის ჩემპიონებს და რბოლების გამარჯვებულებს მიეცემოდათ. რა მიზანი გვამოძრავებს? რა და ის, რომ ყველა ბავშვი ოცნებობს, რომ ოდესმე ფორმულა ერთში იასპარეზოს და ჩვენ მათ ამ ოცნების ასრულებაში დავეხმარებოდით"*, - განმარტავს ტეიშეირა.

ახალი სეზონიდან, "A1 გრანპრის" ყველა გუნდი "ფერარის" წარმოების შასისა და ძრავებს გამოიყენებს. იტალიურ კომპანიასთან პარტნიორული ურთიერთობის გაგრძელება კი უნდა გამხდარიყო A1-ის მიერ "ფერარის" კლიენტი "სპაიკერის" გამოსყიდვა და მის ბაზაზე ახალი საჯინიბოს ფორმირება. მაგრამ შემდეგ ჰოლანდიურმა კომპანიამ თავისი გუნდი ინდოელ მილიარდერ **ვიჯეი მალიას** მიჰყიდა, რომელმაც გუნდს "ფორს ინდია" (ინდოეთის ძალა) დაარქვა.

ამის შემდეგ, ტეიშეირა ავსტრიელ მილიარდერ **დიტრიხ მატეშიტცს** (ენერგეტიკულ სასმელ "რედ ბულის" მწარმოებელი) დაუკავშირდა და მისგან იტალიურ გუნდ "სკუდერია ტორო როსოს" გამოსყიდვა მოინდომა. სხვათა შორის, მატეშიტცმა და მისმა პარტნიორმა, წარსულში ცნობილმა ავსტრიელმა ავტომრბოლმა **გერჰარდ ბერგერმა** "ტორო როსოს" (ყოფილი "მინარდი") გაყიდვა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ფორმულა ერთის ახალმა წესმა გუნდები საკუთარი შასის გამოყენებით დაავალდებულა.

მატეშიტცმა ერთი თვის წინ გამოაცხადა, რომ "ტორო როსოს" 2010 წლამდე გაყიდის. თუმცა მას არ დაუზუსტებია, აწარმოებს თუ არა ამ ეტაპზე მოლაპარაკებას გუნდის შეძენის მსურველებთან.

*"თუ ფორმულა ერთში მოვალთ, მოწინავეთა შორის უნდა ვიყოთ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენმა პილოტებმა რბოლები რეგულარულად პირველ ათეულში უნდა დაამთავრონ. ერთადერთი საშუალება, რითაც ამის მიღწევა შეიძლება, სხვისი შასის გამოყენებაა. ჩვენ განზრახული გვქონდა, რომ "ფერარის" მეორე გუნდი ვყოფილიყავით. სწორედ ამის გამო იყო, რომ ჯერ "სპაიკერის", მერე კი "ტორო როსოს" შეძენას ვაპირებდით – ეს ორივე გუნდი ხომ "ფერარის" ტექნიკით სარგებლობს. მაგრამ ახალი წესი ამის უფლებას აღარ იძლევა"*, - ამბობს ტეიშეირა.

A1-ის პორტუგალიური წარმოშობის სამხრეთაფრიკელი შეფის თქმით, ის თავიდან მოლაპარაკებას "სპაიკერთან" აწარმოებდა, მაგრამ ფორმულა ერთის შეფ **ბერნი ეკლსტოუნის** თხოვნით, ჰოლანდიური გუნდ მალიას დაუთმო (ბერნის ინტერესი ის იყო, რომ ფორმულა ერთში ინდოეთი ჩართულიყო), თავად კი მოლაპარაკება "ტორო როსოსთან" გააბა. მაგრამ იმ მომენტში, როდესაც მოლაპარაკება დასასრულს უახლოვდებოდა, ფორმულა ერთმა ახალი წესი შემოიღო და ტეიშეირამაც "ტორო როსოსადმი" ინტერესი მაშინვე დაკარგა.

ტეიშეირა გვახსენებს, რომ ანალოგიური მიზეზით, ფორმულა ერთში თავისი გუნდის გამოყვანა გადაიფიქრა ბრიტანელმა **დევიდ რიჩარდსმა**, ვისი კომპანია "პროდრაივიც" "მაკლარენის" შასით ასპარეზობას გეგმავდა.

ცნობისათვის, ამ ეტაპზე, ერთმანეთთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებთ: "რედ ბულს" (ეს გუნდიც მატეშიტცს ეკუთვნის) "რენოსთან", "უილიამსს" "ტოიოტასთან" და "სუპერ აგურის" "ჰონდასთან". მართალია, ეს თანამშრომლობა ძრავებით შემოიფარგლება, თუმცა ამ საჯინიბოებს შორის სხვა ტექნიკური ინფორმაციის გაცვლასაც აქვს ადგილი.

*"არც იმდენი ფული მაქვს და არც გამოცდილება, რომ ფორმულა ერთში გუნდი საკუთარი შასით გამოვიყვანო. ასე რომ მოვიქცე, ჩათვალეთ, რომ გავგიჟებულვარ. რაც შეეხება ჩვენს მიზანს, ის ფორმულა ერთში A1-ის პრომოუშენს ითვალისწინებს. მაგრამ ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად, წესების მორიგ ცვლილებას დაველოდოთ"*, - დასძენს ტეიშეირა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში, ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატში 11 გუნდი ასპარეზობს, მაგრამ შესაძლოა, მათი რიცხვი მალე ერთით შემცირდეს. არაა გამორიცხული, რომ თურქეთის დიდ პრიზზე ვერ იასპარეზოს იაპონურმა "სუპერ აგურიმ", რომელსაც სპონსორი არ ჰყავს. ახლა ამ საჯინიბოს ბედი პარტნიორ "ჰონდაზეა" დამოკიდებული, რომელიც მას საკუთარი გუნდის შასითა და ძრავებით ამარაგებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

დოპინგი

# WADA ინტერპოლთან ითანამშრომლებს



არაა გამორიცხული, რომ მალე, დოპინგთან ბრძოლის საქმეში, მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოსთან (WADA) ინტერპოლმა ითანამშრომლოს. WADA-ს ახალმა პრეზიდენტმა **ჯონ ფეიჰიმ** განაცხადა, რომ პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს, მისი მიზანი კი სპორტში დოპინგთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდაა.

*"მოლაპარაკება დასკვნით ეტაპზეა და ჩვენ მალე გავაფორმებთ ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის შემდეგაც, ჩვენ შორის ინფორმაციის გაზიარება დაინერგება. შედეგად, ჩვენ ველით, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება დოპინგთან ბრძოლის ეფექტურობა. ხშირია შემთხვევები, როცა სტიმულატორები იმავე არხებით ვრცელდება, რომლებითაც ნარკოტიკები, რასთან ბრძოლის უზარმაზარი გამოცდილებაც ინტერპოლს გააჩნია"*, - ნათქვამია ფეიჰის განცხადებაში.

WADA-ს გენერალური დირექტორი **დევიდ ჰოუმენი** ამბობს, რომ ინტერპოლთან თანამშრომლობით, ინფორმაციის გაცვლის გარდა, WADA იმითაც ისარგებლებს, რომ ცალკეულ სახელმწიფოებთან აღნიშნულ საკითხზე უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საშუალება მიეცემა. ის ამბობს, რომ სახელმწიფოსთან მჭიდრო ურთიერთობის კარგი მაგალითია **მერიონ ჯონსის** საქმე. ამ საქმეში, სწორედ სამართალდამცავების მუშაობამ განაპირობა ის, რომ სახელოვანმა სპრინტერმა აღიარა დოპინგის გამოყენება.

*"არსებობს ბევრი საშუალება, რომელთა გამოყენებითაც, შესაძლებელია დოპინგის მომხმარებელთა გამოვლენა და ეს რომ ასეა, მერიონ ჯონსის საქმემაც დაამტკიცა. სახელმწიფო სამართალდამცველი სამსახურების საქმეში ჩართვით, ჩვენ მნიშვნელოვან ფულად სახსრებს დავზოგავთ, რომლებსაც სხვა კუთხით მივმართავთ. კერძოდ, უფრო ინტენსიური გახდება მეცნიერული კვლევები და ახალი ტესტების შემუშავების პროცესი"*, - ამბობს ფეიჰი და დასძენს, რომ ამ ეტაპზე, მისი სააგენტოსთვის მთავარი პეკინის ოლიმპიადისთვის სათანადოდ მომზადებაა.

მისი თქმით, პეკინში სულ 4 500 ტესტის ჩატარება იგეგმება, რომელთა შორისაც იქნება ადამიანის ზრდის ჰორმონის აღმოსაჩენი ტესტები. ამ ჰორმონის დაფიქსირება ადრე შეუძლებელი იყო, მაგრამ WADA-ს მეცნიერებმა პეკინის ოლიმპიადისთვის მისი ანალიზი შეიმუშავეს. უფრო მეტიც, თანდათან მოხდება იმ ძველი სინჯების გადამოწმებაც, რომლებიც ათენის ოლიმპიადასა და სხვადასხვა დიდ ტურნირზე იქნა აღებული და რომლებიც იმ დროისთვის გაყინეს, როცა შესაფერისი ტესტი შემუშავდებოდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 2 მაისი. პარასკევი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** უიქენდის მატჩების ანონსი.
**12:25** ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სანტოსი (კოლუმბია)-კუკუტა.
**14:10** სასტვენი
**14:40** ჰოლანდიის ჩემპიონატი. პლეიოფი. I მატჩი. ჰერენვეენი-აიაქსი.
**16:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:40** გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
**18:25** ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სანტოსი (კოლუმბია)-კუკუტა.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**21:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:25** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ნიურნბერგი (LIVE).
**00:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:40** საფეხბურთო კლუბი.
**01:30** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**08:40** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ბოკა ხუნიორსი-კრუზეირო.
**10:25** ფეხბურთი. Barca TV.
**10:32** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ფიორენტინა-რეინჯერსი.
**12:19** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. მიმოხილვა.
**13:07** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. BMW Open. 1/4 ფინალი. მიუნხენი. გერმანია (LIVE).
**18:05** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. IV მატჩი. კოლორადო-დეტროიტი.
**20:00** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. მონტეპასკი-მაკაბი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**20:45** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**21:59** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
**22:27** პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
**23:30** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. კანადა-სლოვენია. კანადა (LIVE).
**01:50** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**02:04** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**02:32** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
**03:00** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-იტალია. კანადა (LIVE).
**05:19** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. მიმოხილვა.
**06:05** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. სან ხოსე-დალასი (LIVE).

#### EUROSPORT

**09:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. პრაქტიკა (LIVE).
**13:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**16:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები.
**17:30** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:30** ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
**21:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
**22:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**01:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**01:30** ექსტრემალური სპორტი.
**02:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ფილადელფია-დალასი.
**12:00** ავტოსპორტი. ლე მანის სერია. 1000 კმ. რბოლა ამტანობაზე. საფრანგეთი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** კიბერსპორტი. აშშ.
**17:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**18:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. პრაქტიკა.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ექსტრემალური სპორტი.
**21:00** BMX. მსოფლიო თასი. ავსტრალია.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ახალი ამბები. ოლიმპიური გამოშვება.
**22:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა.
**22:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XX ტური (LIVE).
**00:15** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. პრაქტიკა.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა.
**01:30** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:00** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ექსეტერი-ტორკი | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| აალენი-ელვერსბერგი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **ჩ. ლიგა. პლეიოფი** | |
| ჰერენვეენი-აიაქსი | 1:2 |
| **უეფა. პლეიოფი** | |
| უტრეხტი-გრონინგენი | 2:2 |
| როდა-ნიიმეგენი | 0:1 |
| **პლეიოფი** | |
| დენ ჰააგი-ვენლო | 1:0 |
| ცვოლე-დენ ბოში | 0:1 |
| ჰელმონდი-გრააფსხაპი | 2:3 |
| მაასტრიხტი-ვაალვიკი | 1:0 |
| **დანიის თასი** | |
| ბრონდბიუ-ესბერგი | 3:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| გოსაუ-ფონდსი | 3:3 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| ბრნო-ლიბერეცი | 2:2 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| არტმედია-ტრნავა | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ესპანეთი** | |
| კახასოლი-უნიკახა | 87:83 |
| მანრესა-ლეონი | 84:75 |
| ხუვენტუდი-გრანადა | 118:68 |
| ბარსელონა-მურსია | 81:75 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მიუნხენი** | |
| საფინი-ბერერი | 7:6, 6:7, 6:3 |
| გონსალესი-ვლიეგენი | 1:6, 7:5, 6:3 |
| დარცისი-ელ აინაუი | 4:6, 6:3, 3:6 |
| ანდრეევი-დელ პოტრო | 6:1, 0:6, 4:6 |
| **ATP. ბარსელონა** | |
| მონტანიესი-კუკუშკინი | 6:3, 3:6, 6:3 |
| ფერერი-ლაპენტი | 4:6, 6:4, 6:3 |
| ჩელა-გულბისი | 2:6, 6:4, 6:3 |
| კანიასი-რობრედო | 1:6, 5:7 |
| ნალბანდიანი-ვავრინკა | 3:6, 1:6 |
| ტურსუნოვი-გრემელმაირი | 4:6, 0:6 |
| ნადალი-ფ. ლოპესი | 6:4, 6:3 |
| ალმაგრო-ანჩიჩი | 7:6, 6:2 |
| **WTA. ფესი** | |
| კლეიბანოვა-როდიონოვა | 6:7, 6:3, 6:4 |
| კრისტეა-პავლუჩენკოვა | 6:4, 6:2 |
| დულკო-ლუა | 6:3, 6:2 |
| რეზაი-დე ლოს რიოსი | 7:6, 6:0 |
| **WTA. პრაღა** | |
| აზარენკა-პუტჩეკი | 6:2, 6:2 |
| სრებოტნიკი-ჩინკი | 6:0, 6:2 |
| ზვონარევა-რიბარიკოვა | გადაიდო |
| ბენეშოვა-ამანმურადოვა | 6:2, 4:6, 6:3 |
| პეერი-პირონკოვა | 7:5, 6:2 |
| ზაკოპალოვა-დუშევინა | 6:4, 1:6, 6:3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური პოლიტიკა

## პოლიტიკური სკანდალების ისტორია

*(დასაწყისი წინა ნომერში)*




### შავი სექტემბერი

1972 წელს, მიუნხენის თამაშები შავ ლაქად ჩაიწერა ოლიმპიადების ისტორიაში. 5 სექტემბერს, დილის 4 საათსა და 10 წუთზე, ისლამისტი ტერორისტების შეიარაღებული ჯგუფი, სახელწოდებით "შავი სექტემბერი", ოლიმპიურ სოფელში ისრაელის ნაკრების რეზიდენციაში შეიჭრა, ადგილზე მოკლა ორი სპორტსმენი და 9 მძევლად აიყვანა.

ტერორისტები პალესტინის განმანთავისუფლებელი ორგანიზაციის იმ 232 წევრის განთავისუფლებას ითხოვდნენ, რომლებიც ისრაელის ციხეებში იხდიდნენ სასჯელს. ისრაელის მთავრობამ ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც, გერმანელმა სამართალდამცველებმა მძევლების განთავისუფლების სპეცოპერაციის ჩატარება გადაწყვიტეს. ოპერაციის ნაჩქარევად დაგეგმვასა და პოლიციის არასაკმარის მომზადებას (იმ დროს, გფრ-ში სპეცრაზმები არ არსებობდა) მძევლების სიკვდილი მოჰყვა.

ისრაელის დელეგაციამ თამაშების შეწყვეტა მოითხოვა, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამ რადიკალურ ნაბიჯზე არ წავიდა. ერთდღიანი შესვენების შემდეგ (ერთადერთი მსგავსი შემთხვევა ოლიმპიადების ისტორიაში), სოკ-მა თამაშების განახლების ბრძანება გასცა. ტყვედ ჩავარდნას გადარჩენილმა სხვა ისრაელელმა სპორტსმენებმა თამაშები ნაადრევად დატოვეს. მათ მიბაძეს სხვა ქვეყნების ნაკრებთა რიგებში მოასპარეზე ებრაელმა ათლეტებმაც.

იმ ებრაელებს შორის, რომლებმაც თამაშების გაგრძელება გადაწყვიტეს, ამერიკელი მოცურავე **მარკ სპიტცი** იყო. მან საბოლოოდ მიუნხენში შვიდი ოქროს მედალი მოიპოვა. მიუხედავად ამისა, ისრაელი დღემდე აკრიტიკებენ სპიტცს იმის გამო, რომ მან თამაშები არ მიატოვა.

მომდევნო ოლიმპიადის წინ (მონრეალი-1976), 30-მა ქვეყანამ (ძირითადად აფრიკულმა სახელმწიფოებმა) ტანზანიისა და კონგოს მეთაურობით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან ახალი ზელანდიის ნაკრების მოკვეთა მოითხოვა. მიზეზი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრების სამხრეთ აფრიკაში ვიზიტი გახდა. სოკ-მა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ამ სახელმწიფოებმა (აფრიკულის ქვეყნების გარდა, ამ ჯგუფში ერაყი და გაიანა შედიოდნენ) მონრეალში თავიანთი სპორტსმენების გაგზავნაზე უარი განაცხადეს.

### ორი ბოიკოტი

მოსკოვის 1980 წლის და ლოს ანჯელესის 1984 წლის თამაშები - ოლიმპიადების ისტორიაში ეს იყო პოლიტიკური დაპირისპირების კულმინაცია. ორივე სპორტული ფორუმი მასშტაბური ბოიკოტებით აღინიშნა და ამის გამო, დღემდე ეს თამაშები არასრულფასოვან სპორტულ შეჯიბრებებად აღიქმება.

1980 წელს, 65-მა ქვეყანამ, მათ შორის ისეთმა სუპერსახელმწიფოებმა, როგორებიც არიან ამერიკა, გერმანია და იაპონია, უარი თქვეს მოსკოვში გამგზავრებაზე. ეს ნაბიჯი საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლის (1979) წინააღმდეგ იქნა გადადგმული. ამერიკის პრეზიდენტმა **ჯიმი კარტერმა** საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ოლიმპიადის სხვა ქალაქში გადატანის წინადადებითაც მიმართა, მაგრამ უარი მიიღო.

საბოლოოდ, მოსკოვში მხოლოდ 81 ქვეყნის დელეგაცია იყო წარმოდგენილი - ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1956 წლის შემდეგ. პოლიტიკური პროტესტები ოლიმპიადის მსვლელობის დღეებშიც გრძელდებოდა. მაგალითად, 15 ქვეყნის ნაკრები გახსნის ცერემონიაზე ოლიმპიური დროშით გამოვიდა, რამდენიმე ქვეყანამ კი, საკუთარი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დროშები გამოიყენა. როგორც წესი, დახურვის ცერემონიაზე იმ ქვეყნის დროშას სწევენ მაღლა, რომელმაც მომდევნო ოლიმპიადას უნდა უმასპინძლოს. მოსკოვში კი, აშშ-ის დროშის ნაცვლად, ქალაქ ლოს ანჯელესის დროშა აღმართეს.

ოთხი წლის შემდეგ, უკვე საბჭოთა კავშირმა და სოციალისტური ბანაკის კიდევ 13-მა ქვეყანამ გამოუცხადა ბოიკოტი ლოს ანჯელესის თამაშებს. ოფიციალურ მიზეზად ამერიკაში გამეფებული ანტიკომუნისტური ისტერიის გამო, სპორტსმენების უსაფრთხოება დასახელდა. სოცბანაკიდან თამაშებზე მაინც გაემგზავრნენ იუგოსლავია და რუმინეთი. რუმინეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა ბოიკოტს, მაგრამ თავის სპორტსმენებს აშშ-ში გამოსვლის ნება დართო, ოღონდ ოლიმპიური დროშის ქვეშ.

ლოს ანჯელესში არ იყვნენ ირანისა და ლიბიის წარმომადგენლები. ამ ქვეყნებს მაშინ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ამერიკასთან.

მონაწილე ქვეყნების რაოდენობით, ლოს ანჯელესმა მოსკოვს საგრძნობლად გაუსწრო (140 81-ის წინააღმდეგ). გარდა ამისა, ამ ოლიმპიადაზე 32-წლიანი შესვენების შემდეგ, პირველად გამოვიდა ჩინური დელეგაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1980 და 1984 წლებში, ბოიკოტის ორგანიზატორმა ქვეყნებმა (შესაბამისად, ამერიკამ და საბჭოთა კავშირმა) არშემდგარი ოლიმპიელებისთვის ალტერნატიული სპორტული შეჯიბრებები ჩაატარეს.

### სკანდალები კრიზისის შემდეგ

80-იანი წლების კრიზისის შემდეგ, მასშტაბურ ბოიკოტებს ადგილი აღარ ჰქონია, მაგრამ თამაშებზე უარის თქმის ცალკეული შემთხვევები მაინც დაფიქსირდა

1988 წელს, სეულში ვერ ვიხილეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები. ჩრდილოეთი კორეის მთავრობას სამხრეთელებს ერთიანი გუნდით გამოსვლა და შეჯიბრებების ნაწილის მის ტერიტორიაზე გადატანა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ჩრდილოეთ კორეასადმი სოლიდარობის მიზნით, თამაშებზე არ ჩავიდნენ ნიკარაგუა, კუბა და ეთიოპია.

1992 წელს, ბარსელონაში არ იყვნენ იუგოსლაველი სპორტსმენები - მათ საერთაშორისო ტურნირებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციების გამო არ უშვებდნენ. ამასთან, თამაშებზე წარმოდგენილნი იყვნენ სლოვენია და ხორვატია, რომლებმაც მოასწრეს იუგოსლავიის შემადგენლობიდან გამოსვლა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბარსელონას ოლიმპიადაზე გაერთიანებული გუნდი გამოვიდა, რომელშიც სსრკ-ს 12 ყოფილი რესპუბლიკის სპორტსმენები შედიოდნენ (ესტონეთი, ლიტვა და ლატვია ცალკე ნაკრებებით იყვნენ წარმოდგენილნი).

სკანდალის პირას იდგა 1996 წლის ოლიმპიადა. ეს თამაშები თანამედროვე ოლიმპიადის დაარსების 100 წლისთავს ემთხვეოდა და სხვა ქალაქებთან ერთად, მასზე პრეტენზიას ათენიც აცხადებდა. და სრულიად ლოგიკური იქნებოდა, ამ ფორუმის გამართვა საბერძნეთის დედაქალაქისთვის რომ მიენდოთ. მაგრამ სოკ-ის წევრთა უმრავლესობამ უპირატესობა ატლანტას მიანიჭა. საბერძნეთში მასობრივი საპროტესტო აქციები გაიმართა - ქვეყნის მცხოვრებლები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს კორუფციაში ადანაშაულებდნენ და ბერძენ სპორტსმენებს ატლანტის ოლიმპიადის ბოიკოტისკენ მოუწოდებდნენ. საბერძნეთის მხარე დაიჭირა კვიპროსის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელმაც ბოიკოტის შემთხვევაში, ოლიმპიადის სამშობლოს მხარდაჭერა აღუთქვა. მაგრამ საბოლოოდ, საღმა აზრმა გაიმარჯვა და ბერძნები და კვიპროსელები ატლანტაში მაინც ჩავიდნენ.

ოთხი წლის შემდეგ, სიდნეიში სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის გუნდები გახსნის ცერემონიაზე ერთი გუნდით და ერთი დროშით გამოვიდნენ, შეჯიბრებებზე კი, ცალ-ცალკე გამოდიოდნენ. ამ ოლიმპიადაზე მონაწილეობა არ მიუღია ავღანეთს - ქვეყნის მმართველმა თალიბებმა სპორტი საერთოდ აკრძალეს.

დაბოლოს, პოლიტიკურ სკანდალს ვერ გადაურჩა 2004 წლის ათენის ოლიმპიადა. ირანის მთავრობამ თავის სპორტსმენებს იმ შეჯიბრებებში მონაწილეობა აუკრძალა, სადაც ირანელების სავარაუდო მეტოქეები შეიძლება ისრაელის ნაკრების სპორტსმენები ყოფილიყვნენ. ამ მიზეზით, ირანელმა ძიუდოისტმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **არაშ მირესმაილიმ**, რომელიც ოქროს მთავარი პრეტენდენტი იყო, ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, რადგან წილისყრამ მას ისრაელელი **ეგუდ ვაქსი** არგუნა. ძიუდოისტმა განაცხადა, რომ ამ ნაბიჯს პალესტინელი ხალხისადმი სოლიდარობის მიზნით დგამს. ოლიმპიადის შემდეგ, ირანში მირესმაილის ზუსტად ის ფულადი პრემია გადასცეს, რაც ათენში ოქროს მედლის მფლობელისთვის იყო გათვალისწინებული.

### პეკინისგან რას ველოდოთ?

მიუხედავად ტიბეტის დამოუკიდებლობის მომხრეებისა და ჩინეთში ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლების ხმაურიანი აქციებისა, 2008 წლის თამაშებს მასშტაბური ბოიკოტი არ ემუქრება. მაქსიმუმი, რისი იმედიც პროტესტანტებს შეიძლება ჰქონდეს - ეს არის ნეპალის ნაკრების დემარში, ქვეყნისა, სადაც ამჟამად დალაი-ლამა და აგრეთვე ტიბეტიდან წამოსული ის ადამიანები ცხოვრობენ, რომლებსაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიტყვა ეთქმით. მაგრამ ნეპალის "დანაკარგს" მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობა, ასე თუ ისე, გადაიტანს.

თუმცა საკმაოდ შემაშფოთებელია საფრანგეთთან დაკავშირებული სიტუაცია. ჩინეთში აღშფოთებულნი არიან იმ სირთულების გამო, რასაც ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა ამ ქვეყანაში წააწყდა. ოფიციალური ჩინური პრესა საფრანგეთს ჩინეთისთვის ჭკუის სწავლებაში ადანაშაულებს. ამიტომაც, ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანაში საფრანგეთისა და ამ ქვეყნის ყველანაირი საქონლის ბოიკოტირების მოწოდებები გაისმის. ჩინელები ირონიულ შეთავაზებასაც იძლევიან - მათ ქვეყანაში საფრანგეთის პრეზიდენტის, **ნიკოლა სარკოზის** ჩასვლის შემთხვევაში, მის საპატივცემულოდ კორსიკის დროშა აღმართონ.

სხვათა შორის, საფრანგეთის პრეზიდენტი - მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი, მხარს უჭერს ე. წ. "რბილი ბოიკოტის" იდეას. ამ აქციის იდეა ის არის, რომ ოლიმპიადის გახსნის ცერემონიას რაც შეიძლება ნაკლები ქვეყნის პირველი პირი დაესწროს.

"რბილი ბოიკოტის" ინიციატორად აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი, **ჰილარი კლინტონი** მოგვევლინა, რომელმაც **ჯორჯ ბუშს** ჩინეთში გამგზავრებისგან თავის შეკავება ურჩია. ამ წინადადებამ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ჰპოვა მხარდაჭერა. თავიდან მსგავსი განცხადებით გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** გამოვიდა (გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იქვე განმარტა, რომ მერკელი ისედაც არ აპირებდა პეკინში გამგზავრებას). მოგვიანებით, ანალოგიური პოზიცია დააფიქსირეს პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა, ჩეხეთის პრეზიდენტმა, იაპონიის იმპერატორის ოჯახმა...

სკანდალები უშუალოდ ოლიმპიადის მსვლელობის დროსაც არის მოსალოდნელი. ბევრმა სპორტსმენმა განაცხადა, რომ პეკინში საასპარეზოდ კი ჩავლენ, მაგრამ ტიბეტს მორალურად მხარში დაუდგებიან.

ამის საპასუხოდ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** განაცხადა, რომ ოლიმპიადის მონაწილეებს თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის სრული უფლება აქვთ, მაგრამ მათი მხრიდან პროპაგანდისტულ მოქმედებებს სანქციები მოჰყვება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის სპორტსმენები, რომლებიც ოლიმპიურ ობიექტებზე ყველას დასანახად გამოიტანენ ტიბეტის დროშას ან ხალხში პროპაგანდისტული წარწერებით აჭრელებული ტანსაცმლით გამოჩნდებიან, შესაძლოა თამაშებიდან იქნენ მოკვეთილნი.

ყველას ახსოვს ამასწინდელი ინციდენტი, რომელიც სერბ მოცურავეს, **მილორად კავიჩს** უკავშირდება. მან ევროპის ჩემპიონატზე დაჯილდოების ცერემონიისას მაისური ჩაიცვა, რომელზეც ეწერა - "კოსოვო - სერბეთია" და ამის გამო, კინაღამ ოქროს მედალი ჩამოართვეს. ეს ინციდენტი ამტკიცებს, რომ სპორტული ჩინოვნიკები ასეთ "დემონსტრანტებს" არაფერს აპატიებენ.

**გია თვალაბეიშვილი**



მარკ სპიტცი



რუსული დათვი...



...და ამერიკული არწივი